

652
1992/2

w/1,2-3

ISSN 0134 3459

გეოგრაფია

ტ. 1.
9



1

1992

ქვირფასო მემოგრეგო

გაცნობებთ, რომ საქართველოს საზღვაო
სანაოსნოსთან არსებულმა მრავალდარგობრივმა
ფირმა „ბარაკონმა“ მუშაობა განაახლა.

„ბარაკონი“ გთავაზობთ მგზავრთა გადაყვანას
თურქეთის რესპუბლიკაში კომფორტაბელური კა-
ტარლა „ივერიათი“

ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა „ბარაკონს“
შემდეგ მისამართზე: ბათუმი, გოგებაშვი-
ლის ქ. № 3, საზღვაო ვაგზლის მე-2 სართული.
ტელ: 2-79-47.

ფირმა „ბარაკონი“

სარეკლამო-სააგენტო „ლია“.

ქროსი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-
პოლიტიკური ჟურნალი საქართველოს მწერალთა
კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანო

იანვარი
თებერვალი

1992
გამოცემის
34-ე წელი

682/1
7992/2
1, 2-3

ნ. მ.
(9)

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. მ. მ.

გ

გ ა თ უ შ ი

მთავარი რედაქტორი
სოსო აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარუანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ზორბა ზორიძე,
დავით თედორაძე,
ალექსანდრე სამსონია,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ზორბონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ზურაბ გორგილაძე — ლექსები	3
ქეთევან მელიქიძე — თეთრი ქვების დარაჯი (მოთხრობა)	7
მორის ფოცხიშვილი — ლექსები	35
ჯამბულ გათენაძე — მფარველი ანგელოზი (მოთხრობის ფრაგმენტი)	38
ლადო კოლხიძელი — საიქიოდან ბარათი მოდის... (მოთხრობა)	47
იოსებ გრიშაშვილი — რა შურთ ჩვენი? (ლექსი)	58

ახალი თარგმანები

კონსტანტინე სიმონოვი — სტალინი და ომი	60
კრიტიკა და პუბლიცისტიკა	
სოსო აბაშიძე — სისხლის წვიმების დროშია...	93
სიმონ არველაძე — გალაკტიონი, მაიაკოვსკი და ტიციანი	98

ფერიწვები

გურამ ფარტენაძე — გველის კულტი მაჭახლის ხეობაში	105
---	-----

ნომერი გააფორმა ბ. ლომაძემ

რედაქციის მისამართი; ბათუმი, მელიქიშვილის ქ. № 21.

ტელ. 3-33-71.

გადაეცა წარმოებას 20.01.92, ხელმოწერილია დასაბეჭდად
16.04.92; საბეჭდო თაბახი 7, საგამომცემლო თაბახი 5, შეკვეთის
№ 29, ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆, ტირაჟი 1.500.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენ-
ტის, აჭარის ავტონომიური საზღვარგარეთი საგარეო გაერთიანების სტამბა, ბა-
თუმი, იბერისკი, 91.

ზურაბ გორგიშვილი

ს ა მ შ ო ზ ლ ო

ამას რად უნდა პოეტი,
ან ტყვია, ბრმად რომ ისვრიან,
სამშობლო! — ყველგან,
ყოველთვის,
თავისუფლების ღირსია.
ზოგან თავს დელგმა გადასდის,
ზოგან ხავსი და ნისლია,
ხალხი! — მუდამ და მარადის,
თავისი თავის ღირსია.
მეფეთა საქმე ასეა,
მოვლენ და წავლენ მეფენი,
ხალხს იგი მოძღვრავს მარადის,
ვინც მის ღირსებას შეჰფერის.
არა, არ უნდა ღამთოვო.
არც გადახვიდე ძალაყებს,
ღმერთო! — ყოველი სამშობლო,
თავისუფალი მანახე.

შ ე გ ო ნ ე ბ ა

მე ხომ ჩემი დამემართა,
და რაც მართლა დამემართა,
პატიება შეიძლება თუ კი,
ვაპატიებ! —
რადგან დროაქომამდე.
სხვას არაფერს, — გურჯს მეძახის
თურქი.
თურქმა იცის ჩემი ხმლის და
სისხლის გემო,
თურქმა იცის ვინა ვარ და რა
ვარ,

თუკი ვცოცხლობ და
ვაცოცხლებთ საქართველოს
ჩვენში მაინც...
თურქისაგან ესწავლება მრავალს.

კ მ ა რ ა ? !

შვილს! —
როცა ასე გატყუებულს,
და გადავარდნილს ხედავ,
თმები არ გტკივა?
ძუძუ არ გეწვის?
გული არ გიფრთხის დედა?!
ძმა! —
როცა ასე გათარბებულია,
და ხელაღებით ზვავობს,
შენი უმწიკვლო უბიწოების,
არ გესირცხვება დაო?!
ქმარი! —
ყვლეფად რომ გავარდნილია,
ტყავში ბრუნავს და ძაღობს,
შუბლზე წარბი არ შეგიქანდება,
ან ფეხქვეშ მიწა რძალო?!
შენ კი...
შენ კიდევ ანგელოზი ხარ,
კაცურკაცობას ცდილობ,
მაგრამ მაგ შენი მამის ღირსებამ,
რა უნდა მოგცეს შვილო?!
და ვეკითხები შუბლს კავკასიის,
მეოცდაერთის კარად,
მარტო გვარი და მარტო სახელი,
ქართველობისთვის კმარა?!

ლობის თავზე თუ ქოხის წინარე,
გამოფეთდება უცებ ტყემალი...
ხოლო გულდინჯად,
ხოლო დათმენით,
გამოცინდება გვიან კუნელი...
ერის ღირსებას და სიდიადეს,
გულის თაფლსა და სულის
სინათლეს,

მხოლოდ შიგნიდან,
მუდამ შიგნიდან,
ზრდიან და წვრთნიან საუკუნენი.
ალბათ ღმერთი თუ მესაუბრება,
და სულს მიმშვიდებს უამით

დატორილს,
ერს უნდა ჰქონდეს იმის უფლება,
რომ ხალხი გახდეს თავის

პატრონი...
ვდგავარ იქ, სადაც ხსოვნაც
მარხია,

და სახსოვარი ცოტას იმეტებს...
ის ერი აბა რაღა ერია,

უცხო ვნებებს თუ გადაელია,
თითქოს ფხიზელი, თითქოს
თვალლია,

ის ხალხი აბა რაღა ხალხია,
ერთი თუ ორი,
ორი თუ სამი,
კაცის შემყურე და მოიმედე.

ღმერთმა ნუ მნას...

ერი ყვირის,
ბერიც ყვირის,
სისხლიც, — ჩითვის ნაჭერთან,
ყველაფერი აყირავდა,

აჭყვივლდა და აჭრელდა.
ვინ თავს მაღლა ყინჩად იწევს,
ვინ მოსტობავს რანუნით,
ღნერბმა ნუ ქნას, —
მოდად იქცეს,
სამშობლოს სიყვარული.

ამას, სხამალლა ვაცხადებ

არც არაფერი დაშლილა,
არც არაფერი წაშლილა,
სულ განგაში და ტაში ვარ,
ჩემს ხრიოკზე თუ მდელოზე,
ვაცხადებ!

ქრისტიანობის,
ასი წლით მეტი სტაჟი მაქვს.
ასი წლით მეტი სტაჟი მაქვს
დანარჩენ საქართველოზე.
ტაოკლარჯეთის მზე არის,
ჩემი მოთავეც, მეთავეც.
შენ!

მნერწყვავო და მხხრეკავო
წადი ახლა და, — მედავე.

პასუხად ბატონ გვიანძიძეს

ამას ჭეშმარიტი ცხადი მეუბნება,
ცხადი, — ვარსკვლავსავით
კაკაჩი,

ზოგი დედაენას სკოლაში
ეუფლება.

ზოგიც... მოჭიჭინე აკვანში.

წარსული ხსოვნა...

მე ისევ აქა ვარ,

ჯანდს ვაცილი ჩარღვეულს,
ჩათელილს,



ჩემს სულში ბარბალებს, არამც
 არ ჩამქრალა,
 ილიას მოშვერილი სანთელი.
 მაგრამ რამდენი ურჯუკი
 მეღაფება,
 იმდენი, რამდენმაც მაწამა,
 შენ როგორ არ ვიცი... მე კი
 დედაენა,
 დიდნენემ აკვანში მასწავლა.

გ ა ხ ს ო ვ ს !

გაცრეცილს იხსნის ნილაბს,
 სული გავსილი ნისლით,
 შენ გოლგოთამდეც იყავ,
 კაცობრიობის ღირსი..
 ეხათქუნები ტახტებს,
 თუ ხელთათმანებს ისვრი,
 შენ არტახებით გახდი,
 თავისუფლების ღირსი.
 შენი ვერაგიც გიყვარს,
 კაცობრიობის ერთად,
 შენ იმ დევნაში იყავ
 ღირსი დღევანდელ დღეთა.
 სილაგაწული ლოყა,
 რამდენ დიდებას ითვლის?
 დიდთა ნანგრევთა მოჰყავს,
 ქვეყნად პატივიც დიდი.
 არა ღუმილის წლები,
 ვიდრე განგაში გვიან,
 გარდატეხები, ძვრები.
 დიად ეპოქას ქმნიან...
 გახსოვს?! —
 ტრიბუნებს ფუშტი,
 ზოტბა-დიდების ჩორკნით,

როგორ აფშენიდა მუშტებს,
 კუტპოეტების ჯოგი?!.
 გახსოვს?! —
 გზვერადა როგორ,
 ცივი გუგების კირით,
 რალაც... შემთხვევის გამო,
 ტახტზე ასული პირი?!
 ახლა? —
 ხალათში მალავს,
 შუბს შხამიანს და ბოროტს,
 გარდაიქმნება? — არა!
 გამოიცვლება მხოლოდ.
 გაცრეცილს იხსნის ნილაბს.
 სული გავსილი ნისლით,
 შენ გოლგოთამდეც იყავ,
 კაცობრიობის ღირსი.

ავთანდილის გზით

აგერ, ჩემი ვარსკვლავი
 შენს ბეჭებზე ზის,
 საქართველოვ, გასწი!
 ავთანდილის გზით.
 სულ მეფური ფლასით,
 ფერადებით ცის,
 საქართველოვ, გასწი!
 ავთანდილის გზით.
 არა, ნაყარ-ნამწვით,
 არც ცეზების ზნით,
 გასწი!.. წინ, წინ გასწი,
 ავთანდილის გზით.
 სიყვარულის დახსნით,
 სიყვარულის მზით,
 საქართველოვ, გასწი!
 ავთანდილის გზით,
 ავთანდილის გზით!

თავდაპირველად!..

ჩვენს სულს ბურღავ, ისევ მიწეწილს,
ბოლოს დათბები და მთავრდება მიზეზ-მიზეზი.

იმ პირველ ღამეს!..

იმ ჟრუანტელს, იმ ცის ბანცალით,
გაღმა გასასვლელ ფონს ეძახი გოგო საწყალი.

გვიდედოფლები!..

გვიქალდები, ღვთიურ ზვირთებით,
და ჩვენს სიყვარულს ღილს აკერებს შენი თითები.

სულ გვეკრძალები...

სულ გვეჩვევი, სულ გვეფერები,
სულ ჩვენს სენაკში ქათქათებენ შენი ხელები.

ხან გვებუტები...

ხან გვენუკვი, ხან გვედავები,
ჩვენს დაღლილ ღლებს უაღერსებს შენი
მკლავები.

ხან გვაჯაჯლებ...

ხან გვაშმაგებ, ხან გვამიზეზებ,
ასე ავდივართ წუთისოფლის მაღალ კიბეზე.

ხან გვაყოყმანებ...

ხან გვაჩქარებ, ხან გვაგვიანებ,
გემაყება! — რაც ვიარეთ, კარგად ვიარეთ.

ჩვენს სიცოცხლეში სულ ქალი ხარ, სულ ღვთის
ბეგარა,

როს გადავდგებით, შენ დედაკაცს გარქმევს ქვეყანა.

არ გაზარზვალებს ჩვენი ხრინწი და გულბალანი,
შენს ლექსიკონში მომბეზრდო, — სიტყვა არ
არის.

თავს არ დაგვადგი ის სიკვდილი, —

ის ჯოჯოხეთი,

არ გვეშინია ტოლ-სწორებში უკან მოხედვის.

არ იკენწლები...

არ იფცქენები, არ იშმუშნები,

ჩვენს სასთუმალთან ცრემლით მოგაქვს წამლის
შუშები.

შიშით გვავედრებ,

თბილად გვწყევლი,

ბოლბს... დაგვტირი,

აბა, რა გზა გვაქვს საყვარელო! — არ გცეთ
პატივი.

ქეთევან მელიქიძე

თეთრი ქვების ღარაჯი

ზარის ღილაკს თითი რომ დააჭირა, იგრძნო, როგორ დაეძაბა სხეუ-
ლი, სადარბაზოში გამოკვეტილმა სიჩუმემ თითქოს გულიც გაუჩერა. კა-
რი თემომ გააღო, რამდენიმე წამი უცნობეზივით ათვალთვლებდნენ ერთ-
მანეთს. მერე თითქოს ორად გაიყო, კაცის ზურგს ქალის სხეული
გამოეყო, ლიზიკოს მკლავში ჩააფრინდა და დერეფანში შეათრია.

— მადლობა ღმერთს, რომ მოხვედრი ლიზიკო, მადლობა ღმერთს!
ერთი კვირაა სახლიდან არ გადის. ჩემი შვილი, გელოდება. რას გაშტე-
რებულხარ, შეიყვანე ბავშვი ოთახში! — ნაძალადევად იცინოდა ქალი.

„ტყუილად მოვედი, ყველაფერი იცის“, — ფიქრობდა ლიზიკო.

— მომილოცავს ჩემი გოგო, — ჩუმად თქვა თემომ, — მომილოცავს!
ინგამ მათ გარშემო სირბილს თავი დაანება, სიცილი შეწყვიტა და
გაქრა.

— ჩემი გოგო, რაღაც ახალია. — ხმა ამოიღო სტუმარმა.

— ვიხვეწებით, ჩვენც გვინდა იქ, ზევით მოხვედრა, — საჩვენებე-
ლი თითით თავსზემოთ წრე შემოხაზა თემომ.

— ვიცი, იმიტომაც არ მთხოულობ! — ლიზიკომ კარები გამოაღო
და ოთახში შევიდა.

— ორი კაცი ხომ ვერ შევირთავთ ერთდროულად, რამდენადაც

ვიცი, ერთთან უკვე ცხოვრობ და ქორწილის დღეც დაგინახავს, — მსახიობივით ლამაზად, დაყენებული ხმით ლაპარაკობდა კაცი. ბოლომდე მაინც ვერ ითამაშა, — დროზე უნდა დამემტვრია ცხვირ-პირით ჩაილაპარაკა და გაჩუმდა.

— მაგის უფლება არ გქონდა, ჩვენს შორის არაფერი ყოფილა, — ისე ჩუმად თქვა, თემომ უფრო იგრძნო, ვიდრე გაიგონა ნათქვამი.

— სწორედ. მაგ „არაფერმა“ მოგაცუნცულა ჩემთან, — შხამიანმა ღიმილმა ჩაუნაცრა ტუჩები.

— თემო, თემო! — კი არ დაუძახა, მათხოვარივით ითხოვა რაღაც.

ბნელ ოთახში თითქმის არ ჩანდა ქალი. კაცი ახლოს მივიდა, ხელე-ბში მოიმწყვდია მისი სახე, დაიხარა, თოვლით დაფარული იის სურნელი იგრძნო, მზის უნახავად გათოშილი ყვავილის.

— დარჩები? — შეეკითხა წვიმას.

— დავრჩები. — გათბა წვეთი.

სიბნელეს დაეჯახა ლიზიკოს თვალების ფერი, მხოლოდ ძალიან ღრმად, ფსკერზე, სიხარულის ნაპერწკლები აკიაფებულიყვნენ და თე-მო საკოცნელად დაიხარა, ტუჩებით უნდოდა შეეგრძნო ისინი.

ზარის ხმა უხეშად შემოიჭრა ოთახში და თითქოს ხელი კრესო, ისე დაშორდნენ ერთმანეთს. თემომ სინათლე აანთო, ქალის თვალებში ჩამდგარი წყლის ზედაპირი შეირხა, დაიფშვნა და კაცს სახე დაუწიწვნა. ლიზიკომ თმა გაისწორა და უცებ, თითქოს მისი ყურის ბიბილოზე ჭინკა აცეკვდაო, ისე აბრჭყვიალდა ძვირფასი საყურე.

ზარის ხმა განმეორდა.

— სახლში ხარ? — ჩუმად იკითხა ინგამ და პასუხისათვის არ დაუ-ცდია, გასაღები გადაატრიალა.

— გაგაღვიძეთ? — ნაცნობმა ხმამ ოთახში შემოაბოტა, უკან ირაკლი და გოგა მისდევდნენ. ლიზიკოს დანახვამ დააბნია ბიჭები, უხერხულად გადაკოცნეს ერთმანეთი და თემოს მიაშტერდნენ. სამივე მიხვდა, უდროო დროს შემოეხეტნენ.

— ერთი წუთით შემოვიარეთ, ფეხბურთზე აპირებ წამოსვლას? — მოიბოდიშა ირაკლიმ, — ჩვენ მივდივართ.

— დარჩით, თორემ ლიზიკოს ეწყინება, ქორწილში გვეპატიყება. ნახეთ როგორი საყურე უჩუქებიათ, ბრილიანტებში ვერ ვერკვევი, მაგ-რამ კისერს მოვიჭრი, ათზე ნაკლები არ უნდა ღირდეს, — მხიარულად იღიმებოდა თემო.

— მართლა ლიზიკო? — ყველაზე გულუბრყვილო გოჩა უცებ ენდო მეგობრის თბილ ტონს. — ტყუილად აწვალბდით ერთმანეთს, კიდევ კარგი, გადაწყვიტეთ.

ლიზიკო ხმას არ იღებდა, ორივე ხელით საყურეები ჩაებლუჯა, თი-
ქოს ემინოდა, რომელიმეს ყურებაანად არ ჩამოეგლიჯა ისინი.

— შაბათს ოთხ საათზე ქორწინების სახლში, — თქვა ბოლოს და
წავიდა.

არავის გაუცვილებია.

— რა უნდოდა? — იკითხა ირაკლიმ.

— დარჩენა, — თქვა თემომ.

ოთახში ინგა შემოვიდა. ბიჭებს დააკვირდა. შვილისათვის არ შეუხე-
დავს, სამზარეულოსაკენ წაფარფატდა.

— ძალიან დაბერდა. — ზმამაღლა გამოუვიდა ნაფიქრი გოჩას.


თემომ სინათლე ჩააქრო, ლოგინზე მიეგდო და ბალიშში ჩარგო თა-
ვი.

„ასე ალბათ სიყვარული კვდება — გაიფიქრა გოგამ—და ჩვენ, ჰირი-
სუფლებს, ან სამძიმარზე მოსულ მეგობრებს, არაფრის შეცვლა არ შეგ-
ვიძლია“.

ბიჭებმა უსიტყვოდ დატოვეს ოთახი. სამზარეულოში ინგა ტირო-
და. ამგვარად თოვლში გაგდებული უსინათლო ლეკვი წკმუტუნებს...

ოჯახს, რომელშიც დღეიდან ლიზიკოს უნდა ეცხოვრა, არაფერი
აკლდა. არაფერი, გარდა ლამაზი რძლისა, რომელზეც ოჯახის უფროსი
ოცნებობდა და მიიღო კიდევ. ქორწილი დიდებული გადაიხადეს, ოთახიც
ისე მოუწყვეს, თითქოს საკუთარ ქალიშვილს ამზითებდნენ, მაგრამ პა-
ტარძლის სახეზე გაყინულ თავაზიან ღიმილს გაღლობა არ ეწერა. სტუმ-
რების წასვლისთანავე ჩამოვარდნილ უხერხულ სიჩუმეში იგრძნო კაც-
მა, სახლში ნაღველი დასახლდა, ლიზიკოს საწოლის თავის ფერი, მსუბუ-
ქი, ღრუბელზე დაფენილი და დალიანდაგებული ყვითელი ატლასი.

ერთ ჭერქვეშ ორი ლამაზი ქალი ვერ ეტეოდა. მით უმეტეს ორმოც-
დაათს გადაცილებულისათვის ძნელია ახალგაზრდასთან გაჯიბრება, პირ-
ველობის დათმობა კი ჰირს. ოხ, როგორ ჰირს მკაცრი დიეტა, შესა-
ნიშნავი თმის საღებავი, „ძვირფასი“ მკერავის მიერ შეკერილი კაბა,
ფრანგული პარფიუმერია — ყოველივე უძლური აღმოჩნდა, როცა საქმე
ასაკს შეეხო. ქალი საათობით იჯდა სარკესთან და ხედავდა სახეზე გაჩე-
ნილი ნაოჭები როგორ ავიწროებდნენ თვალებს, ძაღლებივით უკბენდნენ
ხელებს, წურბელებივით ასხდნენ ყელზე, მოურიდებლად ებორწიალე-
ბოდნენ ძუძუებზე. დათმობის ყამი დამდაგრიყო, რაღაც მნიშვნელოვან-
თან განშორების და „ფორმაში“ ყოფნა უკვე ვეღარაფრის შველოდა.
ბებიის როლი, რაოდენ მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს იგი, თუმცა ახა-
ლგაზრდას, მაგრამ მაინც ბებიას განასახიერებს და არა ასაკში შესულ
მშვენიერ მანდილოსანს, რომელიც დიდი სიყვარულისა და თავყანისცე-



მის ღირსია. სიყვარულს კი ანა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეძღვნა, და სწამდა კიდევ, რომ აუცილებლად ეწვეოდა იგი, ახლა თუ არა, მომდევნო გაზაფხულზე უსიკვდილოდ. ოღონდ უნდა მოესწრო და პირველი ფიფქის დანახვითანავე ჩაეფიქრებინა სურვილი.

ღიახ! ქალი, რომელსაც სიცოცხლის ნახევარზე მეტი ქმრის გვერდით, ერთ სარეცელზე გაეტარებინა, სიყვარულს მშვიდი ძაღლივით გარე-გარე ეძებდა. ბოშათა ბანაკივით აჭრელებულ და აჭყვიტინებულ ბრბოში, ოჯახში გაუთავებელ მიმსვლელ-მომსვლელთა სახეებში, დიდი ქალაქების სასტუმროებში, დასასვენებელ სახლებში, ზღვაში, მთაში, ყველგან — მაგრამ ამაოდ. კაცი, რომელიც ყურში ერთადერთ სიტყვას ჩასჩურჩულებდა და მის სიმართლეში დააჯერებდა, დაატოვებინებდა ქმარ-შვილს, ძვირფასი ავეჯით მოწყობილ სახლს, არსად ჩანდა.

ხედებოდა თუ არა ქმარი რაიმეს, ძნელი სათქმელია, რადგან ანა კარგი დედა და დისახლისი იყო. მშვიდი, დინჯი, სიტყვის ენის წვერზე დამჭერი, ამიტომაც კაცი დარწმუნებული იყო, რომ გაუმართლა. ხანდახან, როცა ვინმეს ცოლს უგინებდნენ, თავისი გაძხენდებოდა და სახე გაებადრებოდა. არა, ტყუილად არ ატარებდა იგი მოდიდან გასულ უღვაშებს, ისინი ამშვენებდნენ მის გვარს, ოჯახს, კეთილშობილი სახის ნაკვთებს. ბედნიერი იყო კაცი, თუმცა ხანდახან მაინც მწარედ დაიჩივლებდა, გულს უჩიოდა, საკმაოდ გავრცელებულ დაავადებას, რადგან ერის მსახური იყო და იცოდა, ჯერ ყველაფერი ვერ იყო წესრიგში და მთლად დალხინებულად თავის ჩვენება ეუხერხულებოდა.

საკუთარი ანეკდოტებით, ჩაითა და ნამცხვრით კმაყოფილი ოჯახის უფროსი ძილის წინ აუცილებლად მოლა ნასრედიანის ოხუნჯობებს გადაიკითხავდა, უყვარდა ეს ენაკვიმატი წიგნი, თანაც ცალი თვალით მეუღლეს ათვალიერებდა. ქალი სარკესთან იჯდა და სახეზე მკვებავს ისვამდა, კაცს სიამოვნებდა ოთახში დატრლილებული უცნაური სურნელი. ათასნაირი ფორმის ფაიფურის ფერადი ქილები, ზეთი ხელების დასარბილებლად, ფეხების დასარბილებლად... თუმცა თვლიდა, რომ მის ცოლს ყოველივე ეს არ ესაჭიროებოდა. ბოლოს გარდისფერ პენუარში გახვეული ქალი სინათლეს ჩააქრობდა და საწოლს მიაშურებდა. „მერიდება“ სიამოვნებით გაუელვებდა კაცს თავში, (ასე ფიქრობდა იგი უკვე ოცდაათი წელიწადია). წიგნს გვერდზე გადადებდა და მეუღლისაგან მიიწევდა. ჯერ მოტკბო, ოდნავ გულისამრევი ნელსაცხებლის სურნელი გაუღიზიანებდა ცხვირის ნესტოებს, კაცი ნაცნობ სურნელს გაუღიმებდა და დინჯად იწყებდა მკვებავის გადატანას სახიდან ყელზე. ტუჩები ქონით გაეპოხებოდა, ტკბილად აკრუტუნდებოდა და ერბოთი გამაძლარ კატას ემსგავსებოდა. „უღვაშებზე ვანილის სუნი სდის, დაებანა მაინც“ — ბრაზობდა

ქალი და აქლოშინებული მეუღლე რომ არ დაენახა, თვალებს მაგრამ ვერ
ჰხვდა.

„საინტერესოა რამდენ ჩემს კოლეგას არა აქვს ყოველივე ამის
თავი“, — ფიქრობდა კაცი და ცდილობდა რაც შეიძლება კარგად
დაენახა საღამურში ჩაძირული ცოლის სხეული. ვაჟკაცობა ვაჟკაცობად,
მაგრამ წლიდან წლამდე ერთი და იგივე ცოტა მოსაზერებელია, ქალის
სიშიშვლემ თუ ცეცხლი არ შემოგინთო.

სანამ ცოლის ლოყახე თაფლში ჩავარდნილი ბუზივით მიწებებული
კაცი არაამქვეყნიურ ნეტარებას ეძლეოდა, მეზობელ ოთახში მისი მემკ-
ვიდრე სიმწრისაგან თითებს იკვნეტდა.

— ბოლოს და ბოლოს ამიხსენი, რა გინდა. ხომ უნდა გამაგებინო
რა გიხარია, ან რა გწყინს. შეიძლება ნიღაბივით მთელი დღის განმავლო-
ბაში ერთი და იგივე სიფათით სიარული? რას მიყურებ? მითხარი. ეგებ
რამე გაწუხებს, მიბახუხე რომ გელაპარაკები! — ყვიროდა დედისერთა.

ლიზიკო სიგარეტს ეწეოდა, თან თეთრ მაგიდაზე მოფუთფუთე
ჭიანჭველებს აკვირდებოდა. რამდენიმე დღის უკან ანანასის კომპოტი
დაედგარა და ახლა ეს პატარა მწერები ეტყობა ნასუფრალზე ნაღბს იხ-
დიდნენ. თანაც იქით-აქით გარბი-გამორბოდნენ და სხვებსაც ეპატიებო-
დნენ. ქალმა მაგიდის ფეხს თვალი გააყოლა და წვრილი, ჯაჭვივით ჰაერ-
ში გამოკიდული სტუმრების მწყრივი დაინახა.

დედამთილს რომ არ ეძინოს შეიცხადებდა ანტისანიტარიას „საკუ-
თარ ოჯახში“, — გაელიმა ლიზიკოს.

— რა იყო? — გაუკვირდა დევის.

— იცის კარდენმა თავის საქმე. გიხდება. ეგ კოსტიუმი, — ასიამოვნ-
ნა ქმარი.

კაცმა — საკუთარი ფავი სარკეში შეათვალიერა, ეტყობა კმაყოფილი
დარჩა, მოტრიალდა, სავარძელი ცოლთან ახლოს მიაჩოჩა და ახლა უკვე
სხვა ტონით ჰკითხა, ახალგაზრდობის მეჯლისზე რატომ არ წამომყევით.

— სისულელეების მოსასმენად, არა? ჩვენო სპსიქადულო ახალგაზრ-
დებო, გამრავლდით, ჩვენ აგერ გართო, — ჭიანჭველების თვალიერება
განაგრძო ლიზიკომ, „საინტერესოა, თვითონ რატომ არ მრავლდებიან,
ან თავის დროზე რატომ არ გამრავლდნენ?“

— ბავშვი რომ გვეყოლება, მამა ვოლგას გვიყიდის, დამპირდა, —
მომავალ შვილს თუ ვოლგას გაუღიმა კაცმა.

— მამა კი არა, მამიკო. როგორ გამახარე! რატომ ადრე არ მითხარი?
ერთ შვილზე ვოლგას, ორზე — ტანკს, სამზე — იახტას, ოთხზე თვით-
მფრინავს, ოთხი ტყუპი რომ გავაჩინო, ალბათ გემსაც გვიყიდის, — ტა-
ში შემოჰკრა ლიზიკომ.

— ხანდახან მინდა რომ დავახრჩო, — გამოტყდა დევი. **თარიღი**
— ოტელო! — ქალმა კაბა გაიხადა და სივარეტს მოუკიდებდა. **მოქმედება**
— ნულარ მოწევ რა, დედაჩემი ჩემზე ორსულად რომ იყო, თამბაქოს
მიმართ ალერგია ჰქონდა, — კაცი ქალს ხარბად აკვირდებოდა და უკვე
ნანობდა რამდენიმე წუთის წინ რომ აწყენინა.

— მართლა? მე კიდევ კაცების მიმართ მაქვს ალერგია და ძალიან
ვთხოვ, გაითვალისწინო! — ლიზიკომ საჩვენებელი თითით მაგიდას ჭიან-
ჭველა დაასრისა.

დევი ოთახიდან გავიდა.

„ხეალ ქალბატონი ანა მის ვაჟიშვილს ჩემს გვერდით რომ ვერ აღ-
მოაჩენს, ჰკუდიდან შეიშლება“, — გაიფიქრა ლიზიკომ და საწოლის შუა-
გულში მოიკალათა. თავქვეშ ორივე ბალიში ამოიღო. „მომიტევით დე-
დავ-ბატონო, რომ დღეს მე, საყვარელი მეუღლის გარეშე, პრინცესასა-
ვით მარტო ვიძინებ იუგოსლავიის მიერ საფრანგეთის მეფის ლუდოვი-
კო XIII პატივსაცემად გამოშვებულ ძვირფას ლოგინზე“, — გამოელა-
პარაკა დედამთილს და თვალები დახუჭა.

დაძინება მაინც ვერ მოახერხა. სიჩუმეს უგდებდა ყურს და ცდი-
ლობდა წარმოედგინა დევი რას აკეთებდა. „თავი რომ მოიკლას, მერე რა
მეშველება“, აეკვიატა ფიქრი. „მეტი საქმე არა აქვს! სისულელეების
დრო მოკვდა, არავინ არავისათვის არ გიჟდება; არავინ არავისათვის
თავს არ იკლავს“.

ერთხანს კიდევ იწრიალა. უზნეო ბავშვივით ბალიშები იატაკზე გა-
დაყარა, საბანი ზედ მიაყოლა. შესცივდა. საცოდავად მოიბუზა. მუცე-
ლზე დაიდო ხელი. „ნეტავ ეს თუ გრძნობს რამესო“, დაინტერესდა. წა-
მოღვა. ხალათს დასწვდა. იაპონურ აბრეშუმზე ამოქარგული პეპლე-
ბის ფრთებზე დახატული გაზაფხული აცეკვდა. მსუბუქმა ქსოვილმა და-
უსუსხა თითები. „იმათი ნაყიდა“, ზიზლით დაებრიცა ტუჩები. კარადას-
თან მივიდა. ძველი ხალათი მოძებნა. გაუხარდა გამოხუთებული ჩითვის
დანახვა, ქალბატონი ანას ნატიფი გემოვნებით შერჩეულმა კაბებმა
გულგრილად დაათვალიერეს პატრონი. „რისი წაღება შემოიძლია, რა არის
ამ სახლში ჩემი?“ — გულს ასკდებოდა ლიზიკო. წასვლა როდის გადა-
წყვიტა, არ ახსოვს, მაგრამ ახლა დარწმუნებული იყო, რომ ერთ წუთსაც
ვეღარ დარჩებოდა ამ სახლში.

ჭრელი ჩანთა გამოათრია. შიგნით რამდენიმე პერანგი, კაბა და შარ-
ვალი ჩაუჭა. ჭასავით ღრმა ჩანთა ვერაფრით ამოავსო: ღვინით გამო-
მტყვრალი კაცივით დაელო პირი და ფრანგული სუნამოს ოხშივარს
ანთხევდა ცხვირ-პირში ლიზიკოს.

„არაფერსაც არ წავიღებ!“ — ოდნავ შესუქებული ჩანთა უკანვე
მოისროლა.

„რატომ, ოთხი თვის საფასურის წადების უფლება გაქვს!“ — ვერა
რში ჩასძახა ხმამ, რომელიც დედამთილისას წააგავდა.

— საჭმელში არაფერს დამიქვითავთ? არც ბინის ქირას გადამახდევით-
ქბთ? რა კეთილი ბრძანდებით ქალბატონო ანა, მე კი როგორი უმადუ-
რი გამოვდექი, რამოდენა ზარალი მოგაყენეთ. მეორე რძალი ჩემი ზომის
რომ არ გამოდგეს, ხომ ოხრად დაგრჩებათ ოთუზბირად ნაყიდი ტანსაც-
მელი. ყველას დაასწარით, ყველაფერი შეიძინეთ, მე გამოგრჩით მხოლოდ
მხედველობიდან. ძვირია სილამაზე, თქვენი ყოვლისშემძლე შვილისთვის-
საც კი ძნელად ხელმისაწვდომია!

არავინ გამოპასუხებია. ქალბატონი ანა ქმრის მკლავებში ოფლად
იღვრებოდა და თავის ქარაფშუტა რძალთან კამათისათვის არ ეცალა.

ლიზიკო ფანჯარასთან მივიდა. ქუჩა სიბნელეს დაეჯღაბნა. ერთად-
ერთი ქუდიანი ნათურა საკუთარ თავს ძლივს ანათებდა.

— მეშინია წასვლა, — გასძახა ლიზიკომ.

ხმა ვერ მიაწვდინა. ყვითელ მღუმარებაში მომწყვდეულ წრეს მის-
კენ არც გამოუხედავს.

მისაღებ ოთახში, ტახტზე, დევის ეძინა. ლიზიკო ახლოს მივიდა.
მძინარეს ეტყობა ცხელოდა, ცხვირზე, შუბლზე და ტუჩს ზემოთ ოფლის
ბუშტები ასხდნენ. „კიდევ კარგი, ფეხსაცმლის გახდა მაინც მოისაზრა,
მე კი ვფიქრობდი თავი არ მოიკლას-მეთქი“.

რამდენიმე საკეტის გადატრიალების შემდეგ რკინის კარი როგორც
იქნა გაიღო და ისე ჩუმად მიიხურა, თითქოს ქალთან შეთქმული ყოფი-
ლიყო და სახლიდან გაქცევაში შველოდა.

ლიზიკო ქუჩაში მიაბიჯებდა და უკვირდა, რამდენად მუქი ფერის
ჩანდა სიბნელე განათებული ფანჯრიდან. ცხვირზე წვიმის წვეთი დაეცა.
გაუხარდა გამომლაპარაკებლისა და გამცილებლის გამოჩენა. წვიმა არ
ჩქარობდა. კანტიკუნტად ეცემოდა, თითქოს სეირის საყურებლად აბე-
ზარი ვამვლელებით ავიდებოდა წვრილქუსლიან, ლაბლაბა ფეხსაცმე-
ლებს. ხანდახან დაგვიანებული მანქანა არღვევდა მყუდროებას და ლიზი-
კოს უხაროდა, რომ არც ერთს აზრადაც არ მოსვლია გაჩერება. თუმცა
ქალბატონი ანასათვის რომ გეკითხათ, საკმარისი იყო ახალგაზრდა
ქალი გვიან ღამით ქუჩაში გამოსულიყო, მაშინვე მრუში თვალების
ტალახში ამოისვრებოდა და რომელიმე ავხორცი მძლოლის მსხვერპლი
გახდებოდა.

ქალაქს ღრმა ძილით ეძინა. ყველა ცდილობდა მოესწრო და მისთ-
ვის განკუთვნილი სიზმარი დილამდე ენახა. არავის ედარდებოდა რატომ
დაბორილებდა ხელის გულივით გადაყვლეფილ მსფალტზე წარჩინებუ-
ლი ოჯახიდან გამოქცეული ქალი, რას ეძებდა, ან საით მიდიოდა. თუმცა

ვინმე კიდევ რომ დაინტერესებულიყო, მაინც ვერაფერს გაიგებდა, რადგან რაც უფრო უახლოვდებოდა დედამისის სახლს, მით უფრო უძნელდებოდა ლიზიკოს სიახულები. ქალიშვილის დანახვაზე ზინას გული გაუსკდებოდა, ხოლო ის ტრაგიკული მონოლოგები, რომლითაც დედამისი ახლადგადვილებული ქმარ-შვილის წინაშე წარსდგებოდა, დიდხანს ემახსოვრებოდათ ლიზიკოს ბედ-იღბალით შურისაგან გაელამებულ მეზობლებს.

დედას, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩა ის ყურადღება, რომელსაც ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში მოსიარულე ლიზიკო იქცევდა. თანაც სწორედ იმხანად, ქუჩაში მოხეტიალე აკიდოსავით ბავშვივით დახუნძლულმა ბოშა ქალმა, მის ქალიშვილს ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ზინას ყურადღების მორევში აფართხალებულიყო პატარა ლიზიკო, ხოლო მისი უმცროსი და-ძმა ოთხმოცი წლის ბებიისათვის და მამისათვის გადაეხარებინათ.

გოგონას ბრწყინვალედ აცმევდნენ, ასწავლიდნენ რამდენიმე უცხო ენას, დაჰყავდათ მუსიკაზე, ხატვაზე. მხოლოდ სპორტის მიმართ იყო გულგრილი დედამისი და ამიტომაც ლიზიკო სტადიონებზე სირბილს გადაარჩა. მალე მონდომებულ მშობელს სკოლაც გვერდში ამოუდგა და რა ღონისძიება უნდა ჩატარებულიყო ბუმბულივით მსუბუქ ლიზიკოს რომ არ დაემშვენებინა. გოგონა საშუალოდ სწავლობდა, რატომღაც მაინც მაღალ ნიშნებს უწერდნენ, პიონერთა სასახლეში დრამატულ წრეში მიიღეს და თუმცა ავტომატით ერთფეროვნად ისროდა კლასიკოსების კეთილშობილ ფრაზებს, ყველა მთავარი როლი მას ეკუთვნოდა. უფროსკლასელთაგანაც გამუდმებით იღებდა სასიყვარულო ბარათებს, რომლებსაც უკლებლივ დედამისს აბარებდა და ზინაც მიჯნურთა მიმართ სასტიკადმინისტრაციულ ზომებს იღებდა. წარმოიდგინეთ თვით გადაღლილი ქუჩაც არ იყო გულგრილი ბავშვის მიმართ. ჩქარი ნაბიჯით მიმავალი გამველელიც თვალს შეავლებდა თუ არა, ნაბიჯს შეანელებდა და რაღაც ღიმილის მაგვარი გამოეხატებოდა სახეზე. გოგონა დარწმუნებული იყო, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა და ყვავილივით ლამაზად მოჰქონდა თავი, ყველას გასახარად მოდიოდა.

მშობლის გადაკარბებულმა ყურადღებამ ლიზიკოს და-ძმა ჩამოაშორა, და თუმცა გულით უნდოდა, მათ ბავშვურ თამაშობებში მონაწილეობას ვერ იღებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დრო არ ჰქონდა, გამუდმებით სადღაც დაარბენინებდნენ, მეორეც, როცა კუთხეში დათვის ბელეზივით მოგორავე და-ძმასთან ჩაიმუხლებდა, პატარები თამაშს შეწყვეტდნენ და უკლებლივ ყველა სათამაშოს უფროს დას გადმოუყრიდნენ, თითქოს თავიდან იშორებდნენ. ატირებული ლიზიკო დედასთან გარბოდა და აი სწორედ მაშინ იწყებოდა პატარების დაწიოკება. „აი, თქვენ შურიანებო,

თქვენ გათახსირებულებო“, — სამზარეულოდან გამოვბოდა და გარდა-
ბული ქალი და ანჩხლი დედინაცვალივით მტკივნეულად აწიწქნიდა თმებს
კუთხეში მიკუჭულ და-ძმას. „არ დაგინახო მუხლებზე დამდგარი, წასას-
ვლები ვართ, წინდები დაგესვრებაო“, — ჩასძახებდა ლიზიკოს ყურში
და ოთახიდან ბურთივით გაგორდებოდა.

აიკვლებულ ბავშვებს მამა ამშვიდებდა. ფრთხილად აიყვანდა ხელ-
ში, თანჯრის რაფაზე დასვამდა და ვინ იცის მერამდენედ ნაცარქექიას
ამბებს უყვებოდა. პატარები გასუსულები უსმენდნენ. მამის დიდ მკლა-
ვებს მაიმუნებრივით აქეთ-იქიდან ებორწილებოდნენ და იცინოდნენ.
თეთრ, ქათქათა კაბაში გამოწყობილი ლიზიკო შუა ოთახში იდგა და თუ-
მცა მამამისი უკან არ იყურებოდა, გრძნობდა, რომ ეს ზღაპარი მასაც
ეკუთვნოდა და ადგილიდან არ იძვროდა მანამდე, სანამ დედამისი ქორი-
ვით არ დააცხრებოდა თავზე და სადღაც არ წაფრიალებდა. ვიდრე
ავტობუსში ავიდოდნენ, ლიზიკო ერთხელ კიდევ შეავლებდა თვალს თან-
ჯრებს და მიწაზე ცხვირმიჭყლეტილ და-ძმასა და მამის გაღიმებულ სახეს
ხედავდა...

ზინამ კარგად იცოდა ქალიშვილის ფასი და მისი მომავალიც წინას-
წარ გადაწყვიტა. ლიზიკოს ჭკვიანური ნაბიჯი უნდა გადაედგა, „ასრა-
ჩვეულებრივ“ ოჯახში შესულიყო და მშობლების ამავსი გადახდაც არ
უნდა დავიწყებოდა. ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა დედის ყველა ოცნება
ასრულდა, მისი ქალიშვილი არაჩვეულებრივ ოჯახში შევიდა (დიდებულ
ქორწილში მირთმეული სუკის ნამცეცები ჯერაც ზინას მეჩხერ კბილებში
ჰქონდა გაჩხერილი), მისი ანგელოზი ლიზიკო შუალამზე გარეთ გაგდე-
ბული უპატრონო ძაღლივით ფრჩხილებით კაწრავდა მამისეული სახლის
კარგებს. არა, ასეთ უბედურებას ზინა ნამდვილად ვერ გადაიტანდა და
ამიტომაც უცხოთსავით ჩაუარა ქალმა მშობლების სახლს.

წვიმამ იმძლავრა, თეთრი ბალივით მრგვალი, გამაძლარი წვეთები
ეხეთქებოდნენ ტოტებს. ფოთლებიც გამოფხიზლდნენ. ლიზიკოს ისეთი
შეგრძნება დაეუფლა, თითქოს უხილავი ორკესტრის მუსიკოსები ინსტ-
რუმენტებს წვიმის სიმფონიის შესასრულებლად აწყობდნენ.

„დუმ-დუდუ-უმ-დუდუ!“ — მედოლესავით რიტმულად უბარტყუნე-
ბდა თავში სახლის სახურავებს წვიმა. ლიზიკომ წვეთების პირველი აკო-
რდები ლაბადასავით მოირგო დასველებლ მხრებზე და სირბილით უშვე-
ლა თავს. მთელ დედამიწაზე ერთი სახლი ეგულებოდა, სადაც მისი მის-
ვლა, გაუხარდებოდათ და სწორედ იქითკენ მივბოდა. მივბოდა თავდაუ-
ზოგავად, თითქოს უკან მკვლელები მოსდევდნენ, ხან ორმოში ჩაუვარდა
ფეხი და ზანაც რკინის მავთულმა შემოაზნა წინაა.

შორიდან დაინახა, ფანჯარაში სინათლე ენთო. „მელოდება, იცის

რომ მივალ და მელოდება“. სირბილს უმატა. ფანჯარას შავი ჩრდილი მოადგა. ფარდა გადასწია, წინ გადმოიხარა და შუბლი მინას ლიზიკო ერთ ადგილას გაქვავდა. ბავშვობა მოავონდა, ფანჯარასთან მდგომი მამა და და-ძმა. თემოც ისევე გაუცხოებულიყო მისთვის ახლა, როგორც დიდი ხნის წინათ ისინი „არა! არა!“ იკვილა ქალმა და დაინახა ჩრდილი უცებ მოსწყდა მინას და ღამურასავით კედელს მიეხალა. ლიზიკოს საკუთარი ხმის შეეშინდა. პირზე აიფარა ორივე ხელი. ღამეც გაშრა, წვიმის წვეთების თვლა შეწყვიტა. სადარბაზოს კარები ხმაურით გაიღო, იქიდან გამოჭრილმა სინათლის ენამ შავი ჩრდილი გადმოაბურჱვა და გაქრა. ლიზიკოსკენ თემო გამორბოდა, როგორც მაშინ, სულ ახლახან, დიდი ხნის წინათ...

— სამი საათია, როგორ არ გეშინოდა, სულელო, — სველ თმებს პირსახოცით უმშრალებდა თემო.

— შენთან წვიმამ მომიყვანა, სხვაგან მივდიოდი, იმან კიდევე აქეთ წამომიყვანა — იცინოდა ლიზიკო.

— სად სხვაგან მიდიოდი ამ შუალამისას, სად სხვაგან? — უხაროდა თემოს და ლიზიკოს ლაპარაკს არ აცლიდა, ენიდან აცლიდა ტუჩებით სიტყვებს.

კაცის პერანგს ოფლის სუნნი ასდიოდა და რაღაც ძალიან შორეულსა და დაფიწყებულს ასენებდა გალუმპულ სტუმარს. „დაბერდა ინგა, ეტყობა ვეღარ უფლის“, გული ეტკინა ლიზიკოს, „და ამიტომაც ცოლი სჭირდება“, — უკარნახა ვიღაცამ. ლიზიკომ ფრთებივით ორივე ხელი ზემოთ აიქნია და თემოს მოხვია კისერზე. კაცს მძლავრი, დაკუნძული კისერი ჰქონდა, თბილი, უზომოდ. თბილი ტუჩები. ორივენი ისეთი გაშმაგებით ეფერებოდნენ ერთმანეთს, თითქოს იქაურობა დანადრული იყო და რამდენიმე წამის შემდეგ მძინარე სახლთან ერთად ყველანი ცაში აფრინდებოდნენ.

— მიყვარხარ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! — ჩურჩულებდა ლიზიკო და თან თემოს ტუჩები არ ეთმობოდა, თითქოს იქიდან გადმოღვრილი სითბო რომ გამქარაიყო, გული ყინულის ნატეხად ექცეოდა და გაუჩერდებოდა. მერე მუხლებზე კაცის ხელები იგრძნო და ოდნავ წამოიწია, კაბის გახდაში მიეშველა. წინდებიც თემომ გახადა, პერანგიც... სხეულის სიშფიმვლემ წამით ანთებული ასანთის ღვრივით დაჯაბნა სიბნელე და თითქოს რაღაც დაინდო ქალში, კაცმა ზემოდან საბანი გადააფარა. ლიზიკო ხედავდა როგორ სწრაფად იხდიდა ტანსაცმელს თემო და იატაკზე ყრიდა. როცა ფეხსაცმლის გასახდელად დაიხარა, ზურგზე ხერხემალი ამოებურცა. ქალი წამოიწია და ტუჩებით დაიწყო მალეების დათვლა. „ლიზი!“ — თემო უცებ მოტრიალდა, მკლავებში მოიქცია ქალის

სხეული და ფრთხილად დააწვა ზემოდან. იგრძნო თუ არა მამაკაცი ლიზიკომ ღრმად ამოიოხრა და სიამოვნებისაგან რომ არ ეკივლა, ეს მაგრად მოიკვნითა, ასე იწვა რამდენიმე წუთი და კაცის მხრებს ფრთხილად ეფერებოდა მანამდე, სანამ თემოს თვალებმა მის თვალებში გაყუჩებულ სიხარულს არ მიაკვლიეს და გაუღიმეს.

ოთახის კუთხეში მაგიდაზე მდგომი მალეძარა ხმამაღლა ითვლიდა გათენებამდე დარჩენილ წუთებს. საწოლის თავს ზემოთ, ჭერზე, უზარმაზარი ბზარი გაჩენილიყო, გეგონებოდათ სპეციალურად დანით გამოეფატრათ გაყვითლებული ბიაზი. ლიზიკო ხმას არ იღებდა, თემოსაგან ელოდებოდა რაღაცას და გრძნობდა, როგორ იბუდებდა მის სულში ჭერიდან ჩამოსული შავი აბლაბუდა.

„ქალი, რომელზედაც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, გვერდით მიწევს და ვერაფერს ვეუბნები, რადგანაც ჩემთვის ახლა იგი ბატონების მაგიდიდან მშვიერი მგლისათვის გადმოგდებული გამოხრული ძვალია და მეტი არაფერი“ — ტუჩებს იკვნეტდა თემო. „იდიოტი ხარ, უმაღური იდიოტი! შუალამეზე სახლიდან მარტო გამოიპარა და შენთან მოვიდა, დიდხანს იქნები ჩუმი? ამოიღე ხმა!“ — ეკამათებოდა საკუთარ თავს.

„მიევარს მკერდზე როცა მეფერებიან, ამას ხელი არ უხლია“ — გაიფიქრა ლიზიკომ და უსიამოვნო შეგრძნებისაგან გააჟრჟოლა, მიხვდა, დევი გაახსენდა და იმას შეადარა, ვის გვერდითაც ახლა იწვა.

— შეგცივდა? — წელზე მკლავი შემოხვია და თავი მხარზე დაადო თემომ.

ლიზიკომ ვითომ უხერხულად ვწევარო, მკლავი გაინთავისუფლა, ოღნავ ქვემოთ ჩაცურდა და იმდენი მოახერხა, კაცის თითებში მოაქცია მარჯვენა ძუძუ. თემო ეშმაკობას მიუხვდა, გაეღიმა, მაგრად დაუსრისა მკერდი, თითქოს ფეხის წვერებზე შედგნენო, ისე წამოყვეს კერტებმა თავი. კაცმა იგრძნო, როგორ დაიძაბა ქალის სხეული, თვალებში ჩაღვრილმა ვნებამ ერთმანეთს მიაწება ქუთუთოები. წვერგაუპარსავი სახე სხეულს ჭინჭარივით სუსხავდა, მაგრამ ლიზიკოს ხმის ამოღების თავი არ ჰქონდა, ჩუმიდ ოხრავდა მხოლოდ და კაცის თმებში აბორიალებდა უსინათლო თითებს. უცებ თემომ სახეზე სისველე იგრძნო და თავი ასწია. ქალის დაბნეული სახე შემოიფეთა. ზურგზე შიშის ჭიანჭველები აფუსფუსდნენ. ლიზიკო საწოლზე წამოჯდა. სველი მკერდი საბნის ყურით მოიწმინდა.

— რა იყო? — იკითხა თემომ.

— ხსენი, — სადღაც წაკითხული ან გაგონილი გაახსენდა ლიზიკოს.

— როგორ ხსენი? — სიტყვის მნიშვნელობას ვერ მიხვდა თუ ნათქვამი არ დაიჯერა კაცმა.

ლიზიკო საწოლიდან გადმოიხარა, იატაკზე დაყრილი ტანსაცმელი აიღო და ჩაცმა დაიწყო.

თემო სააბაზანოში შევიდა, ცივ წყალს შეუშვირა თავი, არაფერზე არ უნდოდა ეფიქრა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც კოშმარული სიზმარი ნახა და ახლა უნდოდა წყლისათვის მოეთხორო და გაეტანებინა განცდილი.

...აკაციის ყვავილებზე წვიმა ქანაობდა. სველ ფოთლებზე სიმარტოვეს ეძინა. არა, კი არ ეძინა, თვლემდა. ლიზიკომ ფეხსაცმელები გაიხადა და იქაურობას გაეცალა. არავის გამოფხიზლება არ უნდოდა, სიმარტოვეს გაუტბოდა, იცოდა, თუ თვალს მოკრავდა, აუცილებლად აეკიდებოდა.

გარეთ ისეთი რბილი, რძისფერი სურნელით თენდებოდა, თითქოს ახლადგალვძებული ჩვილი უღიმოდა უკბილო პირით დედას. ქუჩაში კანტკუენტად მოსიარულე გამვლელები და მანქანები ფეხშიშველა ქალს აყოლებდნენ თვალს, მხრებს იჩეჩავდნენ და გზას განაგრძობდნენ. მათ ჯერ კიდევ გუშინ გადაეწყვიტათ სად უნდა წასულიყვნენ; და სწორედ იქითკენ მიიჩქაროდნენ. მხოლოდ ლიზიკომ არ იცოდა საით მიდიოდა, ან მის სხეულს თავშეფარებული სხვისი სიცოცხლე ვისთვის შეევედრებინა.

გასტრონომის წინ გამწკრივებულ პატარა რიგს მაღალი, გამხდარი კაცი გამოეყო და პირდაპირ ლიზიკოსაკენ წამოვიდა. ხელში თეთრი ბოთლებით სავსე ბადურა ეჭირა, რაც უფრო მეტად ახლოვდებოდა, უფრო მკვეთრად ასკდებოდნენ ბოთლები ერთმანეთს და უსიამოვნო ხმას გამოსცემდნენ. ლიზიკოს პირდაპირ შეჩერდა, ცოტა ხანს უყურა და მერე ისე ფრთხილად ჩამოართვა გულზე მიკრული ფეხსაცმელები, თითქოს ნაძვის ხის სათამაშოებში ყოფილიყვნენ და დამსხვრევისა ეშინოდა. დაიხარა, ბოთლები შეავიწროვა, ლაკის ფეხსაცმელები ხაჭოსა და არაყანზე დააღაგა, ბადურა მხარზე გადაიკიდა, ლიზიკო ხელში აიყვანა და ქუჩა გადაჭრა. რიგი დაიშალა, პირდაფხენილი მიაშტერდა უცნაურ წყვილს. „ამ ხნის ქურთი კაცი ვარ, ტაკოი რამ პერვი რაზ ვიყუჟ!“ — თავიდან თეთრი ქუდი მოიშვლიბა გამყიდველმა. დინჯად მიდიოდა კაცი, ძვირფასი ტვირთი გულზე მიეხუტებინა და მის მკლავზე გადაკიდებულ ბადურაში რიტმულად ირწყოდნენ რძის პროდუქტები.

დედა სახლში არ დახვედრიათ. ეტყობა რძლის სახლიდან გაქრობა შეამჩნიეს და საქმის გასარჩევად გამოიძახეს. ძმამ შალის პლედი შემოახვია ფეხებზე. დამ რძე აადულა და მამის დიდყვავილებიან ჭიქაში დაუხსხა. არც ერთი ხმას არ იღებდა, ლიზიკო ცრემლებისაგან მლაშე რძეს სვამდა და თითქოს პირველად ხედავდა სისუფთავისაგან განათებულ სამ-

ზარეულოს, ყვითელკუთხეებიან ფარდას ამოფარებულ ვიწრო ფანჯარასთან
უეცრად გაზრდილ დასერიოზულებულ და-ძმასა და მამის ნაოჭებში
დარ ნაღვლიან თვალებს.

მერე ლიზიკო საწოლში ჩააწვინეს, მამამისი მის გვერდით ჩამოჯდა,
თმებზე უსვამდა ოდნავ მოცახცხე თითებს და დაბალი ხმით რაღაცას
უყვებოდა. „კომბლე რა კაციბო?“ ჩაესმოდა ბურანში წასულ ლიზიკოს
დ გრძნობდა, რომ დედამისმა რაღაც მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო
დააკლო ცხოვრებაში, რომ ბედნიერება მამის მიერ ნაამბობ იმ ზღაპარ-
ში ცხოვრობდა, რომლის დაბოლოების მოსმენა პატარა გოგოს არ იქნა
და არ დასცალდა.

თემოს თითქოს არც გაკვირვებია ლიზიკო ოთახში რომ არ დახვდა.
საათს შეხედა, გაბღენძილი მალეძარა შეიდი საათისათვის იშვერდა
გრძელ თითს. „სულერთია, ეგ ამ სახლში ვერ იცხოვრებდა, დედამისი
თავს მოიკლავდა და უკან დაიბრუნებდა. ჩემი ჯამაგირით და ინგას პენ-
სიით თვეში ორჯერ წახვალ ბაზარში და დანარჩენი დღეები უნდა იშიმ-
შილო. აბაზანაში ყველა ონკანი გამოსაცვლეოია. ან არ იღება, ან თუ
ღმერთმა ქნა და გაიღო, ხელოსნის მოსვლამდე ვერ დაექტავ. მუჭისო-
დენა ტელევიზორი ფერადით არის შესაცვლელი, მაგის მეტს არაფერს
მთხოვს საწყალი დედაჩემი. თუ მოთხოვნები გამომიქვეყნეს, ან პიესის
დადგმას დაადგა საშველი, შეიძლება ცოტა მოვითქვა სული, მაგრამ ლი-
ზიკოს შენახვას გაცილებით მეტი სჭირდება!“

თემომ უამრავი საბუთი შეაგროვა ქალის წინააღმდეგ. მხოლოდ პა-
ტარა წვრილმანი გამორჩა, ლიზიკო მისი თანაკლასელისა და მეგობრის
ცოლი იყო და ქმარს იგი სიცოცხლეს ერჩია.

დამწყები პროზაიკოსი თავმოყვარე კაცი იყო, ღარიბი, და შეიძლება
ამიტომაც ავადმოყოფურად თავმოყვარე. შესამჩნევი გარეგნობა, ნიჭი,
შრომისმოყვარეობა, ყველაფერი იქითკენ ჰქონდა მიმართული, რომ
როგორმე სიღარიბე დაეჩაგრა და გამარჯვებულს გაჭირვებისათვის კისე-
რზე დაედგა ფეხი. მაშინაც კი, როცა მეგობარს გზიდან ჩამოეცალა, მის
ტვინს მათემატიკური სიზუსტით ჰქონდა გათვლილი, რამდენად არახელსა-
ყრელი იყო ხელმოკლე ოჯახიდან ქალის მოყვანა. მართალია, ლიზიკოს
ლერწმისფერი თვალები და რბილი წამწამების ჩრდილი ბარე ას ქალად
ღირდა, მაგრამ ჩვენს დროში თვალების მიხედვით მხოლოდ მდიდრები
ირჩევენ ცოლებს, ისიც თუ სიყვარულმა გამოატვინა ახალგაზრდობაში,
თორემ მერე სასწოროზეა ყველაფერი დადებული და რომელი მხარეც
გადასწონის...

თემო ქორწილში იყო მიწვეული. ეზარებოდა წასვლა, მაგრამ ახლა
ცხრამთას იქით გადაიხვეწებოდა, ოღონდ ღამეული კოშმარიდან დაეხსნა

თავი. იმაზე ფიქრი, თუ სად წავიდოდა ლიზიკო, ტვინს უღრღნიდა. კარადიდან სუფთა პერანგი გამოიღო, სწრაფად ჩაიცვა, სარკეში წვეთავს პარსავ, თვალვებამოღამებულ კაცს შეუბღვირა, ინგასათვის ქაღალდის ნაგლეჯზე ორი სიტყვა დაჩხაპნა და კიბეებზე დაეშვა.. ბიჭები დატყმულ ადგილას დახვდნენ. ისეთი სახე ჰქონდა, ვერც ერთი ვერ გამოელაპარაკა. მთელი გზის განმავლობაში მკვდარივით ეძინა. მაინც წამოეწია სიზმარი, დაზაფრა. ლიზიკო დაესიზმრა, თეატრში მის პირდაპირ წინა რიგში იჯდა, თავზე პეპელასავით თეთრი ბაფთა ეკეთა, გახამებულ საყელოს მუჯში მოექცია გოგონას სუსტი ყელი, ბიჭი თითქმის ვერ ხედავდა სცენას, არ ესმოდა რას ლაპარაკობდნენ. მონუსხულივით შეჰყურებდა ლიზიკოს სიფრიფანა კისერს და როცა თეთრი ბაფთა სიცილისაგან ჩაბყირებოდა, თვითონაც გულიანად ხარხარებდა..

თვლები გაახილა. ბიჭები შეათვალიერა. გოგას თავისი უმცროსი ძმა წამოეყვანა. გაუხარდა. ზაზა მათ ხელში გაიზარდა და თითოეული მათგანის სიამაყეს წარმოადგენდა. იმიტომ კი არა, რომ არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, ან მომავალში მოწყვეტდა ციდან ვარსკვლავებს, ზაზას ძალიან უყვარდა უფროსი ძმის მეგობრები. ერთს ჩაცმაში ბაძავდა, მეორეს ლაპარაკში, ბიჭის თვალში ისინი თანამედროვე ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილს განასახიერებდნენ და მათ დანახვაზე ისე გაებადრებოდა სახე, რა ხასიათზეც არ უნდა ყოფილიყვნენ ბიჭები, მაინც გაეცინებოდათ.

— გამოიღვიძე? ახლა შეიძლება ლაპარაკი? — ნებართვა. ითხოვა ზაზამ.

— შეიძლება! — მოწყალება გაიღო თემომ.

— ეტყობა ცუდი სიზმარი გესიზმრებოდა, კენესოდი, — დაიწყო ზაზამ.

— ენა გააჩერე, თორემ ფეხით გავლა მოგიწევს, — გააფრთხილა ძმამ.

— გაანებე თავი, ილაპარაკოს, პანაშვიდზე ხომ არ მივდივართ. კინალამ დამეძინა. მძლოლი უნდა გაამხიარულოთ, თორემ შეიძლება უბედურება დატრიალდეს! — ირაკლიმ სარკეში შეავლო თემოს თვალი და მისი მოღიმარი სახე რომ დაინახა, ზაზას წაქარა ხელი „აბა ახლა ყურადღებით, სმენითი ეფექტი უნდა მოგახდინოთ, დავიწყეთ!“

თუმცა წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულები, დინამიკების ჩართვისთანავე ერთხმად აღრიალდნენ ბიჭები. „დავუშვათ ეს პატარაა, შენ ამხელა კაცი რამ გამოგაშტერა?! ჩაუწიე, დაეცრუვდით!“

„პატარა! ესეც კაი მუტრუკია“, — სიცილით კვდებოდა მანქანის პატრონი და თან გზას თვალს არ აშორებდა.

ზაზა აწუწუნდა, მომშიგდა, სადმე შეეჩერდეთო. ბიჭებმა მსაობა დაუჭირეს, მხოლოდ ირაკლი იყო წინააღმდეგი „რა დროს ჭამაა, ჩასულები ვართ, ხალხი გველოდება, მადას ნუ წაიხდენთო“. თანაც გოგას ეუბნებოდა, პატარა ბავშვი რომ მოგყავდა, საგზალი უნდა წამოგეღოო. ზაზას მსუცელი ხელით ეჭირა და ღმერთს იფიცებდა, რომ ცოტაც და გაგიჟებული კუჭი ნაწლავებს დაუწყებს ლეჭვასო, მაგრამ პასუხად მანქანამ სიჩქარეს უმატა.

ირაკლი შენგელია ერთი უფულო კაცი გახლდათ და ტყუილუბრალოდ მისი დახარჯვა ისე უშლიდა ნერვებს, როგორც ზოგიერთებს ონკანიდან უმიზეზოდ დაღვრილი წყალი აღიზიანებს. თბილისში უშვილო დეიღამ ჩამოიყვანა, სიკეთეს ვიზამ და ჩემს ქვრივ დას ცოტას წავეშველებიო, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ერთდერთი ვაჟიშვილი დააკარგვინა და ქალიშვილების ანაბარა მიატოვა. ირაკლის ისე მკაცრად ზრდიდა დედობილი, ბევრ ბოროტ დედინაცვალს შეშურდებოდა. ლაღად გაზრდილი ბიჭი ქალაქში მიღებულ წესებს ვერ ეგუებოდა, სახლში შესვლისთანავე ფეხსაცმელს იხდიდა, წინდებსაც ზედ მიაყოლებდა და დეიდამისის სანთლით გაპრიალებულ იატაკზე გაჭყლეტილი ბაყაყის მაგვარ უცნაური ფორმის ანაბეჭდებს ტოვებდა. ქალს, რომელიც აქამდე „კარგად შენახულად“ ითვლებოდა, თავის ტკივილები კლავდა, თმები გაუთეთრდა, გამუდმებით ვალერიანის წვეთებს სვამდა, მაგრამ ძნელად აღსაზრდელ ბავშვს მშობელს არ უბრუნებდა. ირაკლი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სკოლიდან გამოერიცხათ, მაგრამ თითქმის პირი შეკრესო, მასწავლებლები ჩაღწეულ ფანჯრებს, ყელგამოღადრულ მერხებს, გატეხილ სამეღნეებს, მელნით გათხუზნულ გოგონებს, თავპირდასიებულ ბიჭებს ვერ ამჩნევდნენ და ხმას არ იღებდნენ. საქმე იმაში იყო, რომ დეიდა-მისი სწორედ ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ და მკაცრი ქალბატონი ქსენიას ნერვების აშლას ყველა ერიდებოდა. თანაკლასელი ბიჭები თვალმეტყველები შესცქეროდნენ როგორი სისასტიკით აცლიდა თავს რაღაც უცნაური ხერხით დაჭერილ ჩიტებს სოფლიდან ჩამოსული ლოყებდაყლაყა ბიჭი და გული შიშითა და სიძულვილით ევსებოდათ. თუმცა ხმას მაინც ვერ იღებდნენ, მანამდე, სანამ ერთ მშვენიერ ღღეს ირაკლიმ მწვანეთვალებიან გოგონას წიგნებით სავსე ჩანთა არ ჩააფერთხა თავში; სწორედ მაშინ მიატოვა ოთხმა ბიჭმა გემობანას თამაში და დაუნდობლად სცემეს სუფთა ჰაერისაგან ზედმეტად ჯანზე მოსულ თანაკლასელს. ამის შემდეგ კარგა ხანს ახალი მოსწავლე სკოლაში არ გამოჩენილა. მასწავლებლებმაც და მოსწავლეებმაც შვებით ამოისუნთქეს. ერთხელაც დეიდამისმა ძალით შემოათრია საკლასო ოთახში, საჯაროდ ბოდიში მოახდევინა, პირველ მერხზე, სწორედ ლიზიკოსთან დასვა და

ბრძოლაში გამარჯვებული მთვარსარდალივით თავაწეულმა მატყვად და
ზე მდგომი მოსწავლეები. შესვენებაზე ბიჭებმა ირაკლის მელნისთაძის
აფერადებული თვალები დაინახეს და გული ეტკინათ. ყველას გამოცდი-
ლი ჰქონდა ქალბატონი ქსენიას მოალერსების შემდეგ მწარე ყურის ტკი-
ვილი და წესრიგის სადარაჯოზე მდგომი ქალის ხელში ჩავარდნილი
მსხვერპლი შეეცოდათ. იმ დღიდან სკოლიდან ერთად ბრუნდებოდნენ
ირაკლი, გოჩა, თემური, დევი, გურამი, ერთადერთი გზით, წლების გან-
მავლობაში...

მხოლოდ ზაფხულობით ცილდებოდნენ ბიჭები ერთმანეთს და შემო-
დგომაზე ოდნავ შეცვლილები გახარებულები აღნიშნავდნენ, რომ თანა-
კლასელ გოგონებს უსწრებდნენ სიმაღლეში, ათასნაირ გამოგონილ
ამბებს ყვებოდნენ, ტრახბახობდნენ, ირაკლი ჩუმად იდგა, ღიმილით
უსმენდა ბიჭებს და ისინიც თითქოს გრძნობდნენ მეგობრისთვის დედა-
მისს საგზლად დარდი გამოეტანებინა, დარდი მეტად მძიმე პატარა მხრე-
ბისათვის და ამიტომაც განუზომლად ძნელად სათრევი.

ზოგი ჭირი მარგებელიაო ამბობენ და დეიდის მათრახის ქვეშ და-
ზუთხულმა ფორმულებმა ირაკლის სამედიცინო ინსტიტუტის კარი გაუ-
ღეს. და სწორედ მაშინ, აქამდე ობოლ ბიჭს, უამრავი ნათესავი და გამ-
კითხავი გამოუჩნდა. ზოგი ძღვენით მოდიოდა და ზოგი სათხოვრით,
თითქოს ბიჭი სტუდენტი კი არა, დიდი თანამდებობის ყოვლისშემძლე პი-
რი ყოფილიყო. გაოცებული მეგობრები მომკითხავთა სახეების დამახ-
სოვრებას ვერ აუდიოდნენ. ამასობაში დეიდამისიც იმ ქვეყანაში წესრი-
გის დასამყარებლად გადაიბატიყეს და საქმიან მოკეთეთა დიდი ნაწილი,
მივლნებაში ყოფნის დროს ირაკლისთან სტუმრობდა. თავდაპირველად
წუხდა, მეცადინეობაში ეშლებოდა ხელი, მერე შეეჩვია და უკვირდა,
ღამესთან ერთად დარჩენა. დეიდას სიცოცხლეში მისი მეგობრები ეზო-
დან თუ დაუძახებდნენ მხოლოდ, ისე მასთან მოსვლას ყველა ერიდებო-
და, ჰოდა ახლა თითქოს დაკარგულ დროს უკან იბრუნებდა. გამუდმებით
ქეიფობდა, სოფლიდან ჩამოტანილ პურმარილზე ებატიებოდა ძმაკაცებს,
უფასო პურმარილზე, თორემ თვითონ ხელიდან ჭუჭყიანი ცხვირსა-
ხოცის მეტს ვერაფერს გააგდებინებდი. საკმარისი იყო, ვინმეს რესტო-
რანი ეხსენებინა, ირაკლის ჯიბიდან ობობა ამოობობდნენ, მაგრამ
თუ სადმე კარგი ფეხსაცმელი ან რაიმე ჩასაცმელი იყიდებოდა, მაშინათ-
ვე საიდანღაც მორიგე თუმნიანები გამოიბოდნენ. მერე ამ ნაცნობ-
მეგობრების, თუ ღმერთმა იცის, ვისი დახმარებით, დედასა და დებს სახლი
აუშენა, მზითვიც გაუშადა და ბოლოს თავის თავსაც მიხედა, ახალი ვო-
ლგა შეიძინა. „აი, როგორები უნდა გამოხვიდეთო“ ახალგაზრდა ექიმზე
მიუთითებდნენ მუხლებგადატყაულ შეილებს მეზობლები. მართლაც საა-



მაყო შვილი ყავდა შრომაში სულგამძვრალ ირაკლის დედას, სხვისი განზრდილი, მაგრამ მისი სისხლი და ხორცი, უძილო ღამეების სტუმარი, გულის სალბუნი, შორს, ვარსკვლავეთს მიბარებული ცისფერი შუქი.

მანქანა ქალაქის ქუჩებში დასრიალებდა და ირაკლიც რომელიღაც კინოვარსკვლავისაგან ნასესხები ღიმილით მოწყალედ ესალმებოდა ყველას. ბოლოს ორსართულიან სახლთან შეჩერდა, ეტეობა როლში შეიჭრა და იმავე ღიმილით ეზოში შეიპატიჟა ბიჭები. თითქოს დეკორაციების უკან იმალებოდნენო, უამრავი ხალხი გამოეფინა გარეთ. ყველა ერთბაშად ალაპარაკდა და ეს ხმა რაღაცით გელური ტომის საბრძოლო ყიჟინას წაავდა.

— თუ იცი ელიზაროვსაც ასე ხვდებიან ამ ქალაქში? — იკითხა თემომ.

— არა, იმას ალბათ სახეზე არ იცნობენ, თანაც აქაური არაა, — რატომღაც ჩურჩულით უპასუხა გოჩამ.

ვისაც უკვე მოესწრო ირაკლის ნახვა, ახლა სტუმრებით დაინტერესებულიყვნენ და თავაზიანად ეპატიებოდნენ შინ. უზარმაზარ ოთახში სუფრა გაეშალათ. „ძვირფასად“ მორთული საკმაოდ შეუხედავი პატარ-ძალი სიმპატიურმა სიძემ სიმწრით ააგლიჯა ნათესავს მკერდიდან. სხვებისაგან ოდნავ მოშორებით მდგომმა, მხედველობაში მისაღები ღიბის პატრონმა, რამდენიმე ასაკოვანმა მამაკაცმა შორიდან გამოაჩინეს ოქროს კბილები.

— ეს ეტეობა ადგილობრივი მაფიაა, ცალკე ქეიფობს, ხელს არ გვართმევს! — გაეცინა გოჩას, — დანარჩენები ერთი ტომისანი არიან, ნახე რას გაჰკივიან.

— წარმოგიდგენია მიცვალებულზე როგორი შეცხადება იციან? — ნმაურისაგან დაბნეული ზაზა თემოს ზურგს მიეკრო.

„ბრრ...“ — დაბურძღლა გოჩას და ბიჭებმა სიცილით დაიკავეს სპეციალურად მათთვის განთავისუფლებული ადგილები. სტუმრებს მთელი დარბაზი შესცქეროდა, მაგრამ მშვიერი და ნამგზავრი კაცი როდემდე შეიკავებს თავს და ამიტომ მათ გარშემო თეფშები ისე სწრაფად დაცარიელდა, მომსახურე პერსონალი ყურადღებით რომ არ ყოფილიყო...

გაბადრული ირაკლი ღონივრად ამოძრავებდა ყბებს. მერე ვიღაცამ დაუძახა და ბიჭები ერთი წუთით დაობლდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით, თამადამ განსხვავებული სასმისი ჩამოატარა, და მისი დაცლის შემდეგ ყველანი ერთად ალაპარაკდნენ. ზაზას ღვინო არ დააღვინეს. სამაგიეროდ იმდენი საჭმელი ჭამა, ეშინოდა, ნაწლავები არ გადამეხლართოსო, თანაც მობეზრდა ერთ ადგილას ჯდომა და ირაკლის თვალებით ეძებდა. ყველა მაგიდასთან მოდიდან გასული თითქმის ერთნაირ კაბებში

გამოწყობილი მხარბეჭიანი მანდილოსნები ცხვირსახოცით იწმენდნენ ოფლიან სახეებს და გაბარჯულ თითებზე აბრჭყვიალებულ ბეჭდებს ახარებდნენ ერთმანეთს. ვილსამ „თქვენი მეგობარი გელოდებათ“ ყურში ჩასჩურჩულა გოჩას და თამადის პროტესტის მიუხედავად ბიჭებმა უხალისოდ მიატოვეს სუფრა.

— როგორ მოხდა რომ გამოგიშვეს? — გაუკვირდა ირაკლის მათი დანახვა. — ჩქარა დაქვით, ერთ კარგ ადგილას მიგიყვანთ.

— ამაზე უკეთესი ადგილი ვერ წარმომიდგენია, — უარი თქვა გოგამ;

— დაუჯერეთ, დაუჯერეთ, ირამ უკეთ იცის! — დატრიალდა ზაზა და გაჯიუტებული ბიჭები თითქმის ძალით ჩასვა მანქანაში.

— რას გამოგვაქციე, დალევა გვინდოდა, — გაბრაზდა თემო.

— ყველაფერი იქნება, დალევაც და სხვა რამეც, — მანქანა დაიძრა და რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ისევ გაჩერდა.

ირაკლიმ რკინის ჭიშკარი გააღო და ბიჭებს ეზოში შეუძღვა. უხმაუროდ გაიარეს ყვავილებში გამქრალი ეზო, მარმარილოს კიბეებით მეორე სართულზე ავიდნენ. კარები ღია დაუხვდათ, რალაც უცნაურის მოლოდინით შემკრთალი ბიჭები ხმას არ იღებდნენ, გამოფხიზლდნენ კიდეც, უზარმაზარი სახლის თითქმის ყველა ფანჯარა განათებული იყო, მხოლოდ ადამიანის ჭაჭანება არ იყო არსად.

— რა ხდება ბოლოს და ბოლოს, სად მივდივართ? — უფრო შიშის დასაფარავად ხმამალა იკითხა ზაზამ.

არავინ უპასუხა. ირაკლიმ კიდეც ერთი ოთახის კარი შეაღო და მის შესახვედრად წამოსულ მამაკაცს გადაეხვია. „გაიცანით, ბატონი ბაძუ!“ — წარუდგინა ოჯახის პატრონი ბიჭებს.

ბატონმა ბაძუმ ყურადღებით შეათვალიერა სტუმრები, „გამიხარდა, გამიხარდაო“, — თქვა, გაიღიმა და გაშავებული კბილები გამოაჩინა. ბიჭებმა ზავერდის სავარძლები დაიკავეს და პატარა მაგიდაზე გაშლილ სუფრას გადახედეს. კმაყოფილები დარჩნენ. ირაკლიმ ნათესავები მოიკითხა. ზაზამ ვერ მოითმინა, წამოდგა და უზარმაზარ კარადაში თავმოყრილ სასმელებს, სიგარეტებს, მანქანებს, საათებს, მაგნიტოფონებსა და სხვადასხვა ზომის ტელევიზორებს დაუწყო თვალიერება.

— ეხლავე იქნება ყველაფერი, თქვენ თვითონ ამოირჩიეთ რაც გინდათ, თორემ მე ერთი სოფლელი კაცი ვარ, მერე უკმაყოფილო არ დარჩეთ, — თავი მოისაწყლა ბატონმა ბაძუმ.

ბიჭებმა კასეტები გადაათვალიერეს და ზაზამ ყველაზე უფრო დიდი ზომის ტელევიზორი ჩართო. „ხელები გააჩერე, რამე არ გააფუჭო“, — ჩუმად გააფრთხილა უფროსმა ძმამ.

მასპინძელმა ლამაზი ფორმის ბოთლი აიღო, გახსნა და ჭიქები წავსვლი
სო. „ფრანგულ კონიას ათბობენ და ისე სვამენ თურმე, ჩვენში მცხოვრებნი
მენ და კუჭში ათბობენ“, თვალი ჩაუკრა სტუმრებს და გადაიხარხარა.
უცნაური იყო ასეთი პატარა ტანიდან ამოვარდნილი მძლავრი ხმა.

— ჰომეროსისებური ხარხარი ღმერთების მიერ ბატონი ბაძუსათვის
მადლიდან მომადლებული ნიჭია, — ფერდაკარგულ მეგობრებს აუხსნა
ირაკლიმ.

— მე იმთავითვე შეგატყვეთ, დიდი ნიჭიერი კაცი ბრძანდებით, გაგი-
მარჯოთ, — ჭიქა მიუჭახუნა მასპინძელს თემომ.

სხვებმაც ცხვირის წვერზე დაიჭირეს ღიმილი და ბატონი ბაძუ ად-
ღეგრძელეს. ცისფერ ეკრანზე ზანგი მომღერალი მასპინძელივით არაად-
ამიანური ხმით გაჰყვიროდა რალაცას. ექსტაზში შესული ოთხი მოცეკ-
ვავე სხეულიდან ეშმაკის განდევნას ცდილობდა.

— ემოციური ხალხია, — აღნიშნა გოჩამ.

— კი, ცოტა თეთრები რომ იყვნენ, — იხუმრა ბატონმა ბაძუმ და
კიდევ ერთხელ გამოავლინა თანდაყოლილი ნიჭი.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. თავი ვერც ერთმა ვერ შეიკავა და
ვითომ რა მშვენივრად იხუმრეთო, მასპინძელს სიცილში აყვნენ. ირაკლი
სადღაც გაქრა და ცოტა ხნის შემდეგ ქალთან ერთად დაბრუნდა ოთახში.
ლურჯ კაბაში გამოწყობილი ქალი ისე მსუბუქად მოდიოდა, თითქოს მე-
ლოდიას უგდებდა ყურს და ბგერებთან ერთად მოძრაობდა.

— ჩემი ქალიშვილი ნადია, — თქვა ბატონმა ბაძუმ და დაუდნა, გაუ-
თბა გამყინავი ხმა.

ნადიამ სტუმრებს შეხედა და მისი თვალებიდან გადმოღვრილმა სი-
ნათლემ კიდევ უფრო გაანათა გაჩახჩახებული ოთახი, მერე გაიღიმა, ორი
ერთმანეთზე გადახლართული წინა კბილი გამოაჩინა და ორმოცდაათ-
სანთლიან ჭაღზე კიდევ რამდენიმე ნათურა აიწთო.

ბატონმა ბაძუმ განაწყენებულ ზაზას ცხვირწინ გამოურთო ტელევი-
ზორი, „ასეთ რამეებს ჩემს შვილს არ ვაყურებიანებო“ და მაგნიტოფონი
ჩართო. ირაკლიმ წელზე მოხვია ნათესავს ხელი და ცეკვა დაიწყო. ლურ-
ჯი კაბა, თეთრი საყელო და წითელი ტყავის ქამარი რალაცით მოსწავლის
ფორმას აგონებდა თემოს და რატომღაც გული ტკიოდა, თვითონაც არ
ცოდა რაზე.

მუსიკა დამთავრდა და ირაკლიმ ისე უცბად გააქრო მოცეკვავე ქალი.
ოთახიდან, თითქოს ცოცხალი არსება კი არა, მოჩვენება ყოფილიყოს.

ზაზამ მაშინვე ტელევიზორი შეაერთა და ზანგების მანჭვა-გრენის
ყურება განაგრძო. ბიჭებმა ადგილები დაიკავეს. დალევა აღარ უნდო-

დათ, ყველა რაღაცაზე ჩაფიქრდა. რამდენიმე წუთით ოთახში დატრიალებულმა ოცნებამ თითოეულს საკუთარი მიყუჩებული ტკივილი გაახსენა.

„სად უნდა წასულიყო ლიზიკო, დედამისთან? იმათთან? სად?“ — დარდისაგან იკუმშებოდა და მუშტისოდენა ხდებოდა გული.

ირაკლი ისევ დაბრუნდა და „თქვენი საწოლები უკვე მზად არისო“ — სასტუმროს ადმინისტრატორივით განუცხადა ბიჭებს. უკმაყოფილო ზაზას მეორეჯერ გამოუბრუნეს ტელევიზორი და ბატონი ბაძუ სტუმრებს წინ გაუძღვა.

თემო ძმებთან ერთად მოათავსეს საძინებელ ოთახში.

— კაი სახლი აქვს ძმაო ბატონ ბაძუს, ვერაფერს ვერ იტყვი, — აღნიშნა მან.

— არც ქალიშვილია ნაკლები, — დაუმატა გოგამ.

— ვიდეო ყველას ჯობდა, — თქვა ზაზამ.


ოთახში ირაკლიმ შემოიხედა. „რას შერებოთ, გძინავთ? თემო, ბიჭო, ძაღლის ბედი გაქვს, ნადიას მოეწონე! აბა, ხვალამდე, — დაიბარა და გაქრა.“

— მფრინვი ჰოლანდიელია, — გაეცინა გოგას.

— მე შევეჩვიე, — თემომ სინათლე ჩააქრო და თვალები დახუჭა. — ნადია, ბაძუ, რა სახელებია, რატომ მაინც და მაინც ნადია?

იმ ღამის სიზმარიც ლიზიკომ წაიღო. ჰაერივით გადამწვანებულ მოლზე ცეკვავდა და გედივით ცას უწვდენდა მკლავებს...

ბატონ ბაძუს მეუღლეს, ნინას, ზინკლის ფორმა ჰქონდა. ზედმეტი ქონი რეზინის კორსეტით შეევიწროვებინა და ქალიშვილთან შედარებით მძიმე და მოუქნელი ჩანდა. თუმცა ეს ერთი შეხედვით, თორემ ისე გოგმან-გოგმანით ჩამოურიგა ხაშით სავსე თევზები ბიჭებს, მწყერს შეშურდებოდა. ცხელ წვნიანს ოხშივარი ასდიოდა და მძიმე ვერცხლის კოვზით მასპინძელი ხახაში ისტუმრებდა რაკრაკით. ბროლის კრიალა ჭიკიბში გაყუჩებული არაყი საკუთარი ჯაჭვის ქლარუნს უგდებდა ყურს. ბიჭები უზმაუროდ ჰმადნენ. თანაც თვალი კარისკენ ეჭირათ, ელოდებოდნენ ნადიას გამოჩენას. უხმო თამაშში მხოლოდ ზაზა არ იღებდა მონაწილეობას და რატომ ძაღლი არა გყავთო, საყვედურობდა მასპინძელს. — მყავს, მაგრამ გული რომ არ გაგხეთქოდეთ, მეზობელთან დავამწყვდიეო, — პასუხობდა ბატონი ბაძუ. როგორც იქნა ოთახში ნადია შემოვიდა. ღიმილი ჩამოჰდა ბიჭების ტუჩებზე და ცოტა ხანს გაქონილ ზედაპირზე სრიალებდა. დილით კიდეც უფრო მეტად მოეწონათ გოგო. მზით დაჭორფლილი თაფლისფერი თვალები, ბუსკუნა ლოყები, პატარა პირი, თითქოს საჩვენებელი თითით ჩაქყლეტილი ნიკაპი, ერთმანეთს ზურგშექცეული განზე გამდგარი მრგვალი ძუძუები, ქუდივით შუბლზე ჩამომხობილი ყირაზე



მდგომი ხვეული თმები. და კიდევ რაღაც უცნაური დამთბობი სასაცილოდ გადახლართულ წინა კბილებზე გადამტყდარი.

მასპინძელი წამოდგა და ქალაქის დათვალიერება შესთავაზა სტუმრებს. უხალისოდ, მაგრამ მაინც დათანხმდნენ. ეზოდან რომ გადიოდა, თემომ იგრძნო, ვიღაცის თვალები მიაცილებდნენ. მოიხედა, უხმაუროდ მიიხურა ნადიამ კარი.

თუმცა ბევრი დალია, ბატონი ბაძუ მაინც მშვენივრად მართავდა მანქანას, მაჯის სიმსხო, თავგასიებული იაპონური საათი ნებივრობდა კაცის ბანჯგვლიან ხელზე. ღიპი საჭეზე ჩამოედო, პატარა მოკაუჭებულ ცხვირს მზის სათვალე ეჭირა. ოქროს ბრტყელ, მძიმე ბეჭედს ნეკი ჩაებლუჯა და ფანჯრიდან შემოსული ნიავე მარჯვენა მხრიდან მარცხნივ გადატანილ და ლაქით დაგლესილ ჩალასავით გრძელ და გახუნებულ თმას უწეწავდა.

პროვინციული ქალაქი როგორი საინტერესო დასათვალიერებელია ყველამ იცის და ამიტომ მალე დაბრუნდნენ უკან. მხოლოდ რამდენიმე სახლის წინ შეჩერდა მანქანა და სადილზე მოიპატოყა დამხვდურები.

— გამომძიებელი არცაა საჭირო, სახლებზე ეტყობათ ვინ რას წარმოადგენს, ჩამოიარე და აკრიფე საქმოსნები მძივებად, — ორგანოს მუშაკებს სამუშაო გაუადვილა ზაზამ და იმწამსვე მწარედ უჩქმიტა ძმამ მკლავზე.

— ვიხუმრე, რა დაგემართა, — გაიბლუჯა ბიჭი.

— იდიოტი, — კბილებში გამოსცრა ირაკლიმ.

— პატარაა, — შენდობა ბრძანა ბატონმა ბაძუმ.

ბიჭებს შეეძლოთ დაეფიცათ, მასპინძელმა ისე დატოვა ოჯახი, მეუღლისათვის ერთი სიტყვა არ უთქვამს, და ახლა გაკვირვებულები შესცქეროდნენ ეზოში თორმეტი კაცისათვის გაწყობილ მაგიდას. მხოლოდ ბატონმა ბაძუმ აუქცია მას გულგრილად გვერდი და სახლში შევიდა. ბიჭებიც უკან გაჰყვნენ. როგორც იქნა ზაზასაც აუსრულდა ნატვრა და გუშინ რომ იყო, ისევ იმ ოთახში მოხვდა. მასპინძელმა ისეთი ფილმი შეარჩია ნადისათვის უხერხული საყურებელი რომ არ ყოფილიყო და პროფესიონალმა ბოროტმოქმედებამაც თავი არ შეირცხვინეს, გვამების ზვინი დადგეს.

თემომ მანდილოსნების ყურადღებას შეჩვეული იყო და კოლოს ბზურილივით ნერვებს უშლიდა მათი კეკლუცი ღიმილი და ჩუმი ჭკრეტა, მაგრამ ახლა რატომღაც ძალიან უნდოდა მასპინძლის ქალიშვილს მოსწონებოდა. არც პრუსტი ექნება წაყითხული ამას და არც ფოლკნერი, ალბათ ვერც თანამედროვე მხატვრობაში ერკვევა, და დრამატურგიაც ადგილობრივი თეატრის დონეზე იცის, მე ვიქნები მისთვის პიტერ ბრუკიც, ფე-

ლინიც და პიკასოც. გამიჩენს ოთხ შვილს, მე შენ გეტყვი, ბედნიერად გაიზარდეს ვერ შეინახავს, დამიწვრიალებს სახლს, გამიკეთებს მსუყე სადილს და სად წავედი, ან როდის მოვალ იმის კითხვასაც მოერიდება. „ფილოლოგიურზე სწავლობსო“, გაახსენდა ირაკლის ნათქვამი. „ალბათ მთლად შტერია, თორემ მამამისი ექიმის დიპლომსაც უყიდდა“. ხმამაღლა გაიცინა. ეტყობა უადგილო ადგილას, ყველამ გაკვირვებით გამოხედა. მხოლოდ ნადია აყვა. უშუალოდ, ბავშვივით აკისკისდა. „ჩემს ოთხოთახიან ბინასაც ეღირსება გარემონტება, დედაჩემიც გაიხარებს, ეგებ გამოკეთდეს კიდეც“. ინგას გახსენებამ გული ატკინა. სიგარეტის კოლოფი აიღო და გარეთ გამოვიდა. უკვე ორი წელია დედამისი წნევას უჩიოდა. გამუდმებით ტკიოდა თავი და წამოდგომის საშუალებას არ აძლევდა, ამიტომ დილიდან საღამომდე ჩასჩიჩინებდა შვილს. „აღარ შემძლია ფეხზე დგომა, ისე ნუ მომკლავ, შენი ცოლი რომ ვერ ვნახო“.

— მოგწონს? — გვერდში ამოუდგა ირაკლი.

— ბაძუ?

— ბაძუვენა!

ორივეს გაეცინა. ირაკლის მეტი არაფერი უკითხავს. თითქოს მეგობრის განწყობა გადაედო, მოიწყინა. „რღაცას ვეძებთ, გამორჩეულს, განსაკუთრებულს, ნამდვილი კი ალბათ სწორედ ეს არის, ხალასი, ბუნებრივი, ჭეშმარიტი“.

ეზოში უცნობი მამაკაცები შემოვიდნენ. ირაკლი მასპინძლის დასაძახებლად წავიდა. ბატონმა ბაძუმ პირდაპირ სუფრასთან მიიწვია მოსულები და რადგან ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა, ბიჭები მიხედნენ, მეტს არავის ელოდა ოჯახის უფროსი. თემო მეგობრებს აკვირდებოდა. ბიჭები სტუმრებს ათვალთვლებდნენ, თანაც რაღაცას ბეჯითად ღეჭავდნენ და ხანდახან, ეტყობა, თამადის სიტყვებს ეთანხმებოდნენ, გაწვრთნილი ცხენებივით იქნევდნენ თავებს. სახეზეც მოკრძალება და პატივისცემა ეწერათ, მხოლოდ თვალებში ჩავარდნილი ეშმაკი გამოფხიზლდებოდა წამიერად და მასპინძელი რომ ვერაფერს მიმხვდარიყო, მაშინვე მიეყრდებოდა. „რა აქვს ამ კაცს თქვენი დასაციანი? მათხოვრები ხართ და გშურთ! დედაბუდიანა გიყიდით, თითოეულს ცალ-ცალკე და სუყველას ერთად! მკვახე იყო ის ყურძენიო“... — გულზე სკდებოდა თემო. რამდენიმე ჰიქა კონიაკი დალია ზედიზედ, სადგურის რესტორანში შესული კაცივით, რომლის მატარებლის გასვლამდე ორიოდ წუთია დარჩენილი. წამოდგა, სუფრის წევრები შეათვალთვრა და მასპინძელს ქალიშვილის ხელი სთხოვა. ბატონი ბაძუს სახემ ბრიყველი, ანუ კეთილი გამომეტყველება მიიღო და გაქვავდა. ირაკლიმ მაგიდა მიატოვა და ჩქარი ნაბიჯით სახლში შევიდა. სიჩუმემ ააფარა პირზე ხელი სტუმარ-მასპინძელს,

თემოს ყურები დაუგუბდა, ოფლმა სველი პერანგი და ვილაცის მუხრამები
ქებზე ააყრა. შეტრიალდა. ნადიას სახეს სალამოს ფერი ედო, დაბრუნ-
ლი, უცნაურად ნაღვლიანი. შიშით ათვალეერებდა კაცს, თითქოს პირვე-
ლად ხედავსო. თემო დამშვიდდა. გულს დაასრისა სინანულის ერთი წამი,
გაუღიმა. გოგოს თვალეებმა ღიმილი უკანვე დააბრუნა და თუმცა კაცს
არაფერი უთქვამს „თანახმა ვარო“, აჩლიფინდა ორი ერთმანეთს გადაბ-
მული მოგრძო კბილი...

უზარმაზარი ქორწილი გადაიხადეს. სწორედ ისეთი, როგორიც ამ
ქალაქსა და მის საპატრიო მოქალაქეებს შეეფერებათ. სიძე კმაყოფილი
იყო, რომ ამდენი ხალხი იზიარებდა მის ბედნიერებას, უამრავ თბილ სი-
ტყვას ეუბნებოდა, ეფერებოდა. დედამისიც ახალ კაბაში გამოწყობილი,
მგზავრობისა და ხმაურისაგან დაღლილი, მაგრამ სიხარულით მშვენიე-
რი, შვილს თვალს არ აშორებდა.

ბიჭებმა უზომოდ სვეს და გადაღეშილები ლოშნიდნენ მეგობარს,
მხოლოდ დევის არ დაუღლეია, აერობორტში უნდა წაეყვანა ნიფე-დედო-
ცდალი.

ბატონი ბაძუს გრძელი მკლავი შორეულ რუსეთსაც გადასწვდნოდა.
ადვილად მიიღეს დაჯავშნული ნომერის გასაღები და თემომ ღიმილით
ჩაუარა მოლოდინისაგან სახეწაშლილ, სავარძელში მთვლემარე დედაქა-
ლაქის სტუმრებს. ნადიამ პატარა ლარნაკში ყვავილები ჩააწყო და მათაც
სიმღერამოწყურებული მაყრებივით უცებ წამოყვეს თავები. თემო
გაუჩიერებლად ლაპარაკობდა. ათასგვარ სისულელეებს იგონებდა, ცდი-
ლობდა, ის უხერხულობა გაეფანტა, რომელიც მარტოდ დარჩენისთანავე
აყვა პატარძალს, ნადიამ საქმე გაიჩინა, ჩემოდნები გახსნა და ტანსაცმელს
კიდებდა კარადაში. თემო სააბაზანოში შევიდა. ცხელმა წყალმა შემოაძ-
რო დაღლილობა, გამოაფხიზლა. ხალათში გახვეული კაცის დანახვაზე
ქალს წითლად დაეფოთლა სახე. ქმარს გვერდი აუარა და იმდენხანს ბანა-
ობდა, თითქოს იქ აპირებდა ღამის გათევას. თემო უცდიდა, წყლის შხა-
ბუნს უგდებდა ყურს და ეცინებოდა.

პატარძალს ქალიშვილობა არ ეთმობოდა, სიძეს კარგა ხანს მოუხდა
ჯაჭირი, სანამ მიხედებოდა, რომ ვილაცამ დაასწრო...

სიმამრის ბუნებრივად მომადლებულმა ნიჭმა იქაურობა შეაზანზარა,
სახტუნაოდ რატომღაც თემოს ბალიში ამოარჩია, ყურებში შეუძვრა,
ტვინზე გაიარ-გამოიარა. ნადია ტიროდა და ქმარს უყვებოდა რაღაცას.
კაცს არაფერი ესმოდა. არაფერი, გარდა ბატონი ბაძუს ხარხარისა...

სამი კვირის განმავლობაში თემომ სრულიად აითვისა გადამყიდველ-
თა მისამართები, ტელეფონის ნომრები, ამასთან თავისი მხრიდან საქა-
რთველოდან წამოღებულ ვრცელ სიას კიდევ რამდენიმე გვარი და სახე-

ლი მიუმატა. ოთხი ოთახის ავეჯის, შპალერის, სანტექნიკისა და სხვა უამრავი, ოჯახისათვის საჭირო წვრილმანის შეძენის შემდეგ, თოგოვანი იქნა ქალის მზითვი ამოიწურა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა შინისაკენ გამოსწია. სხვათა შორის, ნადიას სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთგულად ედგა გვერდში მეუღლეს. არ დაკლებია არც ერთ საქმიან მოლაპარაკებას, საუზმეს, სადილს, ვახშამს, მაღაზიებს, ქალაქსა, თუ მის გარეთ, ვიდრე მესამე კვირის ბოლოს მაგდანას ლურჯასავით არ დავარდა.

დაბრუნება არავის შეატყობინეს. თემო მეგობრებთან შეხვედრას ერიდებოდა, მით უმეტეს ჩამოსვლისთანავე რემონტი წამოიწყო და თავის მოსაფხანი დრო არ ჰქონდა. ნადია დილიდან საღამომდე ოთახებს ალაგებდა და დედამთილთან ერთად სამზარეულოში სვამდა ჩაის. ინგა ოჯახურ ალბომს ფრთხილად დაასვენებდა მაგიდაზე და რძალს შვილის სურათებს უჩვენებდა. თემო ექვსი თვის, შვიდი თვის, ცხრა თვის, ფეხი რომ აიდგა, ყვავილი რომ ჰქონდა, სკოლაში რომ წავიდა, ოქტომბრელი რომ გახდა... ცოლი სიყვარულით უდიდოდა ქმრის ბავშვობას და ხშირად რეკავდა სახლში, თიმო შინ ადრე მოდიოდა. ცოლი კინოში მიჰყავდა, ერთი ორჯერ თეატრშიც იყვნენ, რესტორანშიც, ბარშიც. უმეტეს დროს მაინც მუშებთან ჩხუბში ატარებდა. ხანდახან წერდა, მაგრამ გამაძლარ კუქს ვერ იმორჩილებდა, საწოლისაკენ ექაჩებოდა საძაგელი. ბაზარშიც არ დადიოდნენ. ბატონი ბაძუ უგზავნიდა ტყუბისცალივით ერთნაირ ყუთებს. იშვიათად თვითონ ზედებოდა მატარებელს. უფრო ხშირად უცნობებს მოჰქონდათ. ინგამ თვალებში გამოიხედა, ფეხზე წამოდგა, ვალერიანის წვეთებს თავი დაანება, მოუჩხა გაუთავიბელ შენიშვნებს აძლევდა, მეზობლებში სიარულს და რძლის ქებას მოუხმობდა.

მხოლოდ ერთ ღამეს არ მოსულა თემო სახლში. ლიზიკო მშობიარობდა და ბიჭები დევისთან ერთად განიცდიდნენ, ლელავდნენ. თუმცა ნადიას არაფერი უკითხავს, არც საყვედური უთქვამს „რატომ არ გამაფრთხილეო“. არა, ნამდვილად აქვს პროვინციულ აღზრდას თავისი დადებითი მხარეები.

უსაშველოდ გაჭიანურებული რემონტი დასასრულს უახლოვდებოდა და თემოს უკვე გული წყდებოდა მუშებთან ჩხუბი და მასალის შოვნა რომ აღარ სჭირდებოდა. უეცრად უამრავი თავისუფალი დრო დაუგროვდა, დრო დამრგვალდა, ბურთის ფორმა მიიღო და კაცს ხან ოთახის ერთ კუთხეში მიეკუჭავდა, ხან მეორეში, კედლებზე გაკრული შპალერიდან ბატონი ბაძუს პორტრეტები უცინოდნენ. ბაძუ ექვსი თვის, შვიდი თვის, ცხრა თვის, ფეხი რომ აიდგა, ყვავილი რომ ჰქონდა, სკოლაში რომ წავიდა, ოქტომბრელი რომ გახდა... ტელევიზორშიც გამოჩნდებოდა, ხანდახან, უფრო ხში-

რად მაცივრიდან გამოჰყოფდა ხოლმე თავს. თემო სახლში ვერ ჩერდებოდა, რაღაცას მოიმიზეზებდა და დამდურდულივით გავარდებოდა გარეთ უცნობ ქუჩას აეტორღილებოდა, მანამდე სდევდა კუდში, სანამ უკანასკნელი რომელიმე ნათესავს არ გადააბარებდა. შინ გვიან ბრუნდებოდა, მისი ოთახის განათებული ფანჯარა შეეგებებოდა დაღლილ-დაქანტულს და ისიც მზად იყო პაპიროსივით დაესრისა და გაექრო შემკრთალი შუქი.

— ბავშვი გინდა გყავდეს? — ერთ-ერთი ასეთი სვირნობიდან დაბრუნებულს შეეკითხა ნადია, დაახლოებით იმავე ტონით, ჩაის დაღვევისას რომ შესთავაზებენ სამსახურში მიმავალს. თემომ ცოლს შეხედა და მიხვდა, ქალს მშობლებთან წასვლა გადაეწყვიტა და ახლა მის პასუხზე იყო დამოკიდებული გაწყვეტდა თუ არ იმ ერთადერთ ძაფს, რომელიც ჯაჭვზე უფრო მტკიცედ კრავს ოჯახს. ხმა ვერ ამოიღო. იმ სიხარულის გამოძლავნებაც კი ვერ შესძლო, მის სხეულში რომ დატრიალდა.

ინგამ ისე შეიცხადა მშობლების მოსაკითხად რძლის წასვლა, თითქოს ჭერი ექცეოდა თავზე. ნადია ეფერებოდა, ამშვიდებდა, „მალე ჩამოვალ“ პირდებოდა. „რომ იცოდეს მისი წანატრი შვილიშვილიც თან მიჰყავს, ალბათ, ჭკუიდან შეიშლება“, — ფიქრობდა თემო და ნადიას გარშემო მოფუსფუსე დედას თვალს არიდებდა.

წვიმა. გალუმპული მატარებლები სელაპებივით ლაპლაპებდნენ ბნელში. თემომ ჩემოდანი სკამის ქვეშ შეატურა და დაუმშვიდობებლად მიატოვა კუბე. ნადიას თვალებში ჩაქცეულმა ნალევლმა გამოაძილა. გარეთ გამოსულმა ცოლი მოძებნა. შეჩერდა. სიგარეტს მოუკიდა. გასვლამდე რამდენიმე წუთილა რჩებოდა. იცდიდა. როგორც იქნა მატარებელი შეირბა, ვაგონები გამოაფხიზლა. „მადლობა ღმერთს!“ — გაიფიქრა კაცმა და ფანჯარას ახედა. შეაძრწუნა მინაში ჩაფრენილი ტკივილამდე თეთრი ხელების დანახვამ. შევლას ითხოვდნენ დარდისაგან დაღვარჩნილი თითები, იმ მესამის გადარჩენას იხვეწებოდნენ „უკან დაბრუნებას რომ დააბრებ, დამირეკე და დაგხვდები!“ — იღრიალა თემომ და იგრძნო დაავიანდა, სულ სხვა ფანჯრებმა გადმოხედეს გოცეებით.

სუნთქვა გაუჭირდა. ვიღაც უხილავი ჩააფრინდა კისერში, ახრჩობდა. არაყი იყიდა და გოჩასთან ავიდა. გაუხარდათ მისი დანახვა. სიყვარულით მოიკითხა მთელმა ოჯახმა. გოჩა მოსწავლეებს ამეცადინებდა, თემომ მეგობრის ამბავი იცოდა, ვიდრე მასალას არ ამოწურავდა, „პინგვინებს“ ვერ გაისტუმრებდა, ამიტომაც ბავშვებთან დაიწყო თამაში, ხან ერთი აპორწიალა, ხან მეორე. ცხელი ჩაი დააღვეინეს, ესიამოვნა, გათბა ცოტა. როგორც იქნა მასწავლებელმა გაკვეთილი დაამთავრა და მოსწავლეები გაისტუმრა. თემომ გოგონები შეათვალიერა. ბიჭებისათვის რომ გეკითხათ გოჩა რაღაც ზღაპარ ბავშვებს ამეცადინებდა, ერთმანეთზე

უკეთეს ანგელოზებს. თემოს არც ერთი არ მოეწონა, მაინც რომელიმე გააცილა მეტიჩარა გოგოები. მიხვდა, სხვებიც განგებ აზვიადებდნენ, ამჟამად ქვესმეტი წლისა ყველა ლამაზია, აბა რა.

გოჩას ოთახი, უფრო სწორად, ოთახად გადატიხრული ლოჯია, წიგნებით სავსე პატარა ყუთს ჰგავდა. სპეციალურად მოსწავლეებისათვის გაშლილი მაგიდა დაკეცეს და თეთრი სუფრა გადააფარეს. შემწვარი კარტოფილი, ერბოვერცნი, მწნილი, ტყემალი, პური (ყველზე უკაცრავად), ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც სკოლაში სწავლის დროს, მხოლოდ არცის ბოთლები არ შეეფერებოდნენ წასულ წლებს.

— რას შვები, ცოდვილობ? — მოიკითხა მეგობარი.

— როგორც ყოველთვის, — ღიმილი შეაგება მასპინძელმა.

— შენი საქმისას აკეთებ რამეს?.

— ცოტ-ცოტას, დრო არა მაქვს, რომ არ ვიმუშაო, არ გამოდის, რომ იცი რაზედნი რამე სჭირდებათ ბავშვებს.

— მამა ეხმარება?

— არა.

უხმოდ დალიეს ერთი ბოთლი. ორივე თავისას ფიქრობდა. გოჩა გრძნობდა, თემო მასთან დარღმა მიიყვანა და ხმას არ იღებდა. თუ თვითონ ეტყოდა რაიმეს, თორემ კითხვით არაფერს კითხავდა, ასე იცოდა სხვისი ტკივილის გაყოფა. ჩუმად, დაუყვედრებლად, მოფერებისა და დაყვავების გარეშე. მეორე ბოთლის დაღევამდე წამოეშველა, თუმცა სასმელი ეზიზღებოდა. ადვილად იტანდა და ამიტომაც სვამდა, თანაც არ ჟნდოდა მარტო გაჰმოტყუარალიყო ქმაკაცი. თემომ პურის ქერქით თეფშები მოასუფთავა და გოჩას გადახედა. კარგი ბიჭი იყავი და გამოგეცნო რა იდო ერთი საათის ჟოჯან ამ თეფშებზე. სტიპენდიასზე მცხოვრები სტუდენტებივით მოსვლიბეს ყველაფერი. გოჩა კარტოფილის მოსატანად გავიდა. ხელცარიელი დაბრუნდა. ბავშვებს ჩაეგდოთ ხელში ტაფაზე დარჩენილი. თემოს საკუთარ სამზარეულოში მდგარი მაცივარი გაახსენდა, თევზი ცოცხალი, თევზი შებოლილი, თევზი ისეთი, თევზი ასეთი... მოიწყინა. ბიჭები მენატრებიანო, იმათი ამბავი იკითხა. გოგა ორ ადგილას მუშაობდა, მანქანისათვის აგროვებდა ფულს, ლამის მორიგეობას ვერ იტანდა, მეორე ღღეს კაცად აღარ ვარგივარო, წუწუნებდა თურმე, გურამი ჩემს ღღეშია საწყალი, ორი შვილი როგორი შესანახია, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლისათვის, თანაც ერთოთახიანი ბინა სადამოს აბიტურიენტებით ივსება და საწყალი კაცის თავზე ტრაქტორი დადის ღღეშია. ღამე. ირავლი რაიონშია, როცა ჩამოდის, აუცილებლად შემომიბრებს, მუშაოსულგუნს მოგვითანს, ხან კუბატებს, მოკლედ ხელცარიელი არ მოვა, ღვევი დაკავებულია, ხომ იცი, როგორი სამსახური აქვს, ხშირად რეკავს,

თავისთან მეპატიჟება, ვერ მოვიცალე რომ მივაკითხო, ყვებოდა გოჩა, თე-
მო დაძაბული უსმენდა, რაღაცას ელოდებოდა. თითქოს ახალი ამბავი
იკოდნენ და მას უმაღლავდნენ. აუცილებლად უნდოდა რაიმე უცნაური,
საინტერესო შეეტყო. „სუყველას მოგვენატრე, გადაგიყოლა ეტყობა რე-
მონტმა, ჩვენმა მეზობელმაც გააკეთა, კინალამ ინფარქტმა დაარტყა,
ვიცი რაც არისო“, — დამთავრა საუბარი გოჩამ. თემომ არაფერი უპა-
სუხა. ეწყინა და ამავე დროს ესიამოვნა მის გარეშე რომ არაფერი ახალი
არ მომხდარა. წამოდგა. უხალისოდ გამოემშვიდობა მეგობარს. გოჩამ გა-
ვლა მინდაო და სახლამდე მიაცილა. უარი არ უთქვამს, ბავშვივით მორჩი-
ლად მიაყვანინა თავი. შუქი, რომელიც მისი ოთახის ფანჯრებიდან შორი-
დან ეგებებოდა და ნერვებს უშლიდა, არ ჩანდა. ისევ გაუჭირდა სუნთქვა,
ისევ იგრძნო ყელზე ვილაცის ცივი თითები. მზად იყო ნაწვიმარ გუბურა-
ში ჩამჯდარიყო და ქვეყნის გასაგონად ებღავლა, ოღონდ სინათლე გაყუ-
ჩებულყო თვალეზამოლამებულ მინაში.

დღით ინგამ სარკესთან ნადიას დატოვებული რგოლის ბეჭედი
იპოვა და იმ დღიდან ფეხზე აღარ ამდგარა. თემოს მოვლა გაუჭირდა,
ისევ მეგობრები წამოეშველნენ. დევიმ წამლები იშოვა, გოგა ნემსის გა-
საკეთებლად მოდიოდა დღეში ორჯერ, გოჩა კარგი დიასახლისივით აკე-
თებდა ბულიონებს, ბაზარში დარბოდა, სახლს ალაგებდა. თემო უაზროდ
დაბორიალებდა სისუფთავისაგან გაყინულ ოთახებში, გოგას მოსვლას
ელოდებოდა, ექიმის იმედი ჰქონდა. დამბლამ მარჯვენა მხარე წაართვა
დედამისს და თითქმის უმოძრაოდ იწვა ლოგინში ფოთოლივით გამომ-
შრალი მოხუცი. ფარატიცა თითზე ბაჯალო ოქროს ბეჭედი ბრჭყვია-
ლებდა, ვინ იცის რამდენი გაჭირვება გამოვლილი და გაყიდვას გადარჩე-
ნილი, რძლისათვის შენახული და მისგანვე უკან დაბრუნებული. უფრო
სწორად საყვედურივით დატოვებული სარკესთან, მრგვალ მაგიდაზე,
წამლის პატარა ბოთლის კისერზე წამოცმული.

„გილალატე დედა, მარტო გტოვებ, იმიტომ მწყდება გული, თორემ
დრო კია“. — ძლივს აბრუნებდა ენას პირში და მარცხენა ხელით თმაზე
ეფერებოდა შვილს.

— ნადია მალე ჩამოვა, ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახავ, — ამშ-
ვიდებდა თემო და თანაც საკუთარ თავი ეზიზღებოდა, რომ საფლავში
ატანდა დედამისს გახუნებულ იმედსა და გამვალტყავებულ ტყუილს.

გონება სწორედ მაშინ დაკარგა, როცა ექიმების აზრით უკეთესობა
დაეტყო...

ინგას ოთახში გოგა არავის უშვებდა. ღია კარებიდან ისმოდა რო-
გორ უჭირდა ავადმყოფს სუნთქვა. ბიჭები ლხნდებივით დაბორიალობდ-
ნენ. თემო კედელს მიყრდნობილი იცდიდა. ელოდებოდა როდის შეწყ-

ვეტდა დედამისი სუნთქვას. ელოდებოდა ორი დღე-ღამის განმავლობაში.

ბანაშვილზე ბევრი ხალხი მოვიდა. თემოს უკვირდა კიდეც, არ ეგონა, დედამისს ამდენი ნაცნობი თუ ჰყავდა. კედელთან გამწკრივებული სკამები შაოსანმა ნათესავებმა და მეზობლებმა შეავსეს, ყვავილებიც უამრავი იყო, და მაინც, ახლა უფრო მკვეთრად გრძნობდა შვილი, რატომ მისტიროდა დედამისი რძალს და რატომ ენატრებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქალიშვილი. ბატონი ბაძუ ნათესავებითურთ არ ჩამობრძანებულა, დეპეშა გამოაგზავნა და თემო უზომოდ მადლიერი იყო მათი, გვერდს რომ არ უმშვენებდნენ. მხოლოდ ერთხელ დაირღვა სუდარაგადაფარებული იდუმალება, როცა ლიზიკომ გადააბიჯა ოთახის ზღურბლს. მუხლებზე მდგომი ქალი თმაზე ეფერებოდა მიცვალებულს და ცივი ხმით კიოდა. საოცარი იყო ქალაქში გაზრდილს საიდან უნდა სცოდნოდა ასეთი შეცხადება და ხმით ტირილი, შეიძლება თავის სიყვარულს, ქალობას ტიროდა, აქ, სწორედ ამ სახლში სამუდამოდ დაკარგულს. თემომ იგრძნო, როგორ მოკიდა ვიღაცამ გულზე ხელი, მოუჭირა, ძლიერად, უფრო მეტად.

ლიზიკოს ჰქონია დედამისის დამტირებელი თვალები...

(გაგრძელება იქნება)



იბერიული სტატისტიკა

ბევრი რამის თქმა მოგვისწრია,
ბევრსაც ხვალ იტყვის გენი ჯანმრთელი, —
„ერთი ქართველი სოლისტია,
ორი ქართველი დუეტია,
მთელი ანსამბლია სამი ქართველი!“
ადრე თუ გვიან, ადრე თუ გვიან,
მაინც ითქმება ალბათ სათქმელი, —
„ერთი ქართველი სიკვდილია,
ორი ქართველი სიცოცხლეა,
უკვდავებაა სამი ქართველი!“
ადრე თუ გვიან, ღირს აბორგება,
გზას გაგიბრწყინებს სული ნათელი, —
„ყველა ქართველი
შენთვის მოკვდება
და შენ უკვდავყოფს ყველა ქართველი!“

პ ე ჯ ი ს

ძალს ძალებში ნეტა პატივს ვინ გცემს,
სად მიიზიარ, ვაი, გულში რა გიდეცს,
ამ ძალებმა რაკი ძალად გიცუნეს,
ახლა უკვე ყველა ძალი გაგიგებს.
ყურს ნუ უდებ ცხვირპაჭუა სნობებს,
შეეგებე შენს კოლეგებს მხურვალედ —
რა ვუყოთ, რომ მგლები ისევ გმტრობენ,
მგლებს ძალებად მოაქცევენ სულ მალე.
ძალურ კითხვებს ერთად გავცემთ პასუხს,
შხამსაც დავლევთ ჩქარა ერთი ლანგრიდან, —
ყველა მგელთან მეგობრობა არ გვსურს,
ყველა ძალის ერთგულება არ გვინდა!

მეორე ლექსი პავის

არ ზეიმობ არაძალღურ თარიღებს,
გშია, მაგრამ

შენც გაქვს შენი „ნები“, —
ვინც არ მოგწონს,

მისგან საჭმელს არ იღებ,
გვაჯობე და ეგ არი, პები!
ვიცი, გესმის ჩემი დარდის

ბჭკარედიც,
თავს იწონებ ჩემი ჭრელი კეპით,
ვინც არ გიყვარს,

ახლოს არ ეკარები,
გვაჯობე და ეგ არი, პები!
რას მიმტკიცებ სევდიანი

თვალებით,
მე რას მერჩი, მოდი ჩემთან
ახლო,

ვისაც შენი არ ესმის,
იმას არც ედავები,
გვაჯობე და ეგ არი, ძაღლო!

ღრო შენც გიჭერს წლებს,
ისე ვით მარწუხებს,

ჩქარა წყალსაც ველარ დაღევ
ხვრებით,
რალაც გტკივა, მაგრამ ჩვენ არ
გვაწუხებ,—

გვაჯობე და ეგ არი, პები!

დაუჯერებელი

ისე ხდება, როგორც ჯერ არს,
ან რა ძაღვიძს

ქვეყნად მარტოს, —

არც მე მჯერა,

არც შენ გჯერა,

არც მას სჯერა, როგორც ვატყობ.

საშინელზე საშინელი,

ღროა, მაგრამ მაინც ვმღერით, —
არც მე ველი,
არც შენ ელი,

არც ის ელის ციდან წერილს.
სული ზე ფრენს გვამსა ზედა,
ალარ გამოვდგები მხედრად, —
ვერც მე ვხედავ,
ვერც შენ ხედავ,
ვერც ის ხედავს,
როგორც ვხედავ.

ეკალ-ბარდში ერთუროს
გმარხავთ,
ერთი ცეცხლით ვტრუსავთ
ძეძვებს,—

ვერც მე ვნახავ,
ვერც შენ ნახავ,
ვერც ის ნახავს, რასაც ვეძებთ.

* * *

წართმეული გაქვს სახელი,
გადაშლილი ხარ ტუშით, —
რა გემართება, ვასძელი,
შუქი ხომ გრჩება გულში.
თავს გადგას ვილაც თახსირი,
ლოცვა-კურთხევას გიშლის,
რა მოგივიდა, რას ტირი,
ლექსი ხომ გრჩება სისხლში.
რატომ გგონია, მარტო ხარ,
არ გაქვს ოცნების ნება, —
მიწა წაგართვეს, რა მოხდა,
დედის საფლავი გრჩება.
არ შეისმინეს ლაღადი,
განზეც გაგიდგნენ ღრენით, —
რა მოგივიდა, დაწუნარდი,
იმ ერთს ხომ ესმის შენი.
ის ერთი ხომ შეგიცოდებს,

ხომ გიმეგობრებს ოდით, —
იმ ერთისათვის იცოცხლე,
იმ ერთისათვის მოკვდი.

დადგა დღე

ცა იღვრება ცისფერ ლექსად,
სულს, იჭვით დაჭრილო,
იქნებ დადგა დღე, როდესაც
სიმღერაა საჭირო.

გულმოკლულებს სევდა
გვზღუდავს,
გზები გზებს რომ კვეთავენ, —
იქნებ დროა, როცა უნდა
მივეშველოთ ერთმანეთს.
ცრუ საწუთრო დვარძლით

გვბოცავს,
უკუნს ელვა გვინათებს, —
იქნებ დადგა წუთი, როცა
უნდა ითქვას სიმართლე.
მგონი ცაშიც ისმის კვნესა,
ცრემლი დასდის საფირონს, —
იქნებ დადგა დღე, როდესაც
სიკვდილია საჭირო.

იცის, იცის, იცის ღმერთმა,
უხმოდ აგებს კიღობანს, —
იქნებ დროა ყველაშ ერთად,
მოვითხოვოთ მშვიდობა.
ცა იღვრება ცისფერ ლექსად,
სულს, იჭვით დაჭრილო,
იქნებ დადგა დღე, როდესაც
აფრენაა საჭირო.

* * *

კვლავ ვკითხულობ, როგორც
ბავშვი, —

„ვის ვუყვარვარ, ნეტა, ვის?“
ლექსად გადავდივარ ხალხში,
ხალხი მისმენს, ხალხი მცდის.
როგორც სიტყვა და სიმღერა,
„ვის ვუნდივარ, ნეტა, ვის?!“ —
ვგრძნობ, ცის კარი არ იღება,
ღვთის სინათლე თვალსა მჭრის.
გული სიყვარულით მიცემს,
თვალს ვახელ და ვებრძვი

ძილს, —
რასაც ახლა მე ვამტკიცებ,
ვის ვუმტკიცებ, ნეტა, ვის?!

* * *

ცა, ვით დამსხვრეული მინა,
სულში ჩახვეული სურო, —
მე მეტკინა,
შენ გეტკინა,
მას ეტკინა გული, გულო!
წვიმად აღარ მოდის წვიმა,
ჩანგიც ვეღარ ჩანგობს ლალად, —
მე მეწყინა,
შენ გეწყინა,
მას ეწყინა ისევ რაღაც.
ბინდი, ბედისწერა, ბედი,
გზა მსუბუქი, ხვედრი — მძიმე, —
მე წავედი,
შენ წახვედი,
ის წავიდა... დარჩა ვინმე?

მეკრველი ანგელოზი

(მოთხრობის ფრაგმენტი)

ძლიერმა ქარიშხალმა გადაუარა ხეობას. ძილი გაუტყდა ერთმანეთზე ზედახორად მიყრილ ბუშბერაზ მთებს. მათგან ყველაზე მაღალს — ლონგას ქარიშხალი მზეთუნახავის მრისხანებასავით ხიბლავდა. უცებ ყველაფერი დაწყნარდა, წვიმამ გადაიღო, ქარი, თითქოს შეშინდაო, პირქვე, ჩაემხო და არცთუ ამაოდ: დაიგრილა მეხმა და სადღაც შორს, ლონგას მწვერვალიდან სამხრეთით დაეცა...

ღამემ ნელ-ნელა დათმო საღავეები,

იქ, სადაც ბუშბერაზი მთები იწყება, ერთ ლამაზ ბორცვზე მეხისაგან გაბობილ მუხას გოგირდის კვამლისებური ორთქლი ასდის; დედამიწა კი ჯერაც ზანზარებს, ყრუ გუგუნით ეხმაურება გრგვინვას. საოცარი ძალით უყვარს ცას დედამიწა. მისი ამბორი გამსჭვალავი ელვაა, მისი ალერსი ნაცარტუტად აქცევს ფრიალო კლდეებს, მაგრამ განა ასეთივე არაა ყოველივე დიადის, ყოველივე ძლიერის სიყვარული ამქვეყნად? სულ ერთია, გული წარმოშობს მას თუ სხვა გული ღებულობს — ორივენი იღუპებიან. მეზი გლეჯს ღრუბლებსაც, სადაც თავად იშვა და კლდეცაც, რომელზედაც ეცემა. ნანგრევები და ფერფლია მისი ნაკვალევი.

ეს გაკვეთილია მოკვდავთათვის. კანონებისა და სტიქიების მუქარით გარშემორტყმული ადამიანები მანკიერნი არიან და შევიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოუვიდოდათ მათ, რომ ოკეანე ყოველ წუთს წალეკვით არ ემოქრებოდეთ, ხოლო მიწისძვრა ჩაყლაპვით. მართალია, ჩვენ შეჩვეულნი ვართ იმას, რომ ბუნების ხმა ხშირად შეგვასხენებს ხოლმე სიკვდილს, მაგრამ დაუჯერებელია, თვით ყველაზე გამოუსწორებელი ბოროტ-მოქმედიც არ შეკრთეს, როცა უცნაური ქარიშხლის თითები ელვით წერს წყვედიად შიშის ბალთაზარის შემაზრხენ განაჩენს.

ბეჭა-ქუხილი კიდევ რომ არ წმენდდეს ჰაერს და დედამიწისათვის რაიმე ნივთიერი სარგებლობა არ მოჰქონდეს, ადამიანის გონებაზე მართლმისი ზნეობრივი ზემოქმედება ბუნების დიადი მოვლენაა.

ბეჭა-ქუხილი დაწყნარდა. იშვიათად დაჰქრის ჰაერში წვიმის ნათელი წვეთები. ღრუბლები ომში დაფლეთილი დროშებივით ფრიალებენ, ხეობა ბანს აძლევს მომავლადი ქარის უკანასკნელ ამოხროტიუნებას. აი,

ახლადბადებული მზის არტახი — ცისარტყელა, აი, თვით მზეც, მთელ
ჯგერას მოეფინა მისი სხივები. მუხა, რომელსაც ღამით მეზი დაეცა, იდგა
ერთ-ერთი მთის მწვერვალზე. ეს იყო აქაურ ფრინველთა იმპერიის
ცენტრი. იმპერია, რა თქმა უნდა, მეზობელ მთებსაც მოიცავდა, რადგან
იმპერია ჩხიკვებმა დააარსეს, ჩვენც ნუ დავუკარგავთ ამავს და ვუწოდოთ
ჩხიკვების იმპერია. ადრე-აქ უბრალო ტყე იყო, ოღონდ მდიდარი, ვე-
ლური ხილით, კენკრით, ანკარა წყაროებით. იმპერიის კარიბჭესთან კა-
კლის ხეები სჭარბობდა, შემდეგ მათ ფიჭვის, მუხის და წაბლის ხეები
სცვლიდა. მცენარეთა მრავალფეროვნება და ველური ბალნარის ილუმალი
სიდიადე მნახველს უნებური მოწიწების გრძნობას აღუძრავდა ბუნების
ველური ძალისადმი. ალაგ-ალაგ ტოტებით დაბურულ წყვილიან ღღესა-
ვით გამოჩნდებოდა ყვავილების სურნელოვანი ხალიჩით გაჩახჩახებული
ლინდვრები, რომლებზეც გადიოდა დიდი ხნის მივიწყებული ბი-
ლიკი.

ჩხიკვებს ძალიან მოეწონათ ეს ადგილები. იმპერიის დაარსებას აქ
მეთაურობდა ჭკუით, ძალით და მრისხანებით გამორჩეული ჩხიკვი პორ-
ფირი, რომელმაც იმპერიის დაარსებასთან ერთად მიიღო იმპერატორის
ტიტული და თავს უწოდა პორფირი XI, ჩხიკვების გარდა იმპერიაში
უამრავი ჯიშის ფრინველი ცხოვრობდა: შაშვები, კოდალები, ბუები, კუ-
ლუმბურები, ტყის ქათმები, გულწითელები, წივწივები, წიწკანები, ჭინ-
ჭრაქები. ერთი ქორიც ბუდობდა, რომელიც ჩხიკვებთან კეთილ მეზობ-
ლობაში იყო. იმპერიის საზღვრებს ფხიზლად დარაჯობდნენ ჩხიკვები.
არც ერთ უცხო ჩიტს არ შეუშვებდნენ, თითონ კი დაცვის თანხლებით ძა-
ლიან შორს მიფრინავდნენ. რა თქმა უნდა, არც ქორს ჰქონდა დაბრკოლე-
ბა იმპერიიდან გასვლაში.

ჩხიკვები თავს ფრინველთა განსაკუთრებულ კასტას მიაკუთვნებენ.
თვლიან, რომ ბუნებამ ისინი სხვა ფრინველების დასაცავად გააჩინა. ჩხი-
კვების მოვალეობა იყო ფრინველებში სამართლიანობის ქადაგება და და-
ცვა, სამაგიეროდ ისინი მორჩილებას ითხოვენ იმპერიის სხვა მცხოვრებ-
ლებისაგან. ყოველი ჩხიკვი თავისთავს თავისუფალს უწოდებს და თუ
სამი-ოთხი მსახური ჰყავს, თავი დიდი ბატონი ჰგონია. მსახურები, ალ-
ბათ მიხვდით, წვრილი ჩიტები არიან. მათი უმთავრესი დანიშნულება ის
არის, რომ როცა ჩხიკვი სიმინდის საჭმელად მიფრინავს ყანაში, მსახუ-
რები ზვერავენ არემარეს, რათა დაიცვან თავიანთი ბატონის უსაფრთ-
ხოება. სიმინდის ყანები მდებარეობდა იმპერიის სამხრეთით. სიმინდი
ჩხიკვების უსაყვარლესი საჭმელია.

უწინ ჩხიკვები ამრეზით უყურებდნენ იმპერიის სხვა მცხოვრებთ.
ყოველ გამოყრუებულს ეგონა, რომ ოქროს თავი აქვს და თავადად



ითვლება. ადრე ჩხიკვებს ფიცი ვართობად მიაჩნდათ, მოტყუება საქმედ, ოჯახის ერთგულებას აგდებით ეკიდებოდნენ. მშვიდი ჩხიკვები ზშირად, ვითომდა შურისძიების მიზნით, თავს დააცხრებოდნენ ბავშვის ან რომელიმე ჩიტის ბუდეს და ბარტყებს შეუჭამდნენ.

იმპერიის დაარსებისთანავე ბევრი რამ შეიცვალა. პორფირი XI კანონებმა ჩხიკვების ბარბაროსული ზნე-ჩვეულებანი თავისი გონიერი ფრთებით მოგუდა. აიკრძალა სხვა ფრინველთა ბარტყების ჭამა. ოჯახზე ზრუნვა უპირველესი საზრუნავი იყო. პორფირი XI კანონების შეუსრულებლობა სასტიკად ისჯებოდა. ალბათ, იფიქრეთ, რატომ იყო მაინცადამაინც მეთერთმეტე; ეს არავინ უწყობდა, მას მოსწონდა ასე...

იმპერატორი ცხოვრობდა დიდი ხნის წინათ ადამიანების მიერ აშენებულ ნაღიაში. უკვე მოხუცებული იყო. მის მყუდროებას ერთგული ჩხიკვების ამაღა-იცავდა, ნაღია საიმედოდ იყო დაცული ქარისა და წვიმისაგან. ჩხიკვებმა ყველა ჭუჭყრუტანა საიმედოდ ამოქოლეს. ნაღიაში სურსათის საწყობიც იყო, სადაც სიმინდის მარცვლები, ხმელი მოცვი, ხურმა და სხვადასხვა კენკრა ინახებოდა. იმპერატორი ავალდებულებდა ყველა ფრინველს ყოველდღიურად რაღაც შეემატებინათ მარაგისათვის. რათა იანვარ-თებერვალში შიმშილობა არ ეგრძნოთ. ზამთარი რომ დადგებოდა, იმპერატორს ზშირად ესტუმრებოდნენ მთიდან ჩამოფრენილი ჩხართვების, ბოლოშაგების, სირინების თავკაცები. იმპერატორი თვითონ არ იყო დიდი მოთხოვნილების ჩხიკვი, იგი გულუხვად უმასპინძლდებოდა სტუმრებს, შიმშილისაგან დავრდომილთ. ნაღიასთან ყოველდღე იკრიბებოდნენ ჩხიკვთა თავკაცები, ირჩეოდა იმპერიის საშინაო თუ საგარეო საქმეები. იმპერატორის მსტოვრები დარჩეული ძლიერი ჩხიკვები იყვნენ. დამნაშავეს დასჯის შემდეგი წესები ჰქონდათ: უცხოეთის აგენტად, იმპერიის მოღალატედ გამოცხადება და გასახლება იმპერიიდან. უფრო დიდ დამნაშავეს მსტოვრები ცემით კლავდნენ.

ახლა კი ცოტა ხნით მივანებოთ თავი იმპერიის საშინაო და საგარეო საქმეებს და ჩვენი მოთხოვნის მთავარ გმირს გავეცნოთ.

როგორც უკვე ვთქვით, იმპერიის სამხრეთით კაკლების ხეივანი იყო გაშენებული, ხეივნის ზემოთ, შემაღლებულ ადგილზე, სადაც მზე უხვად ასხურებდა სხივებს, იდგა დიდი ფიჭვის ხე, რომლის ფოთლებში, სადაც ქარი და წვიმა ვერ ატანდა, ცხოვრობდა ერთი მშვენიერი, პატიოსანი ახალგაზრდა ჩხიკვი აჩიკო. იგი დიდგვაროვანი ჩამომავლობის იყო. იმპერიის საქმეებში არ ერეოდა. აჩიკო დაიბადა იმ დროს, როცა იმპერიაში პორფირი XI კანონები ბატონობდა. აჩიკოს მამა არ თანაუგრძნობდა იმპერატორის ერთგულ ჩხიკვებს. იგი თავის პირად შეურაცხყოფად იღებდა პორფირის მიერ ჩხიკვების დაწინაურებას არა წარმოშობის, არა-

მედ პირადი დამსახურების მიხედვით. აჩიკოს მამა არ ახსოვდა ბარტყი იყო, როცა მამა სადღაც დაიკარგა, არავინ იცოდა, სად. ზოგი ამბობდა, ადამიანმა მოკლაო, ზოგიც — იმპერია მიატოვაო, ხოლო ზოგან — მიატოვებინესო. აჩიკოს დედა სევდას გადაჰყვა. ეს მოხდა მაშინ, როცა აჩიკო წამოიჩიბა. დედა აჩიკოსათვის სათაყვანებელი არსება იყო. იცით, რით ზრდიდა იგი შვილს? — გაფრინდებოდა ძალიან შორს, ადამიანთა სახლებთან, მოიპარავდა ერთ კუხხალ ყურძენს და შვილს მიუტანდა. აჩიკოც შეჰყოფდა პატარა ნისკარტს და ნეტარებით წუწნიდა მარცვლებს. დედა თავზე ადგა და ეფერებოდა. შემდეგაც, დედა რომ მის გვერდით აღარ იყო, აჩიკო ხშირად ნახულობდა სიზმარში.

მართალია, მშობლები გარდაიცვალნენ, მაგრამ მათი შეხედულებები და რწმენა შვილში გაცოცხლდა. აჩიკო იმპერიისაგან განდგომილად ცხოვრობდა, მეგობრობდა მხოლოდ იქვე მცხოვრებ ჩხიკვ ფაკოსთან, რომელიც ჩვენი მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირია. იქვე, ახლოს ცხოვრობდა ერთი მამალი შაშვი, რომლის სტვენა აჩიკოს დილაობით დიდ სიამოვნებას ჰკვრიდა. ცოტა საჭმელი, ცოტა წყალი, ბევრი მზის სხივი და უსასრულოდ ბევრი ჰაერი — აი, რა სჭირდებოდა ჰაბუკ ჩხიკვს. აჩიკო მზის სხივებს ბუნების პირველ წყალობად თვლიდა. პაპანაქება სიცხეს, ფრინველები რომ ემალებოდნენ, აჩიკო აინუნშიც არ აგდებდა, ამის გამო აჩიკო თავის თავს ხუმრობით უწოდებდა „მზის შვილს“. გაზაფხულზე, როცა მთელი ქვეყნიერება სიყვარულად იქცეოდა, აჩიკო დაჰქროდა მთებსა და ველებზე, დაჰქროდა, სანამ არ დაიღლებოდა. შემდეგ დაუყვებოდა მდინარეს, იქ, სადაც პანორამასავით იშლებოდა ადამიანთა საბრძანებელი, მდინარე უშველეველ ჩანჩქერად იღვრებოდა კლდეზე, რომელიც საუკუნეების სუნთქვას გაეშავებინა. ჩანჩქერის თავზე მზე ლამაზ ცისარტყელას ქსოვდა უთვალავი წვრილი შხეფებისაგან. ეს სანახაობა ძალიან იტაცებდა აჩიკოს; იქვე, ხეების ჩრდილში თვლემდა, თანაც მდინარის ჩხრიალით და ბუღბუღლის ტბილი გალობით ტბებოდა. ამ დროს მისთვის რომ შეგეხდათ, ფიქრებდით ოცნებათა ლამაზ ყვავილწულს ვუმიზერო. არ ვიცი, ბუნების მუსიკა იღვრებოდა მისთვის ოცნებებად, თუ ოცნებები იქცეოდა ყვავილებად და ბგერებად. ამ დროს აჩიკო რაღაც გასათვარ, უსახელო სამეფოში ცხოვრობდა: უმეგობრდებოდა ვიღაც უხილავს, იტაცებდა ულამაზეს ჩხიკვთა ასულებს, უყვარდა და უყვარდათ, იძირებოდა საშიშროებებსა თუ სიამოვნებებში.

აჩიკო არ იყო მხოლოდ მეოცნებე ჩხიკვი. მან ბრძოლაშიც დაამტკიცა, რომ უშიშარი და მამაცი იყო. როცა ყაჯი იმპერიას ალყა შემოარტყა, პორფირი XI მოუწოდა სამშობლოს ერთგულ შვილებს დაემარცხებინათ მომხდურნი. ყაჯი იყო პორფირის მიერ იმპერიიდან გან-

დეწილი ავზნიანი და ამაზრზენი შეხედულების ჩიკვი, რომელიც ყველასაგან გამოირჩეოდა უღალი ბუმბულით. მან შეკრიბა თავხეხელალებულ ჩიკვთა ბრბო და მოუწოდა პორფირის მოკვლისა და იმპერიის დარბევისაკენ. იმპერიელები ბრძოლის წინ დალოცა წმინდანმა ჩიკვმა ტასკიომ.

ორივე მხარე გააფთრებით იბრძოდა, ნისკარტებით ჩეხავდნენ ერთმანეთს. ბრჭყალებით უგლეჯდნენ ბუმბულს. ყაჯის თავხეხელალებულმა არმიამ სასტიკი მარცხი განიცადა, მხოლოდ ათი-თორმეტი ჩიკვი თუ გადარჩა, რომლებმაც ძლივს უშველეს თავს.

აჩიკომ ამ ბრძოლაში თავი ისახელა, მაგრამ დიდებაზე უარი თქვა და დაუბრუნდა თავის წყნარ ცხოვრებას. მის უმანკო და სპეტაკ სულს ჯერ სიყვარული არ სწევოდა. მკაცრი ბიძა წამდაუწუმ ჩასჩინებდა: „აჩიკო, გახსოვდეს, ვარდს სურნელება მხოლოდ ერთი საათით აქვს, ეკლები კი მუდამ ასხია. ეალერსე ქალებს, მაგრამ ნუ შეიყვარებ მათ, თუ არ გსურს, რომ მბრძანებლიდან მონად იქცე. სიყვარული მხოლოდ ოცნებებშია ტკბილი, სინამდვილეში კი ეს შიშით იწყება, მერე შიშს ცოდვა სცვლის და ყოველივე სინანულით მთავრდება“. ვინც ხშირად ისმენს რჩევა-დარიგებებს, აღიარებს რომ ისინი ყურში არც უნდა შეუშვას და მხოლოდ წარუმატებლობის შემთხვევაში შეიძლება გაიხსენო ერთი წუთით. აჩიკოს დიდად ეხატრებოდა თავისი ბიძისა, ამიტომაც მის ნათქვამს ერთ ყურში შეუშვებდა და მეორედან გაუშვებდა.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ მამრ ჩიკვებს ულვაში ამოსდით. აჩიკოს ორი წელი შეუსრულდა და მხოლოდ მაშინ ამოუვიდა ულვაში, მხოლოდ მაშინ გაუხდა ძილი მშფოთვარე, ცხადად კი ცეცხლოვანი ფანტაზიები ეწვივნენ. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ პირველი საულვაშე ღინღლის ამოსვლას — დავაყვაცების უპირველეს ნიშანს, — სიყვარულის პირველი შემოტევა მოსდევს ხოლმე. აჩიკომ ეს ჭეშმარიტება საკუთარ თავზე გამოსცადა. ულვაშის ყოველ ახალ ღერთან ერთად მის გულში ახალი სურვილი იზადებოდა ძნელი, გაუტკეველი და თანაც ტკბილი.

როგორც უკვე ვთქვით, მეზი დაეცა. იმპერიის შუაგულში მდებარე მუხას. ეს ხე იყო იმპერიის თავკაცების შეკრების ადგილი. აქ გამოდიოდა თავისი მგზნებარე სიტყვებით წმინდანი ჩიკვი ტასკიო. უკანასკნელ ხანებში ტასკიო ხშირად ავადმყოფობდა და კრებები მის გარეშე ტარდებოდა. ხანდახან იმპერატორიც არ ესწრებოდა კრებას. მაშინ ეს ნამდვილ სალაყბოდ — შეხედულებების გაზიარებისა და ჭოროაბის ადგილად, სხვადასხვა ხრიკების მომზადების ასპარეზად იქცეოდა. და ყოვე-

ლოვე ეს ხდებოდა წმინდა ხესთან — აი, ჩხიკვათა ორპირობისა და ღვთისა
ხედობის საოცარი გამოვლინება.

რატომ იყო გამოცხადებული ეს მუხა წმინდა ხედ?

აქ უწინ ცხოვრობდა წმინდანი ჩხიკვი ლელესკიო. იგი ახალგაზრ-
დობაში ბევრს მოგზაურობდა, ყველა ფრინველი დიდ პატივს სცემდა
გამორჩეული გონიერების გამო. ლელესკიო როცა მოხუცდა, მოგზაუ-
რობას თავი დაანება და ამ მუხაზე დაიღო ბინა. იგი ფრინველებს ასწავ-
ლიდა ბუნების ზოგად კანონებს. უნერგავდა ადამიანებისადმი შიშს, მა-
გრამ იმასაც ასწავლიდა, რომ ადამიანიც ნებისმიერი ცხოველის, ქვეწა-
რმავალის მსგავსად ბუნების შვილია და თავისი როლი აქვს მისი აუხსნე-
ლი კანონების წარმართვაში. ლელესკიო უქადაგებდა ყველა ფრთოსანს,
ეცხოვრათ მშვიდობიანად, კეთილმეზობლობაში, რომ ყველა ფრინველი
თანასწორია, არ უნდა იყვნენ ბატონები და მსახურები. მოუწოდებდა
ეთესათ ყველგან სიკეთე, და ისედაც ხანმოკლე სიცოცხლე რაიმე ბო-
როტებით არ დაემახინჯებინათ, ლელესკიო ურჩევდა ჩხიკვებს, არ ეჭმათ
ძეძა, რაც ჩხიკვებმა ვერა და ვერ დათმეს. ძეძა იყო ლამაზი კენკრა,
რომლის ჭამის შემდეგ ფრინველები ბრუვდებოდნენ. ღრმად მოხუცებუ-
ლმა ლელესკიომ თავისი ბინა მუხიდან ლონგას მწვერვალზე გადაიტანა,
ჩხიკვებს სჯეროდათ, რომ ლელესკიო დღესაც ცოცხალია და ლოცულობს
ფრინველთა, გამორჩეულად კი ჩხიკვთა კეთილდღეობისათვის. იმას არა-
ვინ ფიქრობდა, რომ თვით არწივიც ვერ აღწევდა ლონგას მწვერვალზე,
არათუ მიხრწნილი ჩხიკვები. ჰოდა, რაღა გასაკვირია თუ ასეთი ჩხიკვი
იმპერიაში ღმერთად იყო აღიარებული.

თავზარდაცემული ჩხიკვები შიშით შეჰყურებდნენ შუაზე გახლეჩილ
მუხას და თვალებს უაზროდ ატრიალებდნენ. მძიმე ფიქრებს მიცემულმა
იმპერატორმა ორი ჩხიკვი გაგზავნა ტასკიოს მოსაყვანად, როგორც კი ტა-
სკიო მოფარფატდა, მუხა დაათვალიერა, ჩხიკვებს თვალი გადაავლო და
თქვა:

— ჩხიკვებო! აქ ღმერთის ხელი ურევია! ღმერთი გვირისხდება
ჩვენი ცოდვებისათვის... მას თავყანისცემითა და წუწუნით ვერ მოიტ-
ყუებთ, თქვენ ის დიდი ხანია გიცნობთ. ლელესკიომ მოგიწოდათ გეცხო-
ვრათ სხვა ფრინველებთან თანასწორად, თქვენ კი მათ ამრეზით უყუ-
რებთ და მორჩილებაში გყავთ, მან მოგიწოდათ ერიდეთ ძეძას, თქვენ
კი შეიყვარეთ იგი. თქვენ ნელ-ნელა გღრღნით ბოროტების ჭიები, თქვე-
ნი გული შავადაა დასერილი ცოდვებით. ყოვლისშემძლე ღმერთი ყველა-
ფერს ზედავს, ის თავის ჭურჭელში ადულებს და წმენდს ფრინველის
ბედს... იმისათვის, რომ მისგან მშვენიერ ფორმაში საერთო კეთილდღეო-
ბა ჩამოასხას.

აქ ტასკიო გაჩუმდა. თითქოს კიდეც უნდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ყველასაგან მოულოდნელად გაფრინდა. მისი სიტყვებით შეფიქრებულნი ჩხიკვები გაფრინდნენ ოთხივე მხარეს. მუხა სულ ბოლოს იმპერატორმა დასტოვა. მან მძიმედ გაიფრინა მოკლე მანძილი მუხიდან ნალიამდე, შეფრინდა და ხავსებზე მიეგდო. მისი ერთგული მსახურებიც ვერ ხსნიდნენ, თუ ასე უცებ რამ დაადარდიანა მოხუცი იმპერატორი. ალბათ, ტასკიოს სიტყვებმა იმოქმედა მასზე? არა. ის, რაც ტასკიომ თქვა, დაახლოებით ასე ესახებოდა მასაც. იმპერატორი ფიქრობდა თავის უმცროს ძმაზე, რომელიც დიდი ხანია გადახვეწილი იყო შორს, შვიდობა დღის საფრენ მანძილზე, დასავლეთით. უმცროსი ძმა პორფირს ბევრ რამეში ეწინააღმდეგებოდა და, ამიტომაც იმპერიიდან გააძევა. უმცროს ძმას თან გაჰყვნენ მისი მომხრე ჩხიკვები.

ერთი წლის შემდეგ იმპერატორი სინდისის ქენჯნამ შეაწუხა, გაგზავნა მსტოვრები და დაავალა მოეძებნათ და ჩამოეყვანათ მისი ძმა. მსტოვრებმა მიაგნეს გადახვეწილებს და გადასცეს პორფირის თხოვნა, დაბრუნებულიყვნენ იმპერიაში. მათ სასტიკი უარი განაცხადეს. რაღა დარჩენოდა იმპერატორს: ძმაზე არასდროს არ ლაპარაკობდა, მასზე დარდი კი ყოველთვის აწუხებდა.

ის ღამე პორფირიმ ცუდ სიზმრებში გაატარა. ჩათვლემდა თუ არა, ეჩვენებოდა, რომ შავი ყორნების გროვა ჰქეღავდა მას. გამთენიისას რაღაც გეგმა დაისახა და მხოლოდ ამის შემდეგ შესძლო ცოტა წაეძინა.

ქარიშხლის მეორე დღე გათენდა. აჩიკო, ჩვეულებისამებრ, კაკლის კენწეროზე მზეს ეფიცებოდა. უცებ მასთან მიფრინდა ერთი დიდი ჩხიკვი.

— შენ ხარ აჩიკო? — ჰკითხა.

— დიახ.

— აქ დაიცადე. შენთან ლაპარაკი სურს მის უდიდებულესობა იმპერატორს.

აჩიკომ უკან გაბრუნებულ ჩხიკვს თვალი გააყოლა და მხოლოდ ახლა იცნო. ეს იყო იმპერატორის დაცვის უფროსი.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მოფრინდა პორფირი დაცვის თანხლებით. იგი აჩიკოს მახლობლად ტოტზე ჩამოჯდა, დაცვა კი მეზობელ ზეზე განლაგდა. მბრძანებელი დიდხანს უყურებდა თვლებში. როცა იგი იმპერიის რომელიმე უღირს შვილს თავის გამგმირავ მზერას მიაპყრობდა, დამნაშავეს მეხსიერებაში წამოუტივტივდებოდა მთელი თავისი ცუდი საქმეები და მოელანდებოდა საშინელი სურათები დასჯის სახით. სამაგიეროდ, იმპერატორს, ერთი შეხედვით, ერთი ღიმილით შეეძლო ღირსება და მამაცობა დაეჯილდოებინა სიტყვებით, რომლე-

ბიც უშუალოდ გულიდან მოდიოდა.

— მე ვიცნობდი განსვენებულ მამაშენს, მოხუცი ძალზე ჭირვეული იყო. იგი ჩვენ განგვიდგა და მარტოობაში დალია სული. მე მას ბევრჯერ ვთხოვე, ეცხოვრა ჩვენი იდეებით, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მე ვიცნობ შენ, ვიცი, რომ თავი გამოიჩინე ყაჯისთან ბრძოლაში, ვიცი, რომ პატიოსანი და კეთილშობილი ახალგაზრდა ხარ და ამიტომაც მინდა ერთი საქმე დაგავალო.

აჩიკომ მორჩილების ნიცვლად თავი დახარა და სმენად იქცა.

— იმპერიიდან დაახლოებით რვა დღის საფრენ მანძილზე ცხოვრობს ჩემი ძმა. მე დიდი ხანია მისი ასავალ-დასავალი არ ვიცი, შეიძლება ის ცოცხალი არცაა. შენ უნდა ნახო იგი და დაიყოლიო ჩვენთან გადმოსვლაზე. ჩემი ძმა და მამაშენი მეგობრები იყვნენ დ ამიტომ უარს არ გეტყვის. თუ ამას მოახერხებ, მე შენ დიდ პატივს მოგაგებ. სასურველია ხვალ უთენია გაფრინდე. ახლა კი გზა უნდა გასწავლო და ყურადღებით მომისმინე:

— იმპერიიდან დასავლეთით უნდა გაფრინდე. ადამიანების სახლებს რომ მიაღწევ, მდინარის კალაპოტს გაჰყევი ქვევით. მდინარე ძალზე გრძელია. როცა იგი ორად გაიყოფა, პატარა ტოტს გაჰყევი, იგი თანდათან პატარავდება იმდენად, რომ, მინდვრებს რწყავს, ბოლოს კი ერთ ვრცელ მინდორში დაიფანტება. ამ მინდვრიდან უკვე მოჩანს შიშველი მთა. პირველად გეგონება რომ ახლოსაა, მაგრამ სინამდვილეში მთამდე რომ მიაღწიო, ბევრი უნდა იფრინო. სწორედ ამ მთის გადაღმა ცხოვრობს ჩემი ძმა. იქ უამრავი ფრინველი ირევს. კითხვა-კითხვით მოძებნი, ღმერთმა ნუ ქნას... ჩემი ძმა და რძალი თუ არ იქნენ ცოცხალნი, მათი შვილი მოძებნე და წამოიყვანე. და კიდევ, მონახე აქედან წასული ჩხიკვები ან მათი შთამომავლობა, მოუყევი მათ ჩვენი იმპერიის შესახებ, მოკლედ ყოველნაირად ეცადე დაიყოლიო ისინი ჩვენთან ცხოვრებაზე. აი, ეს იყო ჩემი თხოვნა, მე მგონი კარგად გამოგეთ?

— გავიგე, მბრძანებელო.

— კეთილ გზას გისურვებ, შვილო, მოუთმენლად გელოდები დარწმუნებული, რომ ჩემს დავალებას შეასრულებ.

იმპერატორმა მიძიმედ აიქნია ფრთები და გაფრინდა, დაცვა უმაღლესი მიჰყვა.

აჩიკოს იმპერატორი არ უყვარდა. საერთოდ, ძნელია მრისხანე და დაუნდობელი მბრძანებლის სიყვარული, როცა აჩიკოს მამა დაიკარგა, ბიძა ჩუმად სისინებდა: ჩემი ძმის სიკვდილში პორფირის ხელი ურევიაო, რაც აჩიკოს არ სჯეროდა. მის შეგნებაში იმპერატორს თავისი მრისხანე სახელის მიუხედავად, არ იყო ბოროტი. აჩიკო პორფირს თვლიდა ძლიერ,

ქკვიან და სამართლიან ფრინველად. თუ აქამდე აჩიკო ცდილობდა მის-
ვან რაც შეიძლება შორს ყოფილიყო, ახლა იგი სიამაყით აივსო, როცა
იმპერატორმა ეს ძნელი საქმე მხოლოდ მას დაავალა, თანაც მოგზაურო-
ბა მას დიდ თავგადასავლებს ჰპირდებოდა და აჩიკოც დიდი სიხარულით
განეწყო მისდამი.

გათენდა შემდეგი დღე. აჩიკო დაელოდა მზის ამოსვლას და გაფ-
რინდა დასავლეთით. გადაუფრინა ადამიანთა სახლებს, როგორც კი გა-
მოჩნდა მდინარე, აჩიკომ შეისვენა, შემდეგ ღმერთი ახსენა და დინების
მიმართულებით აიღო გეზი. ჩინებული მზიანი დარი იდგა, მშრალი ჰაე-
რი გაჟღენთილი იყო ყვავილების სურნელებით და ჩიტების ჟღერტუ-
ლით. ეს სურნელება შორიდან მოედინებოდა ცოცხალ საფირონად. ბუ-
ნების მწვანე სამოსელი ტალღებად გადადიოდა ბორცვიდან ბორცვზე,
ნათზე კი მოხატული იალქნიანი ნაგების მსგავსად მიტურავდნენ ყვავილ-
ბრიალა ბროწეულები, აფეთქებული ნუშისა და ატმის ხეები. აჩიკო მიფ-
რინავდა ამ ფერადოვანი ზღვის წარმტაც წალკოტში, ქარი კი ეფერებოდა
სასიამოვნო მგზავრს და წვიმასავით აყრიდა ყვავილებს. მიფრინავდა
ხეობიდან ხეობაზე, მთიდან მთაზე, ცხოვრება საამური ეჩვენებოდა, მაგ-
რამ ამავე დროს თითქოს რაღაცას დაეძებდა, თითქოს რაღაც აკლდა,
მაგრამ მოწყენილობას არ გრძნობდა. იგი ზომ ახალგაზრდა იყო.

ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობავ! ცხოვრების ჯადოსნურო მხარევ!
რა მშვენიერი ხარ, როცა ჯერ კიდევ წინა ხარ, როგორც იმედი, და არა
ცოცხალი, როგორც მოგონება.



საჩიოლან ბარათი მოდის...

ზამთრის სუსხი და ქარბუქი ავის მომასწავებლად ღმუოდა მაგადანის უკიდევანო და მივარდნილ მიდამოებში. ჭექა-ქუხილსა და ძვლებამდე გამჭოლავ სიცივეს შემზარავი, ყრუანტელის მომგვრელი ხრამუნის ხმა ერთვოდა, რომელსაც ქარის შეჯახებისაგან ნაძვის შეყინული მერქანი გამოსცემდა.

ოდნავ ირიჟრაჟა, ქარი კი ისევ ღმუოდა, თოვლის თეთრი ფიფქები უხვად ეფინებოდა მიდამოს. სად იყო და სად არა, ცხენის ფეხის ხმამ გაყრუებული მიდამო ოდნავ გამოაღვიძა. წყვდიადი თითქოს გაიფანტა, დაყრუებულ სამყაროს სულიერი არსება მოველინა. კიროვის ოლქის, კამენსკის რაიონული ცენტრიდან 35 კილომეტრის მოშორებით ფიჭვნარის ტყის გზაზე ფურგონი გამოვიდა. ცხენები რის ვაი-ვაგლახით, ფრუტუნითა და თავის ქნევით მიიკვლევდნენ თოვლიან გზას. ფურგონის კიჩოზე კი ძველ, დაქექილ ქურქში გახვეული, შვიდათეულ წელს მიტანებული ზახარ ზახარიჩი იჯდა და სადავეებს ქაჩავდა. მისი დაკოჟრილი ხელები, დასიებული სახე, სევდიანი გამოხედვა, უიმედო წარსულზე მიაწინებდა. დროგამოშვებით ცხენებს შეუძახებდა, თანაც ლაზათიანად შეუუკურთხებდა და ზოგჯერ მათრახსაც კი გადაუჭერდა, რომ არ შეჩერებულიყვნენ.


ცოტა ხნის შემდეგ ფურგონი ვეებერთელა ხის ლოდებისაგან შემორავულ, ორსართულიან შენობას მიაღდა. ხის ლოდების ზემოთ მკეთულხლართები დაეტანებინათ, სათოფურებში, ყოველ 80-100 მეტრზე კი შაშხანიანი მცველები იდგნენ, რომ შემოსასვლრული ტერიტორიის შიგნით მცხოვრებთ ამა ქვეყნისა არაფერი გაეგოთ, სააქაოდან, გარესამყაროდან რაიმე სიახლეს და ამბავს არ შეეღწია შიგნით.

ზახარ ზახარიჩმა ფურგონი ხის ვეება კარებთან მიაყენა, რამდენჯერმე შესძახა შიგნითა სამყაროს, მაგრამ ხმა არავის გაუცია. რის ვაი-ვაგლახით წამოსწია დაღლილი, დასუსტებული ორგანიზმი, ნელა ჩამოვიდა ფურგონიდან, კარებზე დატანებული რკინის ნაჭერი რამდენჯერმე მოქაჩა, დააბრაზუნა. როგორც იქნა შიგნიდან მოისმა ჯერ ხრინწიანი ხველების ხმა, შემდეგ ჩექმების ფრატუნა და კარები გაიღო; ზახარ ზახარიჩი გამობრუნდა, დამძიმებული ტანი წვალეებით აიტანა ფურგონზე, ცენებს შეუძახა და კარებში შევიდა. ფურგონი მიჩენილ ადგილზე გაა-

ჩერა, სადაც 240 ქალი ყოველ დღით, შუადღისას და საღამოს სუბს
კერძს ელოდა.

მოხუცი ფურგონზე გასწორდა, ხის დიდი კოვზი მოამზადა, ქვას
თავი მოხადა, რომ დაეწყო სუბის დარიგება და მისთვის ჩვეული
ჩახლეჩილი ხმით, იყო თუ არა საჭირო, შესძახა — „ოჩერედ“, თუმცა
ქალები ისედაც მზად იყვნენ დილის ულუფის მისაღებად. ამ დროს
გარყდნ. რაღაც უცნაური ხმაური გაისმა. კარებს, რომელიც დარაჯმა
მყისვე დაკეტა ფურგონის შემოსვლისთანავე, ვიღაცა ურტყამდა, ხმაუ-
რობდა. ძნელი გასარჩევი იყო ხმა ადამიანს ეკუთვნოდა, თუ მხეცს. ხმა-
ურზე დაცვა გამოვიდა და დარაჯს კარები გააღებინა, მოულოდნელად
კვიცი შემოიჭრა ეზოში, ერთხანს დაფრთხა, ჰიზვინი მორთო, პატარა
საქმე ხომ არ იყო, უტყვი ცხოველი დედას დაეძებდა, როცა გონს მოე-
გო, თავაწეული გაქანდა ფურგონისაკენ და დედის ძუძუებში თავი შერ-
გო. დილის ბინდში, ძუძუს წოვის ხმა, კვიცის ფრუტუნის არე-მარეს
მოედო. სწორედ ამ დროს შეირხა 240 ქალის წმინდა გრძნობა, ძალმო-
სილი და ენით გამოუთქმელი. პაწაწკინტელა ცაცხალი უჯრედი დე-
დის სხეულში, მისი პირველი განძრევა, შეტოკება, ფიქრი, სიხარული,
განცდა ერთმანეთს ჯაჭვის რგოლებივით რომ ენასკვება... ჩვილის წა-
ნოტივობა, ნიშანი ამქვეყნად სიცოცხლის მოვლენისა... დედის ამ ფიქ-
რის, განცდის, სიყვარულის შეჩერება, დავიწყება მამახეციერსაც კი
არ შეუძლია. 480 თვალის მხერა ელვის სისწრაფით იმ წერტილს მისწვ-
და, სადაც ცხენის ძუძუ კვიცის პირში ტრიალებდა, ხმაურობდა და ხა-
რობდა, თითქოს დირიჟორმა ხელი გაიქნიაო, ორას ორმოცმა ქალმა სუ-
ბის მისაღებად გაწვდილი ალუმინის ქვაბები მოყინულ მიწას ისე დაა-
ნარცხა, თითქოს დედამიწამ პირი გააღო, ჯოჯოხეთიდან, უფსკრულიდან,
რაღაც ჯადოსნური ძალის ხმაურმა ამოხეთქა და გარემო გააყრუა; ქალებ-
მა მკერდზე ხელი იტაცეს, გეგონებოდათ თავზე ცა ჩამოექცათ, ბუტ-
ბუტით, ისე რომ ვერ გაიგებდით, რაღაცას გაიძახოდნენ, შვილის, მეუღ-
ლის, სოფლის, ქალაქის თუ დაბის სახელებს ბოდავდნენ. შემდეგ ბარაკე-
ბში შეცვივდნენ, ხის საწოლებზე პირქვე დაეცნენ, ვინ ტიროდა, ვინ გმი-
ნავდა, ვინ ვის სახელს ახსენებდა აუგად, ვინ იწყევლებოდა და რაც ყვე-
ლაზე შემზარავი იყო, რამდენიმე ქალი დროგამოშვებით კიდევ ხარხა-
რებდა. მთელი ბანაკი ჯოჯოხეთს დაემსგავსა, ქალთა კოლონიის თავზე
შავი ღრუბელი ჩამოწვა. ამ ღრუბელს შეიძლება მეხი მოჰყოლოდა და
მეხს კიდევ კოლონიის უფროსი მიხეილ სერგის ძე ივანოვი ემსხვერ-
პლა.

იგი გაოგნებული დადიოდა თავის ვიწრო კაბინეტში. ხუმრობა სა-
ქმე ხომ არ იყო, დღე იწურებოდა, დედაკაცები კი ისევ ქვითინსა და



ბოლდვაში იყვნენ. მათგან 12 ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, საექიმო ბუნქტში გადაიყვანეს, მათი გადარჩენის ნიშანწყალი არ არსებობდა. არავის იკარებდნენ, სამუშაოზე გასვლაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო. თქმცა მიხეილ სერგის ძე დედაკაცებისათვის როდი სწუხდა და ირჯებოდა; მისი აზრით პატიმრის მოსარჩულებლად ცოტა როზეი და საწეში სილის გაწვნა საკმარისი იყო. მაგრამ ამჯერად იმას სწუხდა, რომ „ხევით ვიღაცამ გენერალს მოახსენა. დღის 16 საათზე დაურეკა გენერალმა და მაგრად შეახურა კოლონიის უფროსი. ყურთასმენას არ უჯერებდა, როცა გენერლის ბოხ ხმას ისმენდა. „არ იფიქრო, რომ ასე იოლად მოგვარდება ეს ამბავი, ადვილი შესაძლებელია, მაღალი ჩინები ჩაერთონ ამ საქმეში... იქ გამოძახებაც კი მოგიწიოს, ხომ იცი, პატიმრების უმრავლესობა კავკასიელია“.

ივანოვს უნდოდა ეთქვა გენერლისათვის, ერთ დღეს დაქცეულა კავკასიო, მაგრამ ვერ გაბედა. თავისი წარსულის ეშინოდა. როცა აღაშინი განსაცდელის, ან სირთულეების წუთებს ითვისა, პირველყოვლისა დედა, ის ადგილმდებარეობა დაუდგება თვალწინ, სატაც დაიბადა, სადაც ფეხი აიდგა. მიხეილ სერგის ძეს მოლიძარე დედის სახე დაუდგა თვალწინ, დარბაისელი, მოუსვენარი და მოფუსფუსე, რამდენიმე ენის მცოდნე. ივანოვების არცთუ გავლენიანი გვარის წარმომადგენელი, ისიც თვალწინ დაუდგა... დედის შეწუხებული სახე... 1917 წლის ნოემბერი... დედა მიხვდა, შვილს, გუჩკოვის გვარის ნაშეურს, თავადური წარმომავლობა კარგს არაფერს მისცემდა, არც მისი მწველები, საზღვარგარეთული აქციები, ისიც, რომ მამა გადაიხვეწა საზღვარგარეთ... ამიტომ დედამ იმარჯვა, შვილი მიხეილ სერგის ძე გუჩკოვი თავის გვარზე გადაიწერა, მიხეილ სერგის ძე გუჩკოვი; ამიერბრძან ივანოვი გახდა, ქარხანაში ზეინკლადაც კი მოეწყო, ბარიკადებზეც კი დადგა, შემდეგ სახალხო რაზმელებთან ერთად იბრძოდა და ბოლოს იცდათიანი წლებიდან ორგანოს „იმედლიანი“ მუშაკიც გახდა, შემდეგ აქ კოლონიის უფროსად დანიშნეს. ვინ რა იცოდა, მისთვის რომ ამ ქალების ბედი მიენდოთ, ყველას ერთი ხელის დაკვრით გააცამტვერებდა, სწორედ ამ „ჭუჭყიანებმა“ წაართვეს გუჩკოვებს და სხვა დიდებულებს მამულები, ქონება, სწორედ მათ შეუცვალეს დიდებული ცხოვრება „ერთობით“.

მიხეილ სერგის ძე ფიქრებიდან მოადგილის, ზახაროვის შემოსვლამ გამოიყვანა. იგი დინჯი, გამოცდილი პიროვნება იყო, რომელსაც ცხოვრების დიდი გზა ჰქონდა გავლილი, წარმომავლობით ისიც დიდებული გახლდათ. ხალხინ-გოლის რაიონში ებრძოლა, სამეურნეო სამუშაოზეც

ყოფილა, ერთი სიტყვით, სადაც სიძნელეები იყო, იქ გადაისვრიდნენ ხოლმე.

— როგორ მოვიქცეთ, — მოკლედ მოუჭრა მიხეილ სერგის ძემ, — რა უნდა ვიღონოთ? თქვენი აზრით, სად არის გამოსავალი?

— ჩემი აზრით, მიხეილ სერგის ძე, — დინჯად მიუგო ზახაროვმა, — მათთან მათრახი და დასჯა არ გამოგვივა; როცა ადამიანს იმედის ძაფი გაუწყდება, რწმენა დაეკარგება, მითუმეტეს ქალს, რომელსაც შვილი ჯუღიდან მოწყვითეს და არც კი იცის, სად არის, მისი შეჩერება არავის არ შეუძლია, მისთვის სიცოცხლესა და სიკვდილს შორის მანძილი გოჯს არ აღწევს.

— როგორ, აღარ არსებობს გზა მდგომარეობიდან გამოსვლისა? — ჭკვეთრად და საკმაოდ უხეშად მოუჭრა ივანოვმა.

— ნუ აჩქარდებით, მომისმინეთ, მიხეილ სერგის ძე.

— ჰო, გისმენთ, — მაგიდიდან გაბრაზებული წამოდგა, თანაც ცდილობდა თავი დაეკვირა, წონასწორობა არ დაეკარგა.

— სანამ თქვენთან გადმოვიყვანდნენ, ჩვენს კოლონიაში ერთი ქართველი პატიმარი მოიყვანეს, მეტად დინჯი, დაკვირვებული, გონიერი ჰიროვნება, პატიმრები მას უჯერებენ, სადაც საქმე გართულდებოდა, მას ვგზავნიდით და წარმოიდგინეთ ყველა კონფლიქტს აგვარებდა.

— თქვენი სიტყვით გამოდის, რომ ის ქართველი აქ გადმოვიყვანოთ, და ჩვენ ავიკრათ გუდა-ნაზადი და წავიდეთ, არა?

— არა, მე ეს არ მითქვამს, მაგრამ მენდეთ, სადაც ძალა არ სჭირს (ნუ მიწყენთ, ამჟამად ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვართ), იქ დიპლომატიას უნდა მივიმართოთ, მუშაობის მეთოდიც უნდა შევცვალოთ. ქალების დასჯა და „გონს“ მოყვანა რამდენიმე საათში შეგვიძლია, მაგრამ გამიგეთ, არც ღმერთი და არც კაცი ამას არ მოგვიწონებს, ვაჟკაცი კაცი დღე-კაცს ხელს არ შემოჰკრავს, ის პატიმარი, ვისზედაც გესაუბრებით, ქართველია, ადამიანების დარწმუნება შეუძლია. პატიმრები მას უფრო და უჯერებენ.

— ჰო, მოვრჩეთ, — ისევ მკაცრად, საკმაოდ უხეშად მიმართა უფროსმა მოადგილეს, — ნებას გაძლევ წახვიდე და გადმოვიყვანო.

* * *

მესამე დღე იწურებოდა. ბუნება უკან არ იხევდა. ქარი ისე ღმუროდა, თოვლი თოვლს ემატებოდა, სიცივე და სუსხი უფრო და უფრო მკაცრდებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალებს არაფერი ექამათ, მისავათებული ეყარენ — ნარებზე, ნორმალური გამომეტყველება არ

ჰქონდათ, რაზე საუბრობდნენ ვერ გაიგებდით. უმრავლესობა სადაცაა
ძილს მისცემოდა, ზოგიერთი საწოლზე ჩამომჯდარიყო, რაღაც ერთი
წერტილი ამოერჩია და უაზროდ მისჩერებოდა.

მიხეილ სერგის ძე ღრმა ფიქრებში ჩაძირულიყო. ხელები მაგიდაზე
დაეწყო, თითქოს რაღაცის დაწერას ცდილობდა, მაგრამ არ გამოსდიოდა.
სახაზავს, სამელნესა და კალამს მაგიდაზე რამდენჯერმე შეუცვალა ადგი-
ლი. რომ გვეკითხათ, რატომ იქცეოდა ასე, ვერ გიპასუხებდით.

ამ ღროს ზახაროვმა კარი შემოაღო, წოდებითა და მამის სახელით
მიმართა მიხეილ სერგის ძეს და წარუდგინა პატიმარი.

ივანოვს თავი არ აუწევია, პატიმრისათვის არ შეუხედავს, გულცი-
ვად და მეტად მკაცრად ჰკითხა:

— გვარი!

— ჯაფარიძე, — იყო დინჯი პასუხი.

— ჯაფარი, — კბილებში გამოცრა ივანოვმა, — მე მითხრეს ქართუ-
ლიაო, ეს რა ჯაფარი, ჯამბულა, ჯაფაროვი, თუ რა?

— ეროვნება, — ისევ შეეკითხა კოლონიის უფროსი.

— ქართველი, — ისევ იყო დინჯი პასუხი.

— რაზე ჩაგსვეს!

— არ ვიცი!

— გვეკითხები, რაზე ჩაგსვეს და რა „სროკით“!

— რაზე ჩამსვეს არ ვიცი, „სროკი“ კი ათი წელი. — პატიმარს ხმა
გაებზარა.

ივანოვი მოადგილეზე გაბრაზდა, ეს ჯიუტი ვინ მომგვარაო, არადა,
გენერლის სიტყვებიც ყურს უხვრეტდა, მთელი დღე არ უსადილია,
დაწინაურებას ელოდა და შეიძლება ფეხი დასხლტომოდა, სწრაფად
წამოდგა, რკინის სახაზავს ხელი დაავლო, პატიმართან მივიდა, უნდოდა
ჩაერთყა, რათა გონს მოეყვანა, მაგრამ... აწეული ხელი ჰაერში გაუშეშ-
და... მის წინ იდგა საშუალო ტანის ჩაფსკენილი, კუნთოვანი მამაკაცი,
ოდნავ ქერა, შავი, გოროზი თვალებით, რომელსაც შიშის ნატამალიც არ
ეტყობოდა, ის კი არადა, თითქოს ანიშნებდა: მოიქნით ხელი და რაც
მოხდება, შემდეგ, თავს დააბრალეო... თანაც ზახაროვის მკაცრ გამოხე-
დვას შეავლო თვალი, ზეალმართული სახაზავიანი ხელი ნელა დაუშვა
და უკან გაბრუნდა.

— სახელი და მამის სახელი, — როცა გონს მოეგო, კბილებიდან
გამოსცრა ისევ.

— სულეიმან ხუშუტის ძე, — იყო მოკლე და დინჯი პასუხი.

— სულეიმანი გამიგონია, მაგრამ ეს ხუშუტი რაღაა, ვინ მოიგონა.
— უნდოდა პატიმრისა და საერთოდ ქართველებისათვის შეეკუთხებინა,

მაგრამ ინსტიქტით, ხელმარცხნივ, კედელს გააყოლა თვალი. ფარდით ჩაჩოქი ჩასმული სურათიდან ჩიბუხიანი პიროვნება გადმოჰყურებდა. გულში მას შეაგინა, ბოლმა ჩაიბრუნა და ზახაროვს უბრძანა: ბინა მიუჩინე და ამოცანა აუხსენიო...

თითქოს ბოლო აკორდს უცდიდა, პატიმარმა კიდევ ერთხელ შეაგლო ივანოვს დაბლვერილი მზერა და კაბინეტიდან გავიდა. მღელვარებას ვერ ფარავდა. მის დარდს და ჯაფას სხვა თავსატეხიც დაუმატეს. ზურგჩანთა საწოლზე დადო, თეთრეულის გასწორება არც უცდია, ისე ჩამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო. ოთახში ქარის ზუზუნის ხმა შემოიჭრა. ფანჯარასთან მივიდა, ფარდა ჩამოსწია და გარეთ გაიხედა. ისევ ბარდნიდა. ციმბირის ამ თეთრ ფიფქებში მშობლიური მხარის ზიბლი აირეკლა. ქალაქი ქობულეთი... ზღვის სანაპირო ფიჭვნარი... მარადმწვანე ზოლი... თვალწინ მოხუცი მამა დაუდგა, სულ გათეთრებული, მაღალი შუბლით, მსხვილი და გადაფსკვნილი წარბებით, დაღარული შუბლით.

ფიქრში წასულმა მამის გაბზარული ხმა გაიგონა — „ვერავინ დაიკვეწნის, მე ჩემს ცხოვრებას ასე და ასე წარმართავო, სადაურს სად წაიყვანს ბედი, ძნელი ამოსახსნელია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, შეილო, ის კუთხე, სადაც დაიბადე, სადაც ფეხი აიდგი, გაჭირვებისას აღამიანი იმ მხარის სიზმარს ნახულობს, სადაც დაბადებულა“.

ფუტკრის მართვესავით გადაწული ფიქრი ფიქრს მიჰყვებოდა, ჭარბი დარდს; პატარა ოთახში გაიარ-გაბრძოლა და ისევ მამის დარიგებას დაუბრუნდა. „კი მაგრამ, რა იცოდა მოხუცმა მამამ, თუ ბედი განსაცდელს მიმზადებდა“. მის გონებას ჭია ღრღნიდა, „ახლა რას ამბობენ ჩემზე, ალბათ „მოღალატე“, „ხალხის მტერი“, „არა? რატომ, რიბოვის?“ ყელში ბოლმა გაეჩხირა, როგორ, რით დაუსაბუთოს ქვეყნის, ოჯახს, მშობლებს რომ ის მოღალატე, ორგული არ არის...

მინაგანი ტანჯვა-გვემიდან ზახაროვის დინჯმა ხმამ გამოაფხიჭლა.

— რა ქენი, მოეწყვე? როგორ დაისვენე? — მიმართვა ვუცხოვა, მაგრამ მის განსჯას არ შესდგომია. მყისვე წამოდგა და უპასუხა: „კარგად დავისვენეო“. — მაშინ, საქმეს შევუდგეთ, — თქვა მოსულმა.

ზახაროვთან ერთად, რაც კი რამ მოეპოვებოდათ ქალთა კოლონიის ბინადართა შესახებ, ყველა საქმე გადაქექა; ზოგის მეუღლის სახელი გაიგო, ზოგის დაბადების ადგილი, ან სოფლის, შვილების სახელებიც დაადგინა...

შემდეგ ნელ-ნელა გასჭრა ქართულმა სიტყვამ, იუმორმა და გუდრება. დარდიანი ქალები გონს მოვიდნენ, ნადველში იმედი შეერია...

მაგრამ ახლა სულეიმანი დადარდიანდა. ბარათს ბარათზე უგზავნიდა დედ-მამას, მეუღლეს და 5 შვილს.

დრო ზოზინით მიიწევდა წინ, მისთვის ყოველი წუთი საათს უდრიდა, საათი მთელი თვის მონაკვეთს. მამისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „მამა, შენ მოხუცი ხარ, მეც გაგიმწარე სიცოცხლე, მაგრამ ნუ გეშინია, მალე ჩამოვალ და ყველა ტანჯვას გადაგიწყებ. ისე კი, როგორ მინდა გავიგო, რისთვის გამწირეს და გამოგზავნეს აქეთ? ისიც არ ვიცი, ვარ თუ არა დამნაშავე, აქ რაღაც შეცდომაა, მაგრამ არ აჩქარდე. არავისზე ცუდი არ თქვა, ეჭვი არ მიიტანო, ეს ალბათ, ზევით არ ციან“.

წერილის წერა და შრომაზე მიძალეა ავიწყებდა დარდს. მისდაშეუძმნეველად კოლონიაში სახელს იხვეჭდა, რთულ საქმეებს მას ავალეზდნენ, ეს არისო და მომარაგება, პატიმრების ბუნტის მოგვარება. ისეთ ანეკდოტს მოყვებოდა, რომ დაბეჩავებული, გაოგნებული ადამიანები სიცილით იჭაჭებოდნენ. ამ დროს კოლონიის უფროსი მიხეილ სერგის ძე ბოლმით ივსებოდა, როგორ, მე, ივანოვმა, საქმე ვერ მოგავგარე, ვერ შევძელი ამ გიყების დაწყნარება, ნაძირალა პატიმარმა, სამშობლოს მოღალატემ იგი შესძლო? და დროს ეძებდა, როგორმე თავიდან მოეშორებინა „ქართველი დიპლომატი“.

თუმცა ბედს ჯერჯერობით მთლიანად არ გაეწირა. მისი ერთ-ერთი თანამგრძნობი კოლონიაში ზახაროვი იყო. მისი თხოვნით გადმოიყვანეს აქ სულეიმანი და ისიც იცოდა, რომ კოლონიის მეთაური მას დიდხანს ვერ გაიტანდა. ყოველნაირად შეეცდებოდა თავიდან მის მოცილებას.

დიდი ხნის მუშაობის, მიმოწერისა და წვლების შემდეგ ზახაროვმა მიიღო ძუნწი ცნობები სულეიმანის შესახებ: ერთ მშვენიერ ღამეს, კაზინეტში ჩაიკეტა და გადაფურცლა პირადი საქმე. ჯაფარიძე სულეიმან ხუშუტის ძე, დაბადებული 1903 წელს, ქალაქ ქობულეთში, კომკავშირში შესულა 1922 წელს, პარტიის წევრობის კანდიდატად მიუღიათ 1926 წელს, ხოლო 1929 წელს კი კომუნისტური პარტიის წევრად, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე: წამლოვან მცენარეთა საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ, იქვე ირჩევენ პარტიული ორგანიზაციის მდივნად, შემდეგ აწინაურებენ სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ, იქედან კი ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგედ. შემდეგ გადაწყავთ დამზადების კომიტეტში, მასალების გაცნობისას ზახაროვს დრო და დრო სიბრაზე ახრჩობს, სისხლი კეფას წვდება, სული ეხუთება... სტრიქონი სტრიქონს მიჰყვება, რომელთა შუა ცბიერების, ღალატის რაიმე ბზარი არ არის, ვერაფერს შენიშნავ მუხანათურს, საეშმაკოს, საეჭვოს, სულეიმან ჯაფარიძეს ირჩევენ აჭარის პარტიული ორგანიზაციის კონფერენციების დელეგატად, აჭარის კომკავშირის საოლქო კო-

მიტეტის პლენუმის წევრად და ბოლოს 1937 წლის 31 დეკემბერს... 10
წლით პატიმრობა მიუსაჯეს... 10 წლით თავისუფლების აღკვეთა...
ათი წელი! რისთვის, ღმერთო?!
და რა დარჩა გასავლელი...

1940 წლის 5 მაისი იდგა. სულეიმანმა მთელი დღე დაუსვენებელი იმუშავა. ხეებს კრიდა, მორებს აგორებდა, ან ტოტებს აცლიდა, პატიმრებს ხეების დატვირთვაში ეხმარებოდა. ახლო მყოფნი გრძნობდნენ მასში მომხდარ ცვლილებებს, მაგრამ რა ექნათ, დროდადრო შეუძახებდნენ: „კარგი, კომუნისში ჩვენი დაგვიტოვე ასაშენებლად“, „სულერთია ეს შრომა ისეთ ხანაში მიდის, იქედან კარგი არაფერი სჩანსო“ და სხვა. საღამო ხანს, როცა ბანაკში დაბრუნდა, მიხეილ სერგის ძე ღიმილით შემოხვდა, უფრო სწორად, ელოდა კიდეც. დანახვისთანავე მიაცხა „ზავტრა სვეშჩამიო“. პატიმრისათვის გასაგები იყო, თუ რას ნიშნავდა „სვეშჩამი“.

მთელი ღამე თამბაქოს წვევაში გაატარა. დილით ოდნავ ჩაეძინა და ისევ მამის გამოგზავნილი ბარათი დაესიზმრა: „ჰო, შეილო, იცი რა მინდა გითხრა, ამ ქვეყნად, როგორც იტყვიან, ერთხელ ბრძენიც შეცდება, თუმცა ბრძენობაზე ვინ დებს თავს, მე ჩემს ერთ ცოდვაზე მინდა მოგიტხო. 1922 თუ 1923 წელი იყო, არ მახსოვს კარგად, ხმა დაიჭხა, ქობულეთი ქალაქად გადააკეთესო. თავზარი დაგვეცა, ჩვენი თავი ვერ გვირჩენია, სიმინდი და ბრინჯი წლიდან წლამდე არ მიგვეყვებოდა, ქალაქის თავს ვინ არჩენსო. რაღა ბევრი გავაგრძელო, შევიკრიბეთ თხილაიშვილები, ლაზიშვილები, გოგმაჩიძეები, სულ 32 კაცი და საქართველოს რევკომში ფილიპე მახარაძესთან გავგზავნეთ განცხადება. შიგ დიდის ამბით ჩავწერეთ, რომ მდინარე ტოვონას ადიდების გამო მოსავალი გავგინადგურდა, ბრინჯს ისეთი სოკო გაუჩნდა, რომ ყანაშივე დავტოვეთ, რომ სხვა საშუალება ქალაქის თავის რჩენისა, არ გავვაჩნდა. ჰო, რომ არ გამომრჩეს, განცხადებაო ვთქვი, მაგრამ ვინ იყო დამწერი? ბევრი ფიქრის შემდეგ ქალაქის ცენტრში რამიზ ჯაფარიძეს მივაკითხეთ, განათლებული ახალგაზრდა იყო და მას დავაწერინეთ, მაგრამ 32 კაციდან სამი აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც სახელისა და გვარის მოწერა შეეძლო, დანარჩენებს გვითხრეს, რომ თქვენი გვარი აქ წერიაო, თითო დაგვადებინეს ქალაქად და ჯვარი დაგვასმევინეს... მაგრამ ყველაზე მძიმე ის იყო, როცა ამ განცხადების გამო ქობულეთში თენგიზ ჟღენტი ჩამოვიდა (იგი აჭარის კომუნისტების მეთაური იყო), ირონიული ღიმილით გვითხრა — დაბის ქალაქად გადაკეთება, თქვე კი ხალხო, ეს განათლებაა, ქალაქი ახალი ქუჩაა, ქალაქი ახალი ბინაა, კულტურაა, ბოლოს ეშმაკურად გადმოგვხედა და დასძინა, სიმინდი და ბრინჯი თქვენი

იყოს, ქალაქის თავს ჯამაგირს მთავრობა მისცემსო. შეილო, ვერ წარ-
მოიდგენ რა მდგომარეობაში ჩავვარდით“.

განთიადისას კი, ისე რომ არავის დაამშვიდობეს, ხიშტებიანი მცვე-
ლები ამოუყენეს გვერდში, და რამდენიმე პატიმართან ერთად გაამე-
ზავრეს. ორ დღეს გზაში იყვნენ, 7 მაისს უკიდევანო მდინარესთან მიიყ-
ვანეს, ფარდალაა ხომალდზე ააცილეს, ისეთ ხომალდზე, რომლის აგე-
ბის თარიღს, არსებობის ისტორიას ვერავინ გეტყოდათ, ოდნავ რყევისას
ხომალდის ყოველი კუთხე-კუთხუთი საშინელ ზრქილს გამოსცემდა.

გემი დაიძრა, მაგრამ ვაი ასეთ გემსა და მის მგზავრებს, იგი კი არ
მიცურავდა, არამედ მილაყლაყებდა უკიდევანო მდინარის ზედაპირზე,
და არავინ იცოდა, რა ბედი მოელოდათ. არავის უთქვამს სად მიდიოდ-
ნენ, რა მიმართულებით და ვინ განაგებდა გემის ბინადართ... ჩრდილოე-
თის უკიდევანო მდინარის ტალღებში, პატიმარს შავი ზღვის ქათქათა
სანაპირო ელანდებოდა, ავონდებოდა დაქორწინება კობალაძის ასულ-
თან, შვილების გაჩენა და სიხარული და ბოლოს მწარე ფიქრები... ხუ-
თუ არ ეღირსება სასაფლაო?.. არც ცივ ქვაზე წარწერა, არც ის ცივი
ქვა... თურმე რა ბედნიერება ყოფილა, როცა მიცვალებულს დაკრძალ-
ვენ და მისი ბინა მტერსაც ეცოდინება და მოკეთესაც, რატომ ტირიან
ასეთ შემთხვევაში?

...19 წლის შემდეგ, სულეიმანის მეუღლემ განცხადების პასუხად
შემდეგი ოფიციალური ცნობა მიიღო „აჭარის ასსრ უმაღლესი სასამარ-
თლოს პრეზიდიუმის მიერ გადასინჯული იქნა საქმე სულეიმან ხუშუტის
ძე ჯაფარიძის ბრალდებაზე, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს
პრეზიდიუმის 1957 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს
სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატის სამეულის 1937 წლის 31 დეკემბრის
დადგენილება სულეიმან ხუშუტის ძე ჯაფარიძის მიმართ გაუქმდა და
საქმე წარმოებით მოისპო ბრალდების უსაფუძვლობის გამო. სულეიმან
ხუშუტის ძე ჯაფარიძე დაპატიმრებამდე მუშაობდა აჭარხილბოსტანის
მმართველად, სულეიმან ხუშუტის ძე ჯაფარიძე რეაბილიტირებულია“...

* * *

არაბეთის მზის მცხუნვარე სხივებით გავარვარებულ ქვიშიან გზაზე
ვაჭართა ქარავანი მიიკვლევდა გზას, მგზავრებს წყურვილი აწუხებდათ,
სიცხისაგან სული ეხუთებოდათ, როგორც უდაბნოში იტყვიან ზოლმე,
მზე ერთ ბეწვზე ჩამოდის და გასაქცევი არსაით არის; აქლემებმაც კი
უკლეს ნაბიჯს, რაც ყველაზე საშიში იყო, სადაცაა მგზავრობას შეაჩერე-
ბდნენ. ყველა იმას ფიქრობდა, როგორმე წყარომდე მიეღწიათ, წყურ-

ვილი დაეოკებინათ, ბოლოს, როგორც იქნა, მიუახლოვდნენ ლვთაგბ-
რივ ადგილს, სადაც უდაბნოს ბინადარი წყურვილს იკლავდნენ.
ვაჭართა ქარავნის მეთაური ოქრო-ვერცხლითა და სიმდიდრით განთ-
ქმული ბედინი ყველაზე ადრე ჩამოქვეითდა აქლემიდან, ჩოხა-ახალუხი
დაიფერთხა და მივიდა წყაროსთან, წყურვილი მოიკლა და მოშორებით
მოხუცი დაინახა, წყლით სავსე ხის ჯამი იქვე დაედო, ვერ გაიგებდით
გულწასული იყო, ჩაძინებული თუ საიქიოსაკენ მიმავალი. ბედინმა ამა-
ლიდან ექიმი იხმო და ხელით ანიშნა, გაიგე რა დაემართა ამ უბედურ-
სო. თვითონ პეშვით წყალი აიღო და სახეზე შეასხურა. ექიმმა დაკვი-
რვებით გასინჯა მოხუცი და ვაჭართა მეუფეს მოახსენა, ამ მოხუცს, ჩე-
მო ბატონო, ვიცნობ, არაბი მგოსანია, წყურვილის გამო გონება წართ-
მევიზ, წყლით სავსე ჯამს, რომელიც გვერდზე უდევს, ეტყობა ვილაცას
უნახავსო.

ბედინმა ხელები აღაპყრო და გადაიხარხარა! თურმე რას არ შეხვდე-
ბა ადამიანი, როდის იყო და ვის გაუგონია, მგოსანი წყურვილით კვდე-
ბოდეს და წყალს სხვას უნახავდესო. ინით შეღებულ წვერზე ხელი დაის-
ვა, ოქროს ქამარ-ხანჯალი შეისწორა, და მოხუცმა ამაყად და თანაც
მკვახე ტონით მიახალა, — აი, შეხედე ჩემს ქარავანს, თორმეტი აქლემი
ძლივს დაათრევს ოქროს, ბრილიანტს და ვერცხლს, და თუ საჭირო გა-
ხდა, ერთ ჩარექში კი არა, ერთ წვეთ წყალში ხელალებით გადავიხდი
მთელ სიმდიდრეს, შენ რა მოგსვლია ასეთი, უწყლობით იღუპები,
წყალი წინ ვიდევს და ვერ დაგილევიაო.

მგოსანი ნელა წამოდგა, ხალათი დაიფერთხა, წვერზე ხელი დინჯად
დაისვა და ვაჭართ მეუფეს დარბაისლურად მიუღო: რას იზამ, ბატონო
ჩემო! დიდ გამჩენს, ალაჰს ზოგისათვის ოქრო და ვერცხლი მიუკუთვ-
ნებია, ზოგისათვის ჭკუა-გონება, ზოგისათვის სული უბოძებიაო.

ბედინმა მგოსნის ნათქვამი ირონიულად და მკვახე პასუხად მიიღო.
წელში გაიმართა, მოხუცთან ახლოს მივიდა და მედიდურად უთხრა:
— რაცა სთქვი, ჩემთვის გასაგებია, სწორედ ოქრო და ვერცხლია გა-
დამწყვეტი ცხოვრებაში, რომელსაც უტკუოდ ვერ მოიმკვ, მაგრამ ის
ვერ გამოიგია, რა სულზე, რის სულზე ლაპარაკობ. ვის დაუდგენია, კაცი
წყურვილით კვდებოდეს, წყალი გვერდით ჰქონდეს, ვერ დაელიოს და
აიღევ სულზე ლაპარაკობდეს?

მგოსანმა თავი მალლა ასწია, დარბაისლური ტონით მიმართა ვაჭა-
რთა მეუფეს:

— ჰო, თქვენ მეკითხებით სული რა არის? — სული რა არის, ვერ
გეტყვი, ჩემო ბატონო, ამოდენაზე ჩემი ცოდნა არ გააღწევს, მაგრამ
ერთი კი ვიცი... სულის გარეშე აყვავებული ვაშლის ხე შეშად იქცევა...

აბიზინებული ჯეჯილი — თივად... — შემდეგ შეისვენა, თვალბეჭედი
რად შეხედა ბედინს და დაუმატა — ადამიანი კიდევ გაპირუტყვდება...
— ესა თქვა, წყლით სავსე ჯამი აიღო, ღინჯად შებრუნდა და წასვლა
დააპირა.

— მოიცა, მგოსანო! — გაოგნებულმა, ახლა, უკვე ღრმად ჩაფიქ-
რებულმა ბედინმა ისევ მიმართა მგოსანს, — ერთი მითხარი, თქვენ
ცხოვრებაში ყველაფერი შეისწავლეთ? ყველაფერი იცით?

— არა, ჩემო ბატონო, მე რამ მომცა ის ძალა და შეწევნა, რომ ყვე-
ლაფერი ვიცოდე, მაგრამ რადგან კითხვა დამისვით, მოკლედ გიპასუ-
ხებ: — არაბეთისა და რომის, საბერძნეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების
ბიბლიოთეკებში ბევრი წიგნი გადამიშლია, ბევრ ჭკვიან და ნაკითხ კაცს
შევხვედრივარ, მაგრამ ვერავინ ამიხსნა მდიდარს ყველა მძაღარი რა-
ტომ გონია? და მეორეც, როცა კაცი დიდების იერარქიულ კიბეზე ავა,
დიდკაცობის შარბათს მიირთმევს, რატომ ავიწყდება მისი ჯილაგი და
მოდგმა, მისი სამყოფი ბუდე, სადაც გაიზარდა, სადაც დედამ ტატიო
ატარა? — ესა თქვა და ღინჯად მიმართა ბედინს: — ახლა კარგად
ბრძანდებოდეთ, მშვიდობიანი მგზავრობა მისურვებია.

მოხუცმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, შემდეგ შემოტრიალდა, ხელით
მზე მოიხრდილა და ბედინს ძუნწად გადმოუგდო რამდენიმე სიტყვა:
აქეთ რომ მოვდიოდი, აქედან ნახევარი საათის სავალზე, სამი ხეივანი
უწყლობით ივუდებოდა, მათ მოძრაობა არ შეუძლიათ, ეს წყალი სწო-
რედ იმათთვის მიმაქვსო, — სთქვა და გასწია.

...ბედინი იდგა გაოგნებული, ხელები უღონოდ ჩამოეშვა ძირს,
პირი სიციხისაგან დაედო, მირთმეული წყლის დაღვეის ილაჯიც კი არ
ჰქონდა, არც ქარავნის, სიმდიდრის მომკითხავი იყო, მისჩერებოდა მგო-
სნის ნაკვალევს, რომელიც მიიწევდა წინ, წინ, წინ და შემდეგ წერტი-
ლად იქცა.

* * *

მომიტევე ჩემო მკითხველო, სიტყვებს თავისი ადგილი ვერ მივუ-
ჩინე, მაგრამ მე სხვა რამ დარდი მაქვს, სხვა საფიქრალი, გულსა და
გონებას ათასნაირი ეჭვი ღრღნის; რა მოგვივიდა, ვინ დაგვწყევლა აგრე-
რივად, ერთმანეთს რატომ დავრევივართ, სულეიშანის და მის ბედში
მყოფი სხვა ადამიანების საქმეზე „ზევიდან“ არც იავოდა ჩამოსულა, არც
ეყოფი, ჩვენს დებზე და ძმებზე ხელი რომ დაედოთ, დაეპატიმრებინათ,
რატომ გაიმეტა მეზობელმა მეზობელი, მეგობარმა მეგობარი, მოყვარემ
მოყვარე, ძმამ ძმა... თუ რომელიმე ჩვენგანი სხვა ჩონგურზე მღერის,

ან სხვა პარტიას მიემხრო, მათი ურთიერთობის მოციქული ტყუილი და მტრობა რატომ უნდა იყოს?

ხალხო გონიერო! რა ვიმოქმედოთ, რომ ქართველ ერს ჰიროც ერთი ჰქონდეს და ლხინიც, სათქმელიცა და საფიქრალიც, მტერთანაც ერთად ვიდგეთ და მოყვარესთანაც, დაჭრილთან მალამო მიგვქონდეს და შეყვარებულებთან ყვავილების თაიგული, ხალხს აწონილ სიტყვას ვაწვდიდეთ და ხეიბარს ხელს ვაშველებდეთ, მწყურვალს წყალს და მშვიერს ლუკმას ვაწვდიდეთ.

ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, ასეთ დღეს არ შევესწრო.



იოსებ გრიშაშვილი

რა შურთ ჩვენი?

ლექსი „რა შურთ ჩვენი?“ იოსებ გრიშაშვილმა 1919 წელს წაიკითხა ბათუმში, ლიტერატურულ საღამოზე, ბათუმის გენერალ-გუბერნატორის ინგლისელი ოკუპანტის კუკოლენსის მუქარის საპასუხოდ. ლექსი პირველად წელს გამოქვეყნდა. 1918 წელს იგი ითარგმნა და დაიბეჭდა ფრანგულ ეუროპულში.

რა შურთ ჩვენი? რომ სამშობლოს სხვას არავის ვედავებით, რომ სხვა ერთა აზატ ჩონგურს ერთ ტკბილ სიმაღ ჩვენც ავებით, რომ ვუსინჯავო ყველა ერსა ხმას, სახის ფერს, კბილს თუ კილოს... და ამიტომ საქართველო განა უნდა გაიკილოს?

დღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ დარაზმა და დაამზადა — ყველა ჯურის მოღალატე, ვერაგი და არამზადა.

ყველა-მეთქი, ვისაც გულში არ უღვივის წმინდა გრძნობა, ვინც საკუთარ ტვინის ბოგირს ვერასოდეს დაეყრდნობა და უნდათ, რომ საქართველო — ეს პატარა ნატვრისთვალი

კვლავ გახადონ სხვისი მონა, მორჩილი და შენამკრთალი.
 არასოდეს! ვიდრე ზეცა არ შეწყვიტავს მზის ჩანჩქერებს.
 ვიდრე მტკვარი თავის ბუტბუტს არ მოსპობს და შეაჩერებს.
 ვიდრე ერთი ქართველიც კი სამშობლოსთვის ასე ზრუნავს,
 არ მოკვდება საქართველო, მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს...
 საქართველო კეთილია, უწყინარი, ჩუმი, წრფელი,
 მაგრამ თუ მის აზიზ სულში აფათურებს ბილწი ხელი...
 საქართველოს ყველა უყვარს, იგი ყველას შეიზიზნებს,
 მაგრამ თუკი გველაძეებს ჩვენ შევუტყობთ გველურ მიზნებს;
 ავზავთდებით ისე რისხვით, ისე მწვავედ, ღრმად, საგრძნობლად,
 რომ მტერს ერთ კაცს არ გადვურჩენთ მათი ამბის მოსათხრობად.
 არ იცით რომ იალბუზი შემოსილი ყინვის ლოდით,
 საიდანაც ცეცხლის ხორბლებს ჩვენ არასდროს მოველოდით,
 დღეს აზვავდა, დღეს ცეცხლს ისვრის, დღეს ყინული დნება... ქრება...
 და ყველაფერს რაც ზელს უშლის, გადალეკავს, ემუქრება...
 ჩვენც აგრე ვართ! ჩვენს ზღვა გულში ჩუმი ცეცხლი ბუდობს ჭერე,
 მაგრამ თუკი გაგვახელეს? მაშინ, მტრებო დაგვიჭერეთ,
 რომ დავანთებთ ცეცხლის კოცონს, გავაჩაღებთ ცეცხლის რკალებს.
 და შიგ ჩავწვავთ ყველა ერის პოლიტიკურ მაჭანკალებს...
 და იცოდნენ სხვის სამშობლოს ჩვენ არასდროს შევეხებით
 და ჩვენსასაც არ დავუთმობთ, რომ გაჰქელონ ტლანქ ფეხებით.



ცნობილი რუსი მწერალი კონსტანტინე სიმონოვი მუშაობის განმავლობაში აკროვებდა მარშალ გ. ჟუკოვთან შეხვედრების ჩანაწერებს, რომლებიც შემდეგ საფუძვლად დაედო რამდენიმე ნაწარმოებს.

უმაღლესი მთავარსარდლის ბანაეის მუშაობის ხასიათი და ის შეხედულება, რომელიც ჟუკოვს ჩამოუყალიბდა სტალინზე, გეტყვით სინტერესო იქნება მკითხველისათვის. გეტყვით იმიტომაც, რომ ჯერ ერთი, საქმე გვაქვს კომპეტენტურ პიროვნებასთან და მეორეც, მოგონებებში არ ჩანს წინასწარ აკვიატებული სუბიექტური მსჯელობანი.

ჩვენთან ახლა მიღებულია ლაპარაკი სტალინის დანაშაულებსა და პასუხისმგებლობაზე, განსაკუთრებით ომისწინა ვითარებისა და ომის დაწყებასთან დაკავშირებით.

ერთი მხრივ ეს სწორია, მაგრამ, მეორე მხრივ, ვფიქრობ, არ შეიძლება ყველაფრის მასზე გადაბრალება. ეს უსამართლობაა! როგორც უშუალო თვითმხილველი და იმ დროის მოვლენათა მონაწილე, უნდა ვთქვა, რომ სტალინთან ერთად პასუხისმგებლობას ინაწილებენ სხვებიც. მათ შორის მისი ახლო ვარემოცვა — მოლოტოვი, მალენკოვი, გუკოვი-კანინი.

მეორეაზე არაფერს ვამბობ. ის ისეთი პიროვნება გახლდათ, რომელიც მზად იყო ყველაფერი შეესრულებინა, რაც გნებავთ, როდესაც გნებავთ და როგორც გნებავთ. ამ მიზნებისათვის სწორედ ასეთი პიროვნებებია საჭირო. ასე რომ, მისი საკითხი განსაკუთრებული საკითხია. ამჯერად სხვა ადამიანებზე მოგახსენებთ.

იმასაც დაუშვამტებდი, რომ პასუხისმგებლობის ნაწილი გოტო-შილოვსაც აწევს, თუმცა, 1940 წელს ის მოხსნილი იქნა თავდაცვის სახელწოდებით კომისიის თანამდებობიდან, მაგრამ უშუალოდ ომის დაწყებამდე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. პასუხისმგებლობის ნაწილი ჩვენ, სამხედროებსაც გვეკისრება. და მთელ რიგ სხვა ხალხსაც პარტიისა და მთავრობაში.

სტალინთან მრავალჯერ მიხდებოდა. სხვადასხვა საკითხების განხილვა მისი უაზრობის ვარემოცვის თანდასწრებით. ამ დროს შესაძლებლობა მქონდა მენახა კამათი და გინკლობა, მეხილა შეუპოვრობა და სიჯიუტე, ზოგიერთ საკითხში განსაკუთრებით რომ ამცავენებდა მოლოტოვი, ზოგჯერ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ სტალინი წმას აიძალდებდა და მოთმინებიდანაც კი გამოდიოდა, მოლოტოვი კი ღიმილით დგებოდა, მაგიდიდან და კვლავ საკუთარ შეხედულებებზე რჩებოდა.

სტალინის მრავალ წინადადებას, რომლებიც თავდაცვისა და არმიის შეიარაღებას ეხებოდა, ეწინააღმდეგებოდნენ და ედავებოდნენ. ამის



შემდეგ იქმნებოდა კომისიები და კამათი ახლა კომისიებში გადაინაცვლებდა ზოლმე; ისეც ხდებოდა, რომ ზოგიერთი საკითხი ამ კამათში იძირებოდა. ესეც წინააღმდეგობის ფორმა გახლდათ.

საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს სტალინის გარემოცვიდან სახელმწიფოებრივსა და სამეურნეო საკითხებზე მას არაფერ ეკამათებოდა, მართალი არ არის. მაგრამ, ამავე დროს, უმრავლესობა მხარს უჭერდა იმ პოლიტიკურ შეფასებებში, რომლებიც მას შეექმნა ომის წინ; ეს კი, უპირველესად, ეხებოდა სტალინის თვითდაჯერებულობას, რომ თუ ჩვენ პროფოკაციაზე არ წამოვეგებით, არ გადავდგამთ რაიმე მცდარ ნაბიჯს, მაშინ ჰიტლერი ვერ გახედავს პაქტის დარღვევასა და ჩვენზე თავდასხმას.

ამ საკითხებზე მალენკოვიცა და კაგანოვიჩიც სოლიდარობას უცხადებდნენ სტალინს. ამ მოსაზრებას განსაკუთრებით აქტიურად უჭერდა მხარს მოლოტოვი. იგი ძლიერი ნებისყოფის, ჯიუტი ადამიანი გახლდათ, რომლის ადგილიდან დამტრაც ძნელი იყო, თუკი მას დაკავებული ჰქონდა რომელიმე პოზიცია. გარდა ამისა, ჩემი დაკვირვებით, მას სერიოზული გავლენა ჰქონდა სტალინზე, განსაკუთრებით კი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, რომელშიც სტალინი მაშინ ომამდე, მას კომპეტენტურად სთვლიდა. აი, შემდეგში კი სულ სხვაგვარად იყო საქმე, როცა ყველა გამოთვლა არასწორი გამოდგა და ჩაიფუტა და სტალინი ჩემი თანდასწრებით არაერთხელ საყვედურობდა მოლოტოვს ამის გამო; მოლოტოვი ამ საყვედურებს ყოველთვის უპასუხოდ როდი ტოვებდა. ის 1940 წლის ნოემბერში, ბერლინში გამგზავრების შემდეგაც აგრძელებდა მტკიცებას, რომ ჰიტლერი თავს არ დაგვესხმოდა. მხიცი უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში სტალინის თვალში მოლოტოვი დამატებითი ავტორიტეტით სარგებლობდა, რაკი პირველად იყო წამყოფი ბერლინში.

მოლოტოვის ავტორიტეტი ძლიერდებოდა მისი ხასიათის ბუნების გამო. ეს იყო ძლიერი, პრინციპული, ყოველგვარი პირადული ინტერესებისაგან შორს მდგარი ადამიანი, უკიდურესად ჯიუტი, უკიდურესად მკაცრი, რომელიც შეგნებულად მიჰყვებოდა სტალინს და მხარს უჭერდა მის ყველაზე მკაცრ მოქმედებებსაც კი, მათ შორის 1937-1938 წლებშიც, რომლის განხორციელება მისი პირადი შეხედულებებიდანაც საჭირო იყო. ის მტკიცედ, უანგაროდ მიჰყვებოდა სტალინს, მაშინ როდესაც მალენკოვი და კაგანოვიჩი ამით კარიერას იკეთებდნენ.

სტალინის უახლოეს გარემომცველთა შორის ერთადერთი, ვინც ჩემი მახსოვრობით, მაშინ გერმანელთა შესაძლო თავდასხმის შესახებ განსხვავებული აზრი გამოთქვა, ჟდანოვი იყო. იგი თანამიმდევრულად,

ერთობ მწვავედ ლაპარაკობდა გერმანელების შესახებ და ამტკიცებდა, რომ ჰიტლერის ნდობა არაფერში არ შეიძლება.

ზა დაუჯდა სტალინს ომისწინა, ჩვენთვის ასე ძვირადღირებული შეცდომა? ვფიქრობ, თავდაპირველად ის დარწმუნებული იყო, რომ პაქტის დადებით თვითონ გააცურებდა ჰიტლერს; თუმცა, შემდეგში ყველაფერი პირიქით გამოვიდა.

მაგრამ უდავოა, პაქტი ორთავე მხარემ სწორედ ამ განზრახვით დადო.

სტალინმა ზედმეტად შეაფასა ჰიტლერის დაკავებულობა დასავლეთში, მიაჩნდა, რომ ის იქ გაიხლართა და უახლოეს დროში ვერ შეძლებდა მის წინააღმდეგ ომს. ასე ვარაუდობდა სტალინი და თვით საფრანგეთის განადგურების შემდეგაც, როგორც ჩანს, ვერ შეძლო, ახლგზურად შეეფასებინა ვითარება.

ფინეთის ომმა დაგვანახა ჩვენი არმიის სისუსტე, ეს იყო 1937-1939 წლების შედეგი და ყველაზე მძიმე შედეგიც.

თუ შევადარებთ ჩვენი კადრების მომზადების დონეს ამ წლების მოვლენებამდე, 1936 წელში, და ამ მოვლენათა შემდეგ, 1939 წელს, უნდა ვალიაოთ, რომ ჯარების საბრძოლო მომზადების დონე ძალიან მკვეთრად დაეცა. ეს კიდევ არაფერი, რომ არმია დაწყებული პოლკიდან პნიშენგლოვანწილად უმეთაუროდ იყო დატოვებული, ამ მოვლენებმა ის გაზრწნა. შეიმჩნეოდა დისციპლინის საშინელი დაცემა; საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ნაწილს თვითნებურად ტოვებდნენ, დეზერტირობდნენ. მრავალი მეთაური დაბნეული იყო და წესრიგის დამყარების უნარი დაკარგული ჰქონდა.

როცა ფინეთის მოვლენების შემდეგ სალხინ-გოლიდან გამომიძახეს და კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად დამნიშნეს, სტალინმა, ჩემთან სტუმრობისას, ძალიან მკვახედ მოიხსენია ვოროშილოვი:

— ტრაბახობდა, მარწმუნებდა, რომ დარტყმას სამმაგი დარტყმით ვუპასუხებთო, ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი წესრიგშია, ყველაფერი მზადააო, ამხანაგო სტალინ, აღმოჩნდა კი...

ჯერ კიდევ კიევის სამხედრო ოლქს ვსარდლობდი, როცა, 1940 წლის დეკემბერში, ჩავატარეთ დიდი სამხედრო-სტრატეგიული თამაში. ამ თამაშში მე „ლურჯებს“ ვსარდლობდი, გერმანელების მხარეს „ვთამაშობდი“. პავლოვი კი დასავლეთის სამხედრო ოლქის სარდალი, ჩვენს მხარეზე „თამაშობდა“, მეთაურობდა „წითლებს“, ჩვენს დასავლეთის ფრონტს. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მას შტერნი ამაგრებდა.

გერმანელთა რეალური საწყისი მონაცემები ავიღე და „ლურჯების“ მეთაურობისას ოპერაცია სწორედ იმ მიმართულებებზე განვაკითარე,

როგორადაც ის შემდეგ განავითარეს გერმანელებმა; მთავარი დარტყმა
ბი სწორედ იქ მივაყენე, სადაც შემდეგში გერმანელებმა მოგვაყენეს,
დაჯგუფებები დაახლოებით ისეთნაირად განვლაგე, როგორც
შემდეგ ომის დროს განლაგდა. ჩვენი საზღვრების კონფიგურაციამ, ად-
გილმდებარეობამ და ვითარებამ სწორედ ის გადაწყვეტილებები მიკარ-
ნახეს, რომლებიც შემდეგ გერმანელებსაც უკარნახეს. თამაში დაახ-
ლოებით რვა დღე-ღამეს გრძელდებოდა. ხელმძღვანელობა ხელოვნუ-
რად ანელებდა „ლურჯების“ წინსვლის ტემპს, აკავებდა მას, მაგრამ მე-
რვე დღეს „ლურჯებმა“ წინ წაიწიეს ბარანოვიჩის რაიონამდე, თანაც
ვიმეორებ, ხელოვნურად შენელებული ტემპის დროს.

1941 წლის იანვარში მთავარ სამხედრო საბჭოზე შედგა ამ სტრა-
ტეგიული თამაშის გარჩევა. ჩემთვის დავალებულ ძირითად მოხსენებას
რომ ვაკეთებდი, გადავწყვიტე, შევჩერებულყოფი ზოგიერთ ჩვენთვის
სლუგანგაშო საკითხზე. უმთავრესად კი — ახალგამარბებული საზღვრისპი-
რა რაიონების განლაგების სისტემის უვარგისობის საკითხზე. საზღვ-
რის კონფიგურაცია ამ განლაგებას გამოუსადეგარს ხდიდა. ბევრად სა-
სურველყო იქნებოდა, მათი განლაგება დაახლოებით 100 კილომეტრი
სიღრმეზე შემოგვეწვია. ვხვდებოდი, რომ ჩემი ეს მოსაზრება უკმაყოფი-
ლებას გამოიწვევდა. რადგან ჩემს მიერ ვაკრიტიკებული გამაგრებული
რაიონების განლაგების სისტემა დამტკიცებული იყო შრომისა და თავ-
დაცვის საბჭოს მიერ, საბოლოო ჯამში კი — სტალინის მიერ. მიზნუტრო
წიტილი, რომ არაფერი გამომივიდოდა, მაგრამ თქმას მაინც არ მოვერი-
დე.

სტალინი ყურადღებით ისმენდა მოხსენებას და მეც და სხვანაირად
სვლელელებსაც მრავალი შეკითხვა დავვისვა. კერძოდ, მან იკითხა, რატომ
იყვნენ ჩვენი თამაშის თავდაპირველ მონაცემებში „ლურჯები“ ასე
ძლიერნი. რატომ იყო ჩადებული გერმანელთა ასეთი მსხვილი ძალა?
მას უპასუხეს, რომ ეს იმ ძალთა რეალურ გაანგარიშებაზეა, რომელიც
მათ შეუძლიათ გადმოისროლონ ჩვენს წინააღმდეგ, რათა თავიანთი
მთავარი დარტყმის მიმართულებაზე დიდი უპირატესობა შექმნან. ამითაც
აიხსენება „ლურჯების“ ასეთი შეუპოვარი წინსვლა თამაშის დროს.
ამ გარჩევის შემდეგ სულ მალე გენერალური შტაბის უფროსად და-
მინდნეს.

აქამდე შტაბის მუშაობის გამოცდილება არ მქონდა და ომის დასა-
წყისისათვის ჩემი გაგებით, არ ვიყავი საკმარისად გამოცდილი და მომ-
ზადებული გენერალური შტაბის უფროსობისათვის, რომ არაფერი
ვთქვათ იმაზე, რომ ჩემი პირადი ნატურითა და სამსახურებრივი გამოც-

დილებით ვესწრაფოდი არა საშტაბო, არამედ სამეთაურო მოღვაწეობას.

1941 წლის დასაწყისში, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდა პოლონეთში გერმანელთა მსხვილი ძალების თავმოყრის შესახებ, სტალინმა მიმართა ჰიტლერს პირადი ბარათით. აუწყა, რომ ჩვენთვის ეს ცნობილია, რომ ჩვენ ეს გვაოცებს და ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, რომ ჰიტლერი ჩვენს წინააღმდეგ საომრად ემზადება. პასუხად ჰიტლერმა ბარათი გამოუგზავნა სტალინს, ასევე პირადი, და, როგორც მან ხაზი გაუსვა, საიდუმლო. ამ წერილში ის წერდა, რომ ჩვენი ცნობები სწორია, რომ პოლონეთში ნამდვილად თავმოყრილი გერმანელთა მსხვილი სამხედრო შენაერთები, მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ სტალინი ამ ამბავს არ გაუხმაურებს; ჰიტლერი განმარტავდა, რომ მისი ჯარების თავმოყრა პოლონეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ არის მიმართული, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, მტკიცედ დაიცვას დადებული პაქტი, რის თავდებაც თავის, როგორც სახელმწიფო მეთაურის. ღირსებას აყენებს. იგი ირწმუნებოდა, რომ მისი ჯარები პოლონეთში სხვა მიზნებისთვისაა თავმოყრილი. დასავლეთი და ცენტრალური გერმანიის ტერიტორიები განიცდიან ინგლისელების ძლიერ დაბომბვას და ჰაერიდან ინგლისელებისათვის კარგი სამიზნენი არიან. ამიტომ ის იძულებული გახდა, ჯარების მსხვილი კონტინგენტი აღმოსავლეთში განელაგებინა, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს ფარულად ხელახლა შეაიარაღოს და ხელახალი ფორმირება გაუყეთოს იქ, პოლონეთში. რამდენადაც ვხვდები, სტალინი ენდო ამ წერილს.

შემდგომში სულ უფრო და უფრო მეტი მიზეზი ჩნდებოდა მღელვარებისათვის. განმეორებითი სიგნალების შემდეგ თავდაცვის სახალხო კომისარიატმა მიიღწია სტალინის ნებართვას ნანევარმილიონიანი თადარიგის კადრების ნაწილობრივი გაწვევისა და დასავლეთის ოლქში ოთხი დამატებითი არმიის გადასროლის თაობაზე.

მე, როგორც გენერალური შტაბის უფროსი, ვხვდებოდი, რომ არც არმიისა და არც მობილიზებულთა გადასროლა არ შეიძლებოდა გერმანელებისაგან საიდუმლოდ დარჩენილიყო; ეს შეუძლოდებდა მათ და გაამწვავებდა ვითარებას. რაკი ეს ასე იყო, საჭირო ჯდებოდა ამასთან ერთად საბრძოლო მზადყოფნაში მოგვეყვანა სასაზღვრო ოლქის ჯარები. ამის შესახებ მოვასხენე სტალინს, მაგრამ მან, მას შემდეგ, რაც ორკვი-

რიანი დარწმუნების შემდეგ პირველ ორ ღონისძიებაზე დაგვთანხმდა. მხოლოდ ამ მესამე ღონისძიებაზე, რომელიც უშუალოდ იყო დამოკიდებული პირველ ორზე, თანხმობა მაინც არ მოგვცა; მიუხედავად, რომ სასახლე-რო რაიონებში განლაგებული ჯარების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანამ შეიძლება ომამდე მიგვიყვანოს, ის კი დარწმუნებულია, რომ ჩვენ შევძლებთ ლავირებას, მოსახლეობის ნაწილობრივ გაწვევას და არმიის გადასროლასაც ისეთნაირად ავხსნი, რომ ამან არ შეაძრწუნოს პიტლერი.

ისე მოხდა, რომ ერთი ღონისძიებათაგანი გავატარეთ, მეორე კი — არა. არსებითად, ჩვენ დაგვმაცხოვრებელი სანახევრო ზომის მიღებით, რომელიც არასოდეს მოიტანს სიკეთეს.

უწესრიგობა გექონდა აგრეთვე საომარ პირობებში მრეწველობის გაშლის სამობილიზაციო გეგმაშიც. მაისში, მერეცკოვისაგან გენერალური შტაბის გადაბარების მეოთხე თვის თავზე, ხელი მოვაწერეთ თითქმის ძირითადად ჩემამდე მომზადებულ სამხედრო რელსებზე მრეწველობის გადაყვანის სამობილიზაციო გეგმას. გამბედაობა მთვიაკრიბე და გავემართე ევროპილოვთან, რომელიც მაშინ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მე იგი ვაძიებდი მიეღო ჩემგან განსახილველად ეს გეგმები და დაუტოვებ კიდეც.

მიუხედავად ჩემი გაუთავებელი სატელეფონო ზარებისა, მთელი თვის განმავლობაში ევროპილოვმა არ განიხილა იგი; მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, მორიგი დარეკვის დროს, მითხრა, რომ მასთან მივსულიყავი: უნდა მოვილაპარაკოთ, როგორ, ვისი მონაწილეობით და რა თანმიმდევრობით განვიხილოთ გეგმები. მოხვდით, რომ საქმე ჭიანჭურდებოდა და მასთან აღარ მივსულვარ, სტალინს დავურეკე და შევიჩივლე...

მეორე დღესვე პოლიტბიუროს სხდომაზე გამოგვიძახეს. სტალინსა და ევროპილოვს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— რატომ არ იხილავთ გეგმას?

— ჩვენ ის მხოლოდ ახლახან მივიღეთ.

— რომელ რიცხვში გადაეცით ევროპილოვს გეგმა? (ეს კითხვა უკვე მე მეხებოდა).

— ვუპასუხე, რომ ერთი თვის უკან.

შესაბამისი რეაქციის შემდეგ გეგმის განსახილველად კომისია დაინი-

შნა. კომისიაში ბევრს კამათობდნენ და კინკლაობდნენ. ზოგიერთმა გაიძახოდა, რომ მრავალი სხვა საკითხიც გვაქვს შესაცვლელი, მაგრამ ჩვენ ყველაფრის შეცვლა არ შეგვიძლიაო და ა. შ.

საქმე ჭიანჭურდებოდა და ჭიანჭურდებოდა. ამის შემხედვარე, ჩვენ გადავწყვიტეთ, მიგვეღწია, და მივადწიეთ კიდეც, რათა მიღებულიყო გეგმის თუნდაც ცალკეული გადაწყვეტილებანი საბრძოლო ძალების მომზადების შესახებ; გეგმის დანარჩენი პუნქტები კი ომის დაწყებისთვისაც არ იყო დამტკიცებული.

საბრძოლო მასალის მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო ვითარება იმ ზამთარსა და გაზაფხულზე. ახალი შეიარაღებისათვის გათვალისწინებული საარტილერიო სისტემები, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო, უზრუნველყოფილი იყვნენ მხოლოდ ჭურვების სასინჯი სერიით. ჭურვების შეფერხების გამო ფერხდებოდა იარაღის უკვე მოწესრიგებული წარმოება.

ომის პირველივე წელს დავაყენეთ საკითხი ჭურვების წლიური მარაგის შექმნის შესახებ, რადგანაც ვთვლიდით, რომ სამხედრო რელსებზე მრეწველობის გადაყვანის შემდეგ, ომის საჭიროების დაფარვა მისი დაწყებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

გაიმართა კამათი.

ვოზნესენსკიმ, რომელმაც კარგად იცოდა ეკონომიკა, მყისვე გამოითვალა, თუ რა უზარმაზარი რაოდენობის ჭურვები გვჭირდებოდა მარაგში და ფანქრით ხელში დაიწყო მტკიცება, რომ ჩვენი ანგარიშით მოწინააღმდეგის ერთი ტანკის დასაზიანებლად 500 ჭურვს ვგეგმავდით.

— განა ეს შესაძლებელია?

ძიულბუთი ვიყავი მეპასუხა, რომ ეს არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელია; რომ საუკეთესო იქნება, თუკი არა 500, არამედ 1000 ჭურვს ვიქონიებთ ყოველი გერმანული ტანკის გასანადგურებლად.

— მაშინ რა ვუყოთ ტანკების დაზიანების იმ ნორმებს, რომლებიც ჩაწერილია თქვენს ყველა დოკუმენტში? — იკითხა ვოზნესენსკიმ.

— ისინი ხომ მეცადინეობაზე დაზიანების ნორმებია, ომის დროს კი სხვა ნორმებია საჭირო!

შეიქმნა კომისია.

ყველა დაანგარიშების შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ასეთი რაოდენო-

ბის ჭურვების წარმოების უზრუნველყოფა შესაძლებელია ლითონით, მაგრამ შეუძლებელია დენით, რომლის წარმოების საქმეც ძალიან ცუდად იყო.

საბოლოოდ ჯერჯერობით შემოგვთავაზეს ჩვენი განცხადების მხოლოდ 15-20 პროცენტით დაკმაყოფილება.

როცა ვლაპარაკობთ ომისწინა პერიოდის შესახებ და იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა ჩვენი წარუმატებლობა ომის დასაწყისში, არ შეიძლება ყველაფერი მხოლოდ სტალინის, ანდა გარკვეულწილად ტიმოშენკოსა და ჟუკოვის პერსონალურ შეცდომებამდე დავიყვანოთ.

ეს ყველაფერი ასეა. შეცდომები იყო.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს ზოგიერთი ობიექტური მონაცემებიც. უნდა ვიფიქროთ და გავითვალისწინოთ, თუ რას წარმოვადგენდით მაშინ ჩვენ და ჩვენი არმია და გერმანია და მისი არმია; რამდენად მაღალი იყო მისი სამხედრო პოტენციალი, მრეწველობის დონე, მრეწველობის კულტურის დონე, ომისათვის მომზადების საერთო დონე.

ევროპის დაპყრობის შემდეგ გერმანელებს ჰყავდათ არა მარტო ძლიერი, ბრძოლებში გამოცდილი, გალადებული და სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი არმია, არა მარტო იდეალურად გამართული შტაბების მუშაობა და, მართლაც რომ საათივით აწყობილი ქვეითი ჯარი, არტილერიის, ტანკებისა და ავიაციის ურთიერთმოქმედება. ჩვენთან შედარებით გერმანელებს უზარმაზარი უპირატესობა ჰქონდათ სამხედრო-სამრეწველო პოტენციალში. თითქმის სამჯერ გვჭარბობდნენ ქვანახშირით, ორნახევარჯერ თუჯითა და ფოლადით. მართალია, ჩვენ გვრჩებოდა უპირატესობა ნავთობში — მარაგითაც და მოპოვების მოცულობითაც, მაგრამ, ამის მიუხედავად, ომის დასაწყისისათვის მაინც არ გაგვაჩნდა მაღალოქტანიანი ბენზინის ჩვენთვის აუცილებელი რაოდენობა ისეთი თანამედროვე თვითმფრინავებისათვის, როგორიც „მიგ“-ია.

ერთი სიტყვით, არ შეიძლება დავიწყება, რომ ჩაგვებით ომში მაშინ, როცა ჯერ კიდევ გერმანიასთან შედარებით მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყანა ვიყავით.

როცა ვლაპარაკობთ ომისათვის ჩვენი მომზადების თაობაზე მეურნეობისა და ეკონომიკის თვალსაზრისით, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისეთი ფაქტორიც, როგორიცაა მოკავშირეების მხრიდან შემდგომი დახმარება. უპირველესად, ცხადია, ამერიკელების მხრიდან, რადგანაც ინგლისელები ამ მხრივ ჩვენ მინიმალურადაც არ დაგვეხმარნენ. ომის ყველა მხარის ანალიზისას არ შეიძლება ამის გაუთვალისწინებლობა. ჩვენ ძალიან მძიმე ვითარებაში ვიქნებოდით ამერიკელთა დენტის გარეშე, ვერ შევძლებდით გამოგვეშვა იმ რაოდენობით საბრძოლო მასალა, რომე-

ლიც ჩვენთვის აუცილებელი იყო. ამერიკელთა „სტუდენტურების“ მეტი ჩვენ არაფერი ვაგვაჩნდა ჩვენი არტილერიის სათრევად. დიახ, იმათ მნიშვნელოვანწილად უზრუნველყვეს ჩვენი საფრონტო ტრანსპორტი. ომის სხვადასხვა საჭიროებისათვის აუცილებელ სპეციალურ ფოლადსაც ამერიკა გვაწვდიდა.

ასე რომ, სამხედრო მრეწველობის ის განვითარება, რომელიც ომის მსვლელობისას ხორციელდებოდა, და მისი გადასვლა სამხედრო რელსებზე დამოკიდებული იყო არა მარტო ჩვენს საკუთარ სამხედრო-სამრეწველო რესურსებზე, რომელიც ომის დასაწყისისათვის ვაგვაჩნდა, არამედ იმ მომარაგებაზეც¹ და ეს ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული; უნდა შევადაროთ ერთმანეთს, რით ჩაგვებით ომში ჩვენ და რით — გერმანია, რომელიც ამავე დროს, ევროპის ყველა დაპყრობილი ქვეყნის სამხედრო მრეწველობასაც განაგებდა.

საბოლოოდ საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ ჰიტლერმა ხელისუფლების ხელში ჩაგდების დღიდანვე აბსოლუტურად ყველაფერი მომავალი ომის ინტერესებს დაუქვემდებარა, ყველაფერი ამ ომში გამარჯვების პიზნით იგეგმებოდა, ყველაფერი ამისათვის და მხოლოდ ამისათვის კეთდებოდა. ჩვენ კი ასეთი პოზიცია არ დავიკავებია, შევჩერდით ნახევარზომებზე; ერთმანეთს ეჯახებოდა უწყებათა ინტერესები, უსასრულო ვაჭრობა მიმდინარეობდა ყოველ საკითხზე, რომელიც არმიის შეიარაღებასა და ომისათვის მომზადებას უკავშირდებოდა. ომის პირველ წლებში ჩვენი დამარცხებისა და წარუმატებლობის მიზეზების განმარტებისას ეს ყველაფერი უნდა დავდოთ სასწორის პინებზე.

სტალინი თვლიდა, და სავსებით სამართლიანადაც, რომ ომისათვის მოსამზადებლად ჩვენ მინიმუმი ორი წელი კიდევ გვჭირდებოდა. ეს დრო საჭირო იყო რაიონების სამხედრო-სტრატეგიული ათვისებისთვისაც, რომელიც 1939 წელს დავიწყეთ, არმიის რეორგანიზაციისთვისაც, მათ შორის ტექნიკური რეორგანიზაციისათვის, რაც მაშინ ჩვენ ძლიერ დავავიანეთ. თუმცა, ერთი წლის განმავლობაში, ფინეთის კამპანიის დასასრულსა და ომის დასაწყისს შორის, ცოტა როდი გაკეთდა, მაგრამ ომისათვის

¹ მემუარებში გ. ჟუკოვი ამის თაობაზე ამბობს: „ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან შემოტანილი იქნა 400 ათასზე მეტი ავტომანქანა. გვაწვდიდნენ ორთქლმავალს, საწვავს, კავშირგაბმულობის საშუალებებს, მაგრამ განა ყოველივე ამას შეეძლო გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა ომის მსვლელობაზე?.. ჩვენც ლენდ-ლიზით ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისაგან მივიღეთ 18,7 ათასი თვითმფრინავი, 10,8 ათასი ტანკი, 9,6 ათასი ქვემეხი, იმ შეიარაღების საერთო რიცხვის მიმართ, რომლითაც საბჭოთა ხალხმა აღჭურვა თავისი არმია ომის წლებში, ლენდ-ლიზით მოწოდებამ შეადგინა 4 პროცენტი“.

სავსებით მომზადებული რომ ვყოფილიყავით, ჩვენ ნამდვილად ვერ
დებოდა კიდეც ორი წელი.

ცნობებს გერმანელთა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, რომლებიც
ჩერჩილიდან და სხვა წყაროებიდან მოდიოდა, სტალინი სავსებით ლოგი-
კურად მიიჩნევდა ინგლისელთა მისწრაფებად, რათა ჩვენ და გერმანე-
ლები ერთმანეთისათვის წავეციდებინეთ და რაც შეიძლება მალე ჩავე-
თრიეთ ომში, რომ პროვოკაციები შესაძლებელი იყო არა მარტო ინგ-
ლისელთა მხრიდან, არამედ გერმანელთა ზოგიერთი ოფიცრის მხრიდა-
ნაც, რომელთაც პრევენტიული ომისადმი მიდრეკილება ჰქონდათ და
მზად იყვნენ, ჰიტლერი მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინათ. ზორ-
გეს მიერ გამოცემული ცნობების შესახებ კი, მიუხედავად იმისა, რომ
მე გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა მეკავა, იმ დროს არა-
ფერი ვიცოდი. როგორც ჩანს, ეს ცნობები ბერიას მეშვეობით უშუა-
ლოდ სტალინთან მიდიოდა და სტალინმა კი საჭიროდ არ ჩათვალა, ჩვე-
ნთვისაც გაენდო.

პოლონეთში მნიშვნელოვანი საომარი ძალის დისლოკაციის ცნობე-
ბი გაგვაჩნდა, მაგრამ სტალინს ბუნებრივად მიაჩნდა, რომ გერმანელებს
ჩვენს საზღვრებთან მსხვილი ნაწილები ჰყოლოდათ, რაკი იცოდნენ, რომ
ჩვენც, ჩვენის მხრივ, საზღვარზე ჯარის მნიშვნელოვანი რაოდენობა
გვყავს და მიაჩნდათ, რომ თავდაუსხმელობის პაქტის დარღვევის საშიშ-
როება ჩვენი მხრიდანაც შეიძლება ყოფილიყო. გერმანელთა უშუალო
დამრტყმელი დაჯგუფებები კი თავმოყრილი იქნა ომის წინ სულ რაღაც
უკანასკნელ ორ-სამ დღეში და ამ ორი-სამი დღე-ღამის განმავლობაში
მზვერავებმა ვერ მოასწრეს გადმოეცათ ჩვენთვის ცნობები, რომლებიც
მზადების სრულ სურათს წარმოადგენდა.

რა არის მოულოდნელობა?

მოულოდნელობის გააზრება, როგორც ეს ახლა ესმით და როგორც
თავის გამოსვლებში სტალინი აშუქებდა, არასრული და უმართებულოა.

რას ნიშნავს მოულოდნელობა, როცა ჩვენ ასეთი მასშტაბის მოქმე-
დებებზე ვლაპარაკობთ? ეს ხომ უბრალოდ საზღვრის უეცარი გადალახ-
ვა, უეცარი თავდასხმა არ გახლავთ! საზღვრის მოულოდნელი გადმო-
ლახვა თავისთავად არაფერს წყვეტდა. მთავარი საშიშროება მოულოდნე-
ლობისა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ გერმანელებმა უეცრად გად-
მოლახეს საზღვარი, არამედ იმაში, რომ ჩვენთვის მოულოდნელი გამოდგა
გერმანული არმიის დარტყმის სიმძლავრე. ჩვენთვის მოულოდნელი გა-
მოდგა მათი ძალების ექვსჯერადი და რვაჯერადი უპირატესობა გადამწყ-
ვეტ მიმართულებებზე; ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა მათი ჯარე-
ბის თავმოყრის მასშტაბები, მათი დარტყმის ძალაც. ეს არის ის მთავა-

რი, რამაც წინასწარ განსაზღვრა ჩვენი დანაკარგები ომის პირველ წერილობით, და არა მარტოდენ საზღვრის უბრალო, მოულოდნელი გადმოლახვა.

ომის დაწყებამ გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე წომისწრო. იმ დღეებში გენერალურ შტაბში უკიდურესად რთული სამუშაო ვითარება იყო. უმთავრესად მოვლენების უკან მიგზნაჩალებდით, დაგვიანებულ, არადროულ გადაწყვეტილებებს ვღებულობდით.

სტალინმა პირდაპირ მკითხა:

— ყოველთვის რატომ ვაგვიანებთ?

მე პირდაპირ ვუპასუხე. რომ ჩვენთან ჩამოყალიბებული მუშაობის სისტემის გამო სხვაგვარად არც შეიძლებოდა.

— მე, როგორც გენერალური შტაბის უფროსი, პირველ ცნობას დილის 9 საათზე ვღებულობ. საჭიროა მაშინვე იქნეს მიღებული სასწრაფო ზომები, მაგრამ მე თვითონ ამის გაკეთება არ შემიძლია. ყოველივე უნდა მოვახსენო სახკომ ტიმოშენკოს. სახკომსაც, თავის მხრივ, ასევე არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ ვალდებული ვართ, ეს თქვენ მოვახსენოთ, გამოვემგზავროთ კრემლში და დაველოდოთ მიღებას. პირველ ან ორ საათზე თქვენ ღებულობთ გადაწყვეტილებას. ჩვენ მივემგზავრებით, ვაფორმებთ მას და ვაგზავნით ბრძანებებს ადგილებზე. ამ დროისათვის კი ვითარება უკვე შეცვლილია. ჩვენ გვინდოდა შეგვენარჩუნებინა რომელიმე პუნქტი, ვთქვათ ივანოვკა, მიგვეახლოებინა მასთან ჯარი, მაგრამ გერმანელებმა ამ დროის განმავლობაში უკვე დაიკავეს იგი. პირიქით, ჩვენ გვსურდა რომელიმე პუნქტიდან გამოგვეყვანა ჯარი, გერმანელებმა კი ამ დროისათვის შემოუარეს მას და გზა გადავიჭრეს. მიღებულ ცნობებსა და მათ ირგვლივ გამოტანილ გადაწყვეტილებებს შორის, რომელთაც ჩვენ ვღებულობთ, 7-8 საათი გადის, მაშინ, როცა ისინი დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებენ. გასული დროის განმავლობაში კი გერმანელთა ტანკები უკვე 50-40 კილომეტრს გადიან და ჩვენ უკვე მოგვდის ახალი ცნობები, ვღებულობთ ახალ გადაწყვეტილებებს და კვლავ ვაგვიანებთ.

მე მოვახსენე სტალინს, რომ, ჩემი თვალსაზრისით, ოთხსაფეხურიანი მეთაურობა შეუძლებელია.

— ან მე, გენერალური შტაბის უფროსი, უნდა ვახსენებდე ტიმოშენკოს და ის, ვინმესთან შეთანხმების გარეშე, დაუყოვნებლივ ღებულობდეს გადაწყვეტილებას, ან ყველაფერ ამას, უშუალოდ თქვენ უნდა ვახსენებდეთ და გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივ თქვენ ღებულობდეთ. სხვაგვარად ყოველთვის დაგვაგვიანდება.

ივლისის დასაწყისისათვის არსებული სისტემის უმართებულობა და

გაქიანურების დამლუპველობა თვით სტალინისთვისაც ნათელი გახდა. ტიმოშენკო დასავლეთის მიმართულების სარდლად იქნა დანიშნული. ლესი მთავარსარდლის მოვალეობის შესრულება კი თვით სტალინმა იკისრა, ამ ორსაფეხურიანობის ლიკვიდაციასთან ერთად ჩვენმა მეურნეობამ უფრო ნორმალური და ოპერატიული ხასიათი მიიღო. გარდა ამისა, ის შეცბუნება, რომელშიც ჩვენ ომის პირველ დღეს ვიმყოფებოდით, რამდენადმე შენელდა. კვლავ მძიმე იყო ვითარება, მაგრამ მას უკვე ფსიქოლოგიურად მიჩვეული ვიყავით და რეალური ვითარების გათვალისწინებით ვცდილობდით მდგომარეობა გამოგვესწორებინა.

ომისწინა პერიოდის გახსენებისას უნდა ითქვას, რომ, რა თქმა უნდა, ჩვენ სამხედროებს გვაწევს პასუხიმგებლობა იმის გამო, რომ არასაკმარისი დაჟინებით მოვითხოვდით არმიის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანასა და რიგი სასწრაფო ღონისძიებების მიღებას ომის შემთხვევისათვის. ცხადია, ჩვენ ეს უნდა გავგეგმეთ. უფრო მეტი შეუზოვრობით, ვიდრე ვაკეთებდით. მით უმეტეს, როცა სტალინის ავტორიტეტის მიუხედავად, სადღაც სულის სიღრმეში ეჭვის ჭია გვღრღნიდა, როცა გერმანელების თავდასხმის საშიშროების გრძნობა ღვივდებოდა. რა თქმა უნდა, რეალურად უნდა წარმოიდგინო, რას ნიშნავდა მაშინ საერთო პოლიტიკური ვითარების შეფასებაში სტალინის წინააღმდეგ წასვლა. ჯერ კიდევ ყველას თვალწინ ედგა ახლახან გასული მძიმე წლები; ხმაელა განცხადება იმისა, რომ სტალინი მართალი არ არის, რომ ის ცდებოდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, მაშინ იმას ნიშნავდა, რომ შენობიდან გამოუსვლელად ყავის დასალევად გაემგზავრებოდი ბერიასთან.

და მაინც ეს სიმართლის ერთი მხარეა. მე კი ყველაფერი უნდა ვთქვა. მაშინ, ომის წინ, არ ვთვლიდი, რომ სტალინზე უფრო ჭკვიანი და შორსმხედველი ვიყავი, რომ მასზე უკეთესად ვაფასებდი ვითარებას და რომელსაც, როგორც უფრო მართალს, დავპირისპირებოდი სტალინის შეფასებებს. ასეთი დამაჯერებლობა მე არ გამაჩნდა. პირიქით, მე უსაზღვროდ მწამდა სტალინისა, მისი პოლიტიკური გონების, მისი შორსმხედველობისა და იმ უნარისა, ყველაზე რთული მდგომარეობიდანაც რომ მოძებნიდა გამოსავალს. მოცემულ შემთხვევაში მწამდა მისი უნარისაც, თავი აერიდებინა ომისათვის, გადაეწია იგი. წუხილი სულს მიღრღნიდა, მაგრამ რწმენა იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი სწორედ ისე იქნება, როგორც სტალინი ითვალისწინებს, უფრო ძლიერი იყო; და როგორც არ უნდა შეხედო ეხლა ამას, ეს სიმართლეა“.

წინა თავში მოხმობილ ზოგიერთ ჩანაწერში ლაპარაკი იყო იმ შთაბეჭდილებებზე, რაც სტალინის პიროვნების ირგვლივ შეექმნა ქუკოვს ომის დასაწყისისათვის.

ომის მსვლელობისას ქუკოვმა გაცილებით ახლოს შეიცნო სტალინი. მისი შეხედულებები სტალინზე, რომელიც ომის მსვლელობისას ჩამოუყალიბდა, განსაკუთრებულად ღირებულია; იგი ეყრდნობა ერთობლივი მუშაობის უზარმაზარ ოთხწლიან გამოცდილებას. ქუკოვისათვის ომის წლებში სტალინი უპირველესად უმაღლესი მთავარსარდალია, რომელთანაც მოელი ამ წლების მანძილზე, როგორც წესი, ურთიერთობა ჰქონდა საშუალოდ ინსტანციების გარეშე, უშუალოდ გენერალური შტაბის უფროსის როლშიც და სხვადასხვა ფრონტების სარდლის როლშიაც; თანაც, ამასთანავე, ის რჩებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წევრად, მთავარსარდლის პირველ შოადგილედ და რამდენიმე ფრონტის მოქმედების კოორდინატორადაც.

ქუკოვისათვის ომის დროს სტალინი იყო ადამიანი, რომელმაც თავის მხრებზე იტვირთა ყველაზე რთული თანამდებობა მეომარ ქვეყანაში; ქუკოვიც უპირველესად, აღნიშნავს სტალინის პიროვნების იმ თვისებებს, რომელიც სწორედ ამ თანამდებობის შესრულებისას წარმოჩნდებოდა ზოლმე. სწორედ სტალინის ის პორტრეტი, რომელიც ამ ჩანაწერებით წარმოგვიდგება და რომელიც ქუკოვის სიტყვებს ეყრდნობა, თუმცა სისრულის პრეტენზია არ გააჩნია, გამოირჩევა დაკვირვებათა კონკრეტულობით იმ საერთო საქმესთან კავშირში, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ. დავუმატებ, რომ ამ პორტრეტში, რა თქმა უნდა, პირადი ემოციებიც ურევია, რომლებიც სუბიექტურობისაგან დაზღვეული არ არის.

დავაჯუფე რა ეს ჩანაწერები, მე ისინი პირობითად ორ ნაწილად გავყავი: ჩანაწერები, რომლებიც ასახავენ ომის სხვადასხვა მომენტებს, დალაგებულია ქრონოლოგიური რიგით; ხოლო ჩანაწერები, რომლებშიც გადმოცემულია ომის წლებში ქუკოვის საერთო შეხედულებანი სტალინის პიროვნებაზე, მოცემულია ქრონოლოგიის დაუცველად.

თავდაპირველად გთავაზობთ ჩანაწერებს, რომლებიც ქრონოლოგიურად მიყვებიან მოვლენებს:

„პირველად ჩემს სიცოცხლეში სტალინს 1940 წელს, ხალხინგოლიდან დაბრუნების შემდეგ დაველაპარაკე. უნდა ვაღიარო, მასთან ერთგვარი გულისფანქვალთ მივდიოდი, მაგრამ ის ერთობ კარგად შემხვდა. ერთი შეხედვითვე ვიგრძენი, რომ საესეებით ჩვეულებრივი ადამიანი

ნი იყო: მომცრო ტანის, ჩემზე ოდნავ დაბალი, მშვიდი და თბილი, მე-
იგი ძალზე ყურადღებიანი და ადამიანური მომეჩვენა. ის დიდხანს შევი-
თხებოდა, თუ რა აზრისა ვიყავი მონღოლეთის მოვლენებზე.

სტალინთან შემდგომი შეხვედრებიდან სხვადასხვა შთაბეჭდილებები
შემეჩმნა. თვით ეს შეხვედრებიც ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთი-
საგან. მას იუმორის დიდი გრძნობა ჰქონდა და ზოგჯერ, როცა საქმეები
კარგად მიდიოდა, ის ისეთივე ყურადღებიანი და ადამიანური ხდებოდა,
როგორიც ჩვენი პირველი შეხვედრისას იყო. მაგრამ უმრავლეს შემთხ-
ვევაში, საერთოდ კი თითქმის ყოველთვის, სტალინი სერიოზული და
დაძაბული იყო. მასში მუდმივად იგრძნობოდა ეს დაძაბულობა, რომე-
ლიც გარშემომყოფზედაც მოქმედებდა. მე ყოველთვის ვაფასებდი და
არც შეიძლებოდა არ დაგეფასებინა ის ლაკონურობა, რომლითაც მას
შეეძლო განემარტა თავისი მოსაზრება, დაესახა ამოცანები ისე, რომ
არც ერთი ზედმეტი სიტყვა არ ეთქვა. მსჯელობის კონკრეტულობას, აზ-
რის მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარს, თავის მხრივ, ის სხვებშიც აფა-
სებდა და მოითხოვდა მოხსენებები შინაარსიანი და მოკლე ყოფილიყო.
ის ვერ იტანდა ზედმეტსიტყვაობას და ასეთ შემთხვევაში მოსაუბრეს
მეისვე აიძულებდა, საქმის ძირითად არსზე გადასულიყო.

ქართულ აქცენტთან ერთად სტალინი ბრწყინვალედ ფლობდა რუ-
სულ ენას და გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მისი მცოდნე იყო.
ეს წვრილმანებშიც კი მყდვენდებოდა. ერთხელ, ჯერ კიდევ გენერალუ-
რი შტაბის უფროსად ჩემი მუშაობის დროს, დირექტივას რომ მკარნა-
ხოვდა და თან მოუთმენლად ცალი თვალით ჩემს ნაწერში იცქირებოდა,
უცებ მითხრა: *

— მძიმეებს რა, შენს მაგივრად მე დავუხვამ?

და როცა ნახევარხუმრობით მიუვუე, რომ მძიმეების ოსტატი არა
ვარ-მეთქი, სრულიად სერიოზულად მიპასუხა:

— არასწორად დასმულმა მძიმემ ხანდახან შეიძლება ნათქვამის
აზრი შეცვალოს.

ზოგჯერ ის დიდ უხეშობას ავლენდა. ჩემი ხასიათის პატრონი, ზო-
გიერთ შემთხვევაში, სიტყვისათვის ჯიბეში ხელს არ ჩავიყოფდი და
ასეც ხდებოდა, რომ მის უხეშობას უხეშობითვე ვპასუხობდი, თანაც,
ამას შეგნებულად ვაკეთებდი, რადგან ხანდახან საჭირო იყო კამათი,
სხვაგვარად ვერ შევძლებდი ჩემი მოვალეობის შესრულებას.

ერთხელ, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, ჩვენი საუ-
ბრის ორ დამსწრეს მან ასე მიმართა:

— აბა, თქვენ რა უნდა გელაპარაკოთ? რაც არ უნდა გითხრათ, ყვე-
ლას პირზე გაკერიათ: „დიახ, ამხანაგო სტალინ“, „რა თქმა უნდა, ამხა-

ნაგო სტალინ“; „სავსებით მართალია, ამხანაგო სტალინ“, „თქვენ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეთ, ამხანაგო სტალინ...“ მხოლოდ ერთადერთი ჟუკოვი მეკამათება ხანდახან...

1941 წლის ივლისში, როცა ჯერ კიდევ გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობას ვასრულებდი, ვითარების გაანალიზებისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ გერმანელები უახლოეს დროში არ განახორციელებდნენ მოსკოვზე შეტევას, ვიდრე არ მოიცოლებდნენ იმ საშიშროებებს, რომელიც მოსკოვისაკენ მიმართულ მათ მარჯვენა ფლანგის დაჯგუფებას ელოდა ჩვენი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფლანგიდან.

ამასთან დაკავშირებით მე წერილობით გადმოვეცი ჩემი მოსაზრებანი კიევის დატოვების, დნეპრის აღმოსავლეთ სანაპიროზე მტკიცე თავდაცვის დაკავების, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფლანგის გაძლიერებისა და გერმანელთა დარტყმის მოსაგერიებლად მის უკან ორი სარეზერვო არმიის თავმოყრის შესახებ. ჩემი წინადადებით, გერმანელებს შეეძლოთ ეს დარტყმა მიეყენებინათ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფლანგზე მის ზურგში გასვლით.

წაიკითხა რა ჩემს მიერ დაწერილი დოკუმენტი, სტალინმა თავისთან გამომიძახა, მასთან ბერია და მეხლისი იმყოფებოდნენ. სტალინი მათი თანდასწრებით დამეძგერა და თავს რისხვა დამატეხა: მსაყვედურობდა, რომ მე ყოველგვარ აბრაუბდას გწერ, სისულელეებს ვროშავ და ასე შემდეგ... ყველაფერი ეს ძალიან უხეშ ფორმებში წარიმართა.

ამის პასუხად მე მივუგე:

— ამხანაგო სტალინ, გთხოვთ გამოთქმები შეარჩიოთ². მე გენერალური შტაბის უფროსი ვარ და თუ თქვენ, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს მიგაჩნიათ, რომ თქვენი გენერალური შტაბის უფროსი სისულელეებს როშავს, მაშინ ის თანამდებობიდან უნდა გადააყენოთ, რასაც გთხოვთ კიდევ.

ამის პასუხად მან მითხრა:

— წადით, ჩვენ ავწონ-დავწონით თქვენს თხოვნას.

40 წუთის შემდეგ კვლავ გამომიძახეს მასთან და სტალინმა უკვე მშვიდი ტონით მითხრა:

— ჩვენ გადავწყვიტეთ, დავაკმაყოფილოთ თქვენი თხოვნა. თქვენ განათავისუფლებული ხართ გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობიდან. ახლა რა გსურთ აკეთოთ? რა სამუშაო მოგცეთ?

მე ვუთხარი, რომ შემიძლია ვუმეთაურო კორპუსს, არმიას,

2. 1970 წელს ქართულ ენაზე (გვ. 348) და 1990 წელს რუსულ ენაზე ტ. 2. გვ. 12, გამოცემულ გ. კ. ჟუკოვის წიგნში „მოგონებები და ფიქრები“, სადაც ეს მოგონებები და ლიალოგებია მოყვანილი, ეს წინადადება არ არის მოტანილი (მთარგმნელი).

ფრონტს, ვფიქრობ, რომ ფრონტის სარდლობით მეტ სარგებლობას მოვიტან.

ჩემს წერილობით მოსაზრებებში, რის გამოც ეს საუბარი დაიწყო და რასაც გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან ჩემი განთავისუფლება მოჰყვა, სხვა საკითხებთან ერთად ვწერდი, რომ დასავლეთის ფრონტზე აუცილებელია გერმანელების მიერ იმ დროისათვის დაკავებული ელნიას შვერილის ლიკვიდირება, რომელიც ჩვენ დიდი გართულებით გვემუქრება.

ახლა, როცა საქმე იმაზე მიდგა, თუ სად დავენიშნე, მე ვთქვი, რომ ამ ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობა მსურდა.

— შეტევა გასურთ? — ირონიულად მკითხა სტალინმა.

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— მიგაჩნიათ, რომ ჩვენი ჯარებით შეიძლება შეტევის განხორციელება? — კვლავ ირონიულად განაგრძობდა იგი. — მათ ჯერ ერთი შეტევაც კი ვერ შეძლეს, თქვენ კი შეტევას აპირებთ?

მე ვუპასუხე, რომ ვაპირებ და წარმატების იმედიც მაქვს.

მას შემდეგ რაც ფრონტის სარდლად დამნიშნეს და ელნიას ოპერაციაც ჩავატარე, კვლავ მოვასვენე სტალინს წინანდელი მოსაზრებანი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩვენი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ზურგში გერმანელთა მოსალოდნელი დარტყმის საშიშროების შესახებ. ამ მოსაზრებებს ამჯერად ის სხვაგვარად მოეკიდა და საკუთარ თავში მოძებნა იმის ძალა, რომ ჩემთვის ეთქვა:

— თქვენ მაშინ სწორად მიპატაკეთ, მაგრამ მე მთლად სწორად ვერ გაგიგეთ.

ამის შემდეგ სტალინი ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ ბუდიონი ცუდად ართმევს თავს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების მეთაურობას.

— თქვენი აზრით, ვინ შეიძლება მის მაგივრად დაგვენიშნა?

გავიფიქრე, შეიძლება მხედველობაში მე ვყავარ-მეთქი და ვუპასუხე, რომ, ჩემი შეხედულებით, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებაზე საჭირო იქნებოდა ტიმოშენკოს გაგზავნა; ის ავტორიტეტით სარგებლობდა ჯარში, აქვს გამოცდილება და, თანაც, ეროვნებით უკრაინელია, რასაც თავისი მნიშვნელობა აქვს ოპერაციის პირობებში, რომელიც უკრაინაში გაიშლება.

გაჩუმდა და, როგორც შემდგომ მივხვდი, ეს გადაწყვეტილება მიიღო. შემდეგ სტალინი ლენინგრადსა და ლენინგრადის ფრონტზე ალაპარაკდა. იმ დროისათვის ლენინგრადთან შექმნილ მდგომარეობას იგი კატასტროფულად აფასებდა. მახსოვს, მან სიტყვა „უიმედო“ კი იხმა-

რა, ამბობდა, რომ სულ რამდენიმე დღეც და მოგვიწევს ლენინგრადად დაკარგულად ჩავთვალოთ; ლენინგრადის დაკარგვას კი გერმანელების ფინელებთან შეერთება მოჰყვება, რის შედეგადაც იქ შეიქმნება უკიდურესად სახიფათო დაჯგუფება და მოსკოვს ჩრდილოეთიდან საფრთხე დაგვემუქრებაო.

ყველაფერი ეს რომ გამანდო, მკითხა:

— ახლა საითკენ აპირებთ?

მე რაღაცნაირი გაკვირვებით ვუპასუხე, რომ ფრონტზე დაბრუნებას ვაპირებდი.

— ახალ ადგილზე რომ გაგაგზავნოთ?..

ეს რომ გავიგონე, ვუთხარი რომ თუკი ასეა, მაშინ ლენინგრადის ფრონტის სარდლობა მსურდა.

— თუკი ეს უიმედო საქმეა? — მომიგო მან.

მე იმედი გამოვთქვი, რომ შეიძლება არც ისეთი უიმედო აღმოჩნდეს-მეთქი.

— როდის შეგიძლიათ გაემგზავროთ? — მოკლედ მკითხა მან.

მე ვუპასუხე, რომ თუ გამგზავრება მიწევს, უმჯობესია დაუყოვნებლივ გავუდგე გზას.

— დაუყოვნებლივ არ შეიძლება. თავდაპირველად გამანადგურებლებით თქვენი გაცილების ორგანიზაციაა საჭირო.

მან მაშინვე დაურეკა ავიატორებს და ამინდის პროგნოზი მოითხოვა. ვიდრე ამინდის პროგნოზს მოახსენებდნენ, მკითხა, ჩემი აზრით, ვინ შეიძლება დანიშნულიყო ჩემს მემკვიდრედ დასავლეთის ფრონტზე. მე მეცხრამეტე არმიის სარდალი კონევის დანიშვნა ვურჩიე.

ამ დროისათვის ავიატორებმა პროგნოზიც მოახსენეს. დილის პროგნოზი ცუდი იყო: ნისლი იყო ნავარაუდები.

სტალინმა თქვა:

— ცუდ ამინდს გვიწინასწარმეტყველებენ, თქვენთვის ეს კარგს ნიშნავს.

და იქვე დაწერა მოკლე ბარათი:

„ვოროშილოვს. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი³ ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდლად არმიის გენერალ ჟუკოვს ნიშნავს. გადაბარეთ მას ფრონტი და იმავე თვითმფრინავით დაბრუნდით. სტალინი“.

ეს ბარათი ჩემი დანიშვნა იყო.

ბარათი ჯიბეში ჩავიდე, დილით თვითმფრინავში ჩავჯექი, ლენინგრადში ჩავფრინდი და ფრონტი ჩავიბარე“.

3 თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი — ... (გოკო)



შემდეგი მინაწერი, რომელიც ახლა მინდა მოვიყვანო, უნდა გითხრათ, რომელია ჩვენთვის მძიმე ოქტომბრის მოვლენებთან, როდესაც ფრონტის გარღვევისა და ვიაზმასთან დასავლეთისა და სარეზერვო ფრონტის ჯარების დიდი ნაწილის ალყაში მოქცევის შემდეგ გერმანელები მოსკოვზე მოდიოდნენ.

„ნ ოქტომბერს, დღის მეორე ნახევარში, ლენინგრადში სტალინმა დამირეკა. აინტერესებდა, თუ როგორ მიდიოდა საქმეები ფრონტზე, როგორი იყო ვითარება და ამის შემდეგ მითხრა, რომ დაუყოვნებლივ დავბრუნებულიყავი მოსკოვში განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად. მე ვუპასუხე, ზვალვე გამოვფრინდები-მეთქი. 7 ოქტომბერს ლენინგრადის ფრონტის სარდლობის საქმეები შტაბის უფროს ხოზინს⁴ გადავბარე და მოსკოვს გამოვფრინდი. მოსკოვში უკვე სადამოს ჩაფრინდი და მაშინვე სტალინის ბინისაკენ გავემართე. სტალინი გრიბით იყო ავად, მაგრამ მაინც მუშაობდა.

თავის დაკვრით მომესალმა და მთხოვა, რუკისათვის შემეხედა: — ვერ მივალწი, ზუსტი ცნობები მიმეღო თუ რა ზდება ახლა დასავლეთის მიმართულებით. სად არის მოწინააღმდეგე და სად ჩვენი ჯარები? დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ დასავლეთის ფრონტის შტაბში და დამირეკეთ დღე-ღამის ნებისმიერ დროს. გელოდებით“.

ამჯერად გამოვტოვებ ჟუკოვის მონათხრობს იმის თაობაზე თუ როგორ გაემგზავრა ის დასავლეთის და სარეზერვო ფრონტების შტაბებსა და ჯარებში და როგორ გაეცნო იქ შექმნილ ვითარებას; მე პირდაპირ გადავალ სტალინთან საუბრის იმ ჩანაწერებზე, რომელიც შედგა ჟუკოვთან დასავლეთის ფრონტის სარდალ მისი შემდგომი დანიშვნისას.

„სტალინი განერვიულებული იყო და საშინლად მრისხანებდა. ის გააფთრებით ლანძღავდა დასავლეთისა და ბრონსკის ფრონტების სარდლებს კონეცსა და ერემენკოს. ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია სარეზერვო ფრონტის სარდალ ბუდიონზე. როგორც ჩანს, მიაჩნდა, რომ ამ ადამიანს არაფერი მოეთხოვებოდა. მან მითხრა, რომ მნიშვნავს დასავლეთის ფრონტის სარდალ, რომ კონევი ამ თანამდებობიდან მოხსნილია და იმის შემდეგ, როცა მასთან შტაბში გაგზავნილი მთავრობის კომისია თავის დასკვნებს გააკეთებს, კონევი გადაცემულ იქნება სამხედრო ტრიბუნალზე.

ამის პასუხად სტალინს ვუთხარი, რომ ასეთი მოქმედებით ვერაფერს გამოასწორებდა და ვერავის გამოაცოცხლებდა, რომ არმიაზე ეს

4. წიგნში „მოგონებები და ფიქრები“ 578-ე გვერდზე გ. კ. ჟუკოვი წერს, რომ სარდლობა ი. ი. ფელიუნიჩისკის გადასცა.

მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა; შევახსენე, რომ ომის დასაწყისში დასავლეთის ფრონტის სარდალი პავლოვის დახვერტასაც არაფერი მე დევი გამოუღია. ადრეც ხომ კარგად იყო ცნობილი, რას წარმოადგენდა პავლოვი, რომ მისი თანამდებობრივი ჰერი დივიზიის მეთაურობა უნდა ყოფილიყო. კონევი კი პავლოვი არ არის. ის გონიერი კაცია და კიდევ გამოდგება.

— თქვენ რას მთავაზობთ?

მე ვუბასუხე, რომ ვთავაზობ, დატოვოს კონევი ჩემს მოადგილედ. სტალინმა საეჭვოდ მკითხა.

— რატომ იცავთ კონევს? ის რა, თქვენი მეგობარია?

მე ვუბასუხე, რომ მე და კონევი არასოდეს ვყოფილვართ მეგობრები, მე მას ვიცნობ მხოლოდ როგორც თანამოსამსახურეს ბელორუსიის ოლქიდან.

სტალინი დამთანხმდა.

ვფიქრობ, რომ სტალინის მიერ კომისიის დასკვნებამდე მიღებულმა ამ გადაწყვეტილებამ დიდი როლი ითამაშა კონევისათვის, რადგანაც კომისია, რომელიც მოლოტოვის მეთაურობით გაემგზავრა მასთან ფრონტზე, უთუოდ სხვა გადაწყვეტილებას შესთავაზებდა. მე კარგად ვიცნობდი მოლოტოვს და ამაში ეჭვი არ მეპარებოდა.

ერთი თუ ორი დღის შემდეგ, როგორც კი ფრონტის სარდლობა დაგიყავე, კონევი, როგორც ჩემი მოადგილე, მარჯვენა ფლანგზე, კალინინთან გაეგზავნენ, ამ ძალზე ჩამორჩენილი ფლანგის ხელმძღვანელობისას ის დამოუკიდებლად მოქმედებდა და საკმაო წარმატებითაც; სულ მალე კი იქ შექმნილი კალინინის ფრონტის სარდალი გახდა.

ფრონტის სარდლობა ორი დღის დაწყებული მქონდა, მოლოტოვმა რომ დამირეკა. ვსაუბრობდით ერთ-ერთი მიმართულების შესახებ, რომელზეც გერმანელები აგრძელებდნენ წინ წაწევას, ჩვენი ნაწილები კი უკან იხევდნენ. მოლოტოვი აწეული ტონით მელაპარაკებოდა. როგორც ჩანდა, მას პირდაპირი ცნობები ჰქონდა ამ უბანზე გერმანელთა ტანკების გადაადგილების შესახებ, მე კი ამ დროისათვის საქმის კურსში ბოლომდე არ ვიყავი გარკვეული. ერთი სიტყვით, მან რაღაც ამის მსგავსი თქვა: ან შევაჩერებ მოსკოვისათვის ამ სახიფათო უკანდახევას, ან დამხვერტდენ! ამაზე მე ვუბასუხე:

— ნუ მაშინებთ, თქვენი მუქარის მე არ მეშინია! ორი დღე-ღამეც არ გასულა, რაც ფრონტის სარდალი ვარ, ჯერ არ გავრკვეულვარ ვითარებაში, ბოლომდე არ ვიცი, სად რა კეთდება. ახლა ვერკვევი ყველაფერში, ახლა ვდებულობ ჯარს.

პასუხად მან ხმა აიმაღლა და იმავე სულისკვეთებით დაიწყო ლაპარაკი:

— ეს როგორ, როგორ თუ ორ დღე-ღამეში ვერ შესძელით ვერაფერში გარკვევა!

მე ვუპასუხე, რომ თუ მას შესწევს უნარი, ჩემზე უფრო ადრე გარკვევს ვითარებაში, დაე, ჩამოვიდეს და ჩაიბაროს ფრონტის სარდლობა. მან ყურმილი დააგდო, მე კი ჩემი საქმიანობა განვაგრძე.

წითელ მოედანზე დემონსტრაციამდე რამდენიმე დღით ადრე სტალინმა დამირეკა და მითხრა, რომ „გოკოს“ განზრახული აქვს (მას ჩვეულებად ჰქონდა ასე ეთქვა: „გოკომ გადაწყვიტა“, „გოკოს“ განზრახული აქვს“), 7 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდეს ტრადიციული პარადი. როგორია თქვენი მოსაზრება? შეუძლიათ თუ არა გერმანელებს ამაში ხელი შეგვიშალონ ჰაერიდან ან მიწაზე მოქმედებებით? ხომ არ შეეცდებიან ისინი მოსკოვისაკენ გარღვევას?

მე ვუპასუხე, რომ მიწაზე ჩვენ შეგვიძლია გარანტიის მიცემა — ამ დღეს არაჩვეულებრივი არაფერი მოხდება; ციდან კი პარადი დამატებით უნდა უზრუნველვყოთ. შესაძლებელია მოსკოვთან დამატებით გაღმოვის როლთა გამანადგურებელთა ზოგიერთი ნაწილი. დავასრულე იმით, რომ ჩემი აზრით, პარადის ჩატარება შესაძლებელია, და რომ ეს არმიაზე გამაზნეველელ შთაბეჭდილებას მოახდენს.

მეორედ სტალინმა უკვე დილას, პარადის წინაღობით დამირეკა; მითხრა, რომ გადაწყვეტილია პარადის ჩატარება; თან დაამატა, რომ დღეს საღამოს ის მოსკოვის საქალაქო საბჭოს სხდომაზე გამოვა და მკითხა, შეგძლებდი თუ არა ჩასვლასა და დასწრებას.

მე ჩავედი და დავესწარი ამ სხდომას, რომელიც მეტროში, სადგურ „მაიაკოვსკაიაზე“ გაიმართა.

სტალინი ისეთი ადამიანი იყო, რომელიც, თუკი ერთხელ რაიმეს თავში ჩაიბეჭდავდა, შემდეგ ძნელად შეეღოდა თავის იდეას ან განზრახვას, მაშინაც კი, როცა ობიექტური გარემოებები თავიდანვე მიანიშნებდნენ, რომ ეს განზრახვა ფუჭი იყო.

1942 წლის მაისში სტალინი შედარებით რბილად მოეპყრო ქერჩის კატასტროფის დამნაშავედ; როგორც ჩანს, იმიტომ, რომ შეგნებული ჰქონდათ თავისი პერსონალური პასუხისმგებლობაც ამის თაობაზე, ჯერ ერთი, იქ შეტევა წამოწყებული იყო მისი დაჯინებული მოთხოვნით და ჯარის ასეთი რაოდენობით თავმოყრაც მისი აზრი იყო. მთავარბანაკი და გენერალური შტაბი სხვა გადაწყვეტილებას სთავაზობდნენ. ისინი ურჩევდნენ, ქერჩის ნახევარკუნძულიდან ჯარი ტამანზე გადაეყვანათ და ჩვენი თავდაცვა იქ მოეწყოთ; მაგრამ მან ყურად არ იღო ეს წინადა-

დებები; მიაჩნდა, რომ ასეთი მოქმედებით ყირიმში მეომარ გერმანულ მანუტეინის მე-11 არმიას გამოვანთავისუფლებდით. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ მანუტეინის არმია მაინც გამოვანთავისუფლდა, ჩვენ კი ქერჩთან მძიმე მარცხი განჭიცადეთ.

მივიღო რა უმართებულო გადაწყვეტილება, სტალინმა ქერჩის ნახევარკუნძულზე დამატებით მთავარბანაკის ისეთი წარმომადგენლები გაგზავნა, რომლებმაც კატასტროფა უზრუნველყვეს; ესენი იყვნენ მეხლისი და კულიკი. უკანასკნელს საერთოდ არაფრის გონიერული ხელმძღვანელობის უნარი არ გააჩნდა. მეხლისი და კულიკი ქერჩთან სუსტ, უნებისყოფო ფრონტის სარდალ კოზლოვთან შეთანხმებით მოქმედებდნენ და, როცა ეს წამოწყება, რომელიც სტალინის დაჟინებითა და პირადად მის მიერ წარგზავნილთა ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა, კატასტროფით დასრულდა, ისინი ნაკლებად დაისაჯნენ, ვიდრე იმავე ვითარებაში მყოფი სხვა ხალხი დაისჯებოდა.

უკვე იმ დროისათვის, როცა მე უმაღლესი მთავარსარდალის მოადგილე გავხდი და ფრონტებზე გამგზავრებათა შორის თანდათან ერთი ან ორი თვით მოსკოვში მუშაობა მიხდებოდა, ერთხელ სტალინს ვუთხარი, რომ ყველა მისი უახლოესი თანაშემწენი, მათ შორის მეც, უაღრესად ნერვებაშლილი და წელში გაწყვეტილები ვართ.

მან ეჭვგარეშად გაკვირვებით იკითხა:
„რატომ?“

მე ავუხსენი, რომ როცა ის ღამდამოებით მუშაობს, ამ დროს ჩვენც ვმუშაობთ და ვიდრე არ გავიგებთ, რომ ის დასაძინებლად წავიდა, ჩვენ არ შეგვიძლია დავწვეთ. დილით კი, როცა მას ძინავს, ჩვენ ყველაზე ცხელი დრო გვაქვს, იძულებული ვართ ვიმუშაოთ. ის დგება ორ საათზე და იწყებს მუშაობას, ჩვენ კი, ამ დროისათვის უკვე მთელ დილას ნამუშევარი, ნებისმიერ წუთს მასთან გამოძახების მზადყოფნაში ვართ. ასე მისდევს დღეს დღე: თვე თვეს და ხალხი უკვე ქანცაწყვეტილია.

ვიდრე ყველაფერ ამას ვეუბნებოდი, მან რალაცი-რალაციები გამო-მკითხა, ზოგიერთი რამ დააზუსტა და გაკვირვებაც კი გამოხატა იმის გამო, რომ მის დაძინებამდე არავინ წვებოდა დასაძინებლად. შემდეგ თქვა:

— კეთილი. გპირდებით, რომ ღამით მეტს აღარ დაგირეკავენ.
მართლაც, იმ დღიდან იმის დასასრულამდე ღამის 12 საათის შემდეგ მას ერთხელაც აღარ დაუბრუნებია ჩემთვის. ერთხელ ზუსტად 12 საათზე დამირეკა, მაგრამ საუბარი შეკითხვით დაიწყო:

„— თქვენ რა, ჯერ არ დაწოლილხართ დასაძინებლად, ამხანაგო ქუკოვ?“

ფუბასუხე, რომ ჯერ არ დავწოლილვარ, ვემზადები-მეთქი. მაინც მელიდაც საქმიანი, არცთუ ძალიან არსებითი შეკითხვა საუბრის დასასრულს მითხრა:

„აბა, მშვიდობით, დაისვენეთ“.

მოვიყვან ეუკოვის პასუხს. სტალინგრადის ოპერაციასთან დაკავშირებით ჩემს ერთ-ერთ კითხვაზე. ეს კითხვა იმით იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთ სტატიებსა და მემუარებში შეინიშნებოდა განსხვავებული შეხედულებანი იმის თაობაზე, თუ 1942 წელს დეკემბერში კოტელნიკოვთან როგორ იქნა ბრძოლაში შეყვანილი მთავარბანაკის რეზერვში მყოფი მალინოვსკის მე-2 გვარდიული არმია. კრიტიკული მომენტი იყო, ალყიდან გამოსული გოტის სატანკო დაჯგუფება გარღვევაზე მიდიოდა და სულ უფრო უახლოვდებოდა სტალინგრადს, მე-2 გვარდიული არმია მის შესახვედრად გადაისროლეს, თუმცა თავდაპირველად განზრახული იყო, ეს არმია სხვა, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გამოეყენებინათ. როსტოვზე შეუპოვარი დარტყმით მას უნდა მოეწყვიტა გერმანელთა ყველა ჯარი, რომლებიც აღმოსავლეთით იმყოფებოდნენ.

მე მიზიდავდა ეს მოსაზრება, რადგანაც უფრო გაბედული მეჩვენებოდა და ვუსვამდი რა ეუკოვს ჩემს შეკითხვას; გულახდილად ვამბობ, ვუიქრობდი, რომ ის მზარს დამიჭერდა, მაგრამ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა.

„— იმ პერიოდში, როცა მალინოვსკის არმიის გადაგზავნის საკითხი წარმოიშვა, — მითხრა ეუკოვმა, — მე უკვე ვიყავი არა სამხრეთის, არამედ დასავლეთის ფრონტზე და იქ გერმანელების წინააღმდეგ შეტევის ორგანიზაციას ვამზადებდი, რათა მათ არ შეძლებოდათ სამხრეთში გადაესროლათ ძალები. გავუკეთე რა ორგანიზაცია ამ შეტევას, რომელიც არ შეიძლება წარმატებულად მიიჩნიოთ, მალინოვსკის არმია გადავისროლეთ სტალინგრადის ფრონტის დასახმარებლად, იმის ნაცვლად, რაც ადრე გექონდა განზრახული — გაგვეზარდა მისი დარტყმა როსტოვზე ჩრდილოეთიდან.“

მე, ჩემის მხრივ, ვკითხე, როგორ უყურებს ამას იქ, სამხრეთში მყოფი ვასილევსკი.

სტალინმა თქვა, რომ ვასილევსკი ამ არმიის გადასროლას სტალინგრადის დასახმარებლად აუცილებლად თვლის. პატივს ვცემდი რა ვასილევსკის აზრს, სტალინს ვუბაუხე, რომ თუ ვასილევსკი ასე ფიქრობს, ნაშინ ალბათ, ეს ნამდვილად აუცილებელია.

ამით ჩვენი საუბარი დასრულდა. ვიგონებ რა წარსულს, ვითავლისწინებ მაშინდელ ძალთა შეფარდებას, მე ვთვლი, რომ იმ ვითარებაში ჩვენ ამის გარდა, მართლაც, სხვა არაფერი დაგვრჩენოდა. ხელს ვაწერ

ამ გადაწყვეტილებას და მას სწორად მივიჩნევ.

სიტყვამ მოიტანა და, ჩვენი თავდაპირველი გეგმა ნამდვილად მოთხოვნილი აღმოჩნდა ჩრდილოეთიდან როსტოვზე დარტყმას; ვფიქრობდით, გერმანელებისათვის გამოგვეკეტა ყველაფერი, რაც ამ დარტყმის აღმოსავლეთით აღმოჩნდებოდა. ეს გეგმა მთავარბანაკში იყო შედგენილი და ვასილევსკისა და ჩემს, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილის, მიერ იყო ხელმოწერილი.

მახსოვს, როგორ ვთხოვე მაშინ სტალინს, ხელი მოეწერა იმ რუკაზე, რომელზედაც გეგმა იყო გადატანილი.

— შერედა, რისთვის? — იკითხა მან. — ამის შესახებ მე ვიცი, ეს ჩემთან შეთანხმებულია.

მაშინ მე მას ვუთხარი:

— მოაწერეთ ისტორიისათვის.

— აჰა, ისტორიისათვის, — თქვა მან და ხელი მოაწერა.

მე მიხლოდა, ამ რუკაზე მას ხელი მოეწერა, რადგანაც უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას ვღებულობდით, პასუხისმგებლობა უდიდესი იყო და მისი ხელმოწერა აუცილებლად მივიჩნიე“.

შემდეგი ჩანაწერები დაკავშირებულია 1944-1945 წლებთან, ომის უკანასკნელ პერიოდთან.

„1944 წლის შემოდგომაზე, ბელორუსიის საზავებულო ოპერაციის დასრულების შემდეგ, ამ ოპერაციის შედეგებზე მთავარბანაკში საუბრისას მან მითხრა:

— აი, ხედავთ, თავდაპირველად თქვენ გვთავაზობდით, რომ ფრონტს შეტევა სხვა მიმდევრობით განეხორციელებინა, მე მაშინ არ დავეთანხმეთ და მართალიც ვიყავი. იმ თანამიმდევრობით, რომელიც ჩვენ დავადგინეთ. ყველაფერი გამოვიდა.

კარგად მახსოვდა, თუ როგორ მიმდინარეობდა საქმე ამ ოპერაციის დაგეგმვისას, რომელშიც მე ორ ფრონტს ვუწევდი კოორდინაციას და შევეპასუხე, რომ, თუმცა, ყველაფერი ნამდვილად კარგად გამოვიდა, მაგრამ ფრონტების მოქმედების სხვა თანამიმდევრობა მე არ შემომითავაზებია-მეთქი.

— როგორ თუ არ შემოგითავაზებიათ? — გაიკვირვა სტალინმა.

— არ შემომითავაზებია. მოდი, დირექტივები ვნახოთ.

მან მაგიდის უკრა გამოაღო, დირექტივები ამოიღო, თავდაპირველად თვითონ დაიწყო კითხვა, შემდეგ კი გამომიწოდა და მითხრა:

— წაიკითხეთ.

დავიწყე კითხვა და მალე ჩავედი იმ ადგილამდე, რომლიდანაც ეხადი გახდა, რომ ის მართალი არ იყო, რომ ოპერაციის ჩატარების

დროს მე ნამდვილად არ შემითავაზებია ფრონტების ამოქმედებას სხვა თანამიმდევრობა.

მან კითხვა შემაწყვეტინა, წამართვა ღირეპტივები და ისინი მალენკოვს გადასცა.

— წაიკითხეთ.

მალენკოვმა ხელახლა დაიწყო კითხვა და მიუახლოვდა თუ არა სწორედ იმ ადგილს, ენა დაება, ალბათ, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რადგან შემდეგ მიდიოდა ტექსტი, რომელიც სტალინის სიტყვებს ეწინააღმდეგებოდა; მან წაიბორძიკა, მაგრამ მაინც განაგრძო კითხვა, — რა უნდა ექნა!

სტალინმა წაართვა მას ქალაღი და ახლა ბერიას მისცა.

— წაიკითხე!

დაიწყო კითხვა ბერიამ, მაგრამ, დიდი სურვილის მიუხედავად, სხვა ვერაფერი ამოიკითხა.

სტალინმა მასაც წაართვა ღირეპტივები და უკანვე ჩაყარა უჯრაში. რაფერი თქვა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ის ძალზე უკმაყოფილო იყო. რატომღაც სწორედ ახლა მოუწინა ოპერაციის დაგეგმვის სისწორესთან დაკავშირებული მთელი წარმატება თვითონ დაებრალეზინა.

საუბარი იმ დღეს, საერთოდ მძიმე გამოვიდა. ამ ამბის შემდეგ, სულ მალე კი იმის თაობაზე ალაპარაკდა, რომ მომავალ ვისლა-ოდერისა და ბერლინის ოპერაციებში ფრონტების მოქმედების კოორდინაციის სპეციალური კომისია ადგილზე საერთოდ არ დაგეგვირდება; რომ ამ კოორდინაციის განხორციელებას მთავარბანაკი უშუალოდ მოსკოვიდან შეძლებს. ეს რომ თქვა, შემომთავაზა, ჩემს თავზე ამეღო ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდლობა, რომელიც პირდაპირ ბერლინზე მიდიოდა.

მაშინ ვკითხე, ამ შემთხვევაში სად ფიქრობს ის როკოსოვსკის, ამ ფრონტის სარდლის დანიშნას?

მან კითხვაზე კითხვით მიპასუხა:

— თქვენ როგორ ფიქრობთ ამ შემთხვევაში? თქვენ იქნებით ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალი, სად დავნიშნოთ როკოსოვსკი?

მე ვუპასუხე, რომ ცხადია როკოსოვსკი უნდა გავაგზავნოთ ბელორუსიის მე-2 ფრონტის სარდლად, რომელიც ბერლინზე ჩვენი დარტყმისას ბელორუსიის პირველ ფრონტთან ურთიერთმოქმედებაში იქნება.

აი, როგორ იქნა გადაწყვეტილი ეს საკითხი, არა ისე, როგორც ხანდახან ბოლო დროს ცდილობენ წარმოაჩინონ; ხოლო ამ საკითხის სათავე, თვით მისი წარმოშობა კი უფრო შორეულ დროს — ბელორუსიის ოპერაციის შედეგების შეჯამებასა და იმ კონფლიქტს ეკუთვნის, რომე-

ლიც ამ დროს წარმოიშვა. მიმაჩნია, რომ სწორედ ამ კონფლიქტის შედეგი იყო ის, რომ სტალინმა არ ისურვა ფრონტების მოქმედების კოორდინაცია გამეკეთიბინა და განიზრახა, თუმცა, გადამწყვეტი, მაგრამ მაინც ერთი ფრონტის სარდლად გაეგზავნე.

კონევის მოგონებებში სტალინთან მისი საუბრის შესახებ ბელორუსიის ოპერაციის პირველ პერიოდში არის ადგილი, რომელშიც მე ეჭვი მეპარება.

კონევა დაწერა, თითქოს სტალინმა მას ჰკითხა მისი ფრონტის გარღვევით, მის არმიებზე გატარებით ბელორუსიის პირველი ფრონტის ორი სატანკო არმიის შეყვანის შესაძლებლობის შესახებ. მე მიჭირს ვიწმუნო, რომ სტალინს შეეძლო შეეტანა ასეთი წინადადება, უპირველესად იმიტომ, რომ როგორც ეს თვით კონევის სიტყვებიდან ჩანს, იმ დროს, როცა სტალინმა ასეთი შესაძლებლობის შესახებ იკითხა, ბელორუსიის პირველი ფრონტის ორთავე სატანკო არმიები — კატუსოვისაც და ბოგდანოვისაც თავიანთი პირველი ეშელონებით უკვე დასაქმებული იყო ჩემს მიერ. ბელორუსიის პირველი ფრონტიდან მათი გამოყვანა შემდგომი მოქმედებისათვის და უკრაინის პირველ ფრონტზე გადასროლა იმ დროისათვის უკვე ბრძოლიდან მათ გამოყვანას ნიშნავდა. სტალინი ხვდებოდა ეს რასაც ნიშნავდა და ჩემთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ მას შეეძლო ეს შეეთავაზებინა. მით უფრო ძნელია ამის დაჯერება, რომ სწორედ იმ დროს იგი მშვიდად მოევიდა ჩვენი შეტევის ტემპების შენელებას ბელორუსიის პირველ ფრონტზე. როცა მე იმას მოვახსენე, რომ გამართლდა ჩემი შიში და ჩვენ გავიჭედეთ, რომ გერმანელებმა თავი მოუყარეს ძალებს, გააფთრებულ წინაზმდევობას გვიწვევენ, ჩვენი წინ წაწევა შენელდა და ჯერ სიდრმეშიც კი ვერ მოვახერხეთ გარღვევა, სტალინმა ამაზე ძალიან მშვიდი რეაგირება მოახდინა.

— რა გაეწყობა, — თქვა მან, — დაე, თავი მოუყარონ რეზერვებს, აგრე იყოს, დაე, ჩაებლაუტონ, რაც უფრო მეტს ამოჟლეტთ აქ, მით ნაკლები დაგრჩებათ ბერლინში.

ასეთი იყო მისი რეაქცია ჩვენთვის იმ რთულ დღეს.

ასეთივე დარჩა ის შემდეგშიაც. თავდაპირველად მე ვვარაუდობდი, რომ 1 მაისს ჩვენ უკვე მოვახსენებდით ბერლინისათვის ბრძოლების დასასრულის შესახებ და რომ ამას თვით სამაისო პარადზე გამოაცხადებდნენ. როცა 30 აპრილს მივხვდი, რომ ჩვენ ამის გაკეთებას ვერ შევძლებდით, დავურეკე სტალინს და ვუთხარი, რომ ბერლინთან კიდევ ორი დღის წვალეზა მოგვიწევდა. მისი მხრიდან უკმაყოფილებას, შესაძლო იყო საყვედურსაც მოველოდი, მაგრამ, ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მან ძალიან მშვიდად მომიგო:

— რა გაეწყობა, ჯერჯერობით ვიყუჩებთ. ამ პირველ მაღალ-საფლავზე ფერი ისედაც კარგი განწყობილებით იქნება. მოგვიანებით ვაცნობებთ ხალხს, მანდ, ფრონტზე, სიჩქარე არ უნდა. არსად არ გვეჩქარება. ხალხს გაუფრთხილდით, ზედმეტი დანაკარგები საჭირო არ არის. ერთი, ორი, თუნდაც რამდენიმე დღე ახლა უკვე აღარ თამაშობს დიდ როლს.

ასეთი იყო სტალინის რეაქცია ჩემს მოხსენებაზე ბერლინისათვის ბრძოლების დასაწყისშიც და მათ ბოლოსაც“.

ახლა კი მივუბრუნდეთ რამდენიმე ჩანაწერს, რომლებიც საერთო წარმოდგენას გვაძლევენ ჟუკოვის შეხედულებებზე სტალინის, როგორც მთავარსარდლის, მოღვაწეობასა და მის დამოკიდებულებაზე იმ ადამიანებთან, რომლებიც ომის წლებში მისი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ.

ამ ჩანაწერებში პირადი ემოციები ეგუება სამართლიანობის შეფასებისადმი იმ უდაო სწრაფვას, რომელიც, როგორც მე მეჩვენება, საერთოდ სჩვევია ჟუკოვს, მისი უკმეხობის, ზოგჯერ კი შეუზრიგებელი ხასიათის, მიუხედავად.

„სტრატეგიულ საკითხებში სტალინი ომის დასაწყისიდანვე ერკვეოდა. სტრატეგია ახლოს იყო მის სფეროსთან — პოლიტიკასთან და რაც უფრო მეტი საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან სტრატეგიულსა და პოლიტიკურ საკითხებს, მით უფრო დამაჯერებლად გრძნობდა თავს სტალინი.

ოპერატიული ხელოვნების საკითხებში ომის დასაწყისში ის ცუდად ერკვეოდა, მაგრამ სტალინგრადის ბრძოლის უკანასკნელ პერიოდში, კურსკის რკალის დროისათვის კი უკვე განზოგადების გარეშე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ამ საკითხებშიც სრულიად მტკიცედ, ურყევად და დამაჯერებლად გრძნობდა თავს.

რაც შეეხება ტაქტიკის საკითხებს, მკაცრად რომ ვთქვათ, ის მათში თვით ომის ბოლომდე ვერ ერკვეოდა. კაცმა რომ თქვას, არც იყო იმის აუცილებლობა, რომ იგი, როგორც უმაღლესი მთავარსადალი, ტაქტიკის საკითხებშიც გარკვეული ყოფილიყო. მთავარი ის გახლდათ, რომ მისმა გონებამ და ტალანტმა საშუალება მისცა, ომის მსვლელობისას ოპერატიულ ხელმძღვანელობას იმდენად დაუფლებოდა, რომ როდესაც ის თავისთან იძახებდა ფრონტის სარდლებს და მათთან ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებულ თემებზე საუბრობდა, აშკარა ხდებოდა, რომ ამ საკითხებში ის მათზე ცუდად არ ერკვეოდა, ზოგჯერ კი უკეთეს ცოდნასაც ამჟღავნებდა. სტალინი ხშირად პოულობდა და კარნახობდა საინტერესო ოპერატიულ გადაწყვეტილებებს.

ამას ისიც უნდა დავამატო, რომ მას შემუშავებული ჰქონდა მთავალი ოპერაციის კონკრეტული მასალების აღქმის საკუთარი მეთოდი,



რომელიც, გულახდილად რომ ვთქვათ, სწორად მიმაჩნია. ამა თქმის მიხედვით, ოპერაციის მომზადების წინ, ფრონტის სარდლების გამოძახებამდე, წინასწარ ხედებოდა გენერალური შტაბის ოფიცერებს — მაიორებს და პოდპოლკოვნიკებს, რომლებიც შესაბამის ოპერატიულ მიმართულებებს შეთვალურობდნენ; ის მათ ერთმანეთის მიყოლებით იძახებდა; საათობით მუშაობდა მათთან, აზუსტებდა თითოეულ კონკრეტულ ვითარებას, ერკვეოდა მათში და ფრონტის სარდლებთან შეხვედრის დროს, მათთვის ახალი ამოცანების დასმისას იმდენად კარგად მომზადებული აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ზოგჯერ აკვირვებდა კიდევ მათ საქმეში ჩახედულობით.

მახსოვს ერთი ასეთი საუბართაგანი, როცა მან მოულოდნელად რომელიღაც სოფლის შესახებ მკითხა, ვის უკავია იგი, გერმანელებს თუ ჩვენებსო. ჩემთვის, იმ დროისათვის ორი ფრონტის მოქმედებათა ხელმძღვანელისათვის, ცნობილი არ იყო, თუ ვის ჰქონდა დაკავებული ეს სოფელი, ასეც ვუთხარი. მაშინ მან რუკასთან მიმოიყვანა და მითხრა, ეს სოფელი გერმანელების მიერაა დაკავებულიო და მირჩია, ყურადღება მიმიქცია მისთვის.

— როგორც დასახლებული პუნქტი, ის არაფერს წარმოადგენს, — თქვა მან, — შეიძლება თვით სოფელი ბრძოლების შემდეგ საერთოდაც აღარ არსებობს, მაგრამ თუკი განვიხილავთ ფრონტის მთელი უზნის კონფიგურაციას, მაშინ ეს პუნქტი არსებითია და გერმანელთა აქტიური მოქმედების შემთხვევაში შესაძლებელია დიდ საფრთხედ გადაგვექცეს.

როცა მე თვითონაც შევხედე რუკაზე ფრონტის ამ უზნის კონფიგურაციას, ვირწმუნე მისი შეფასების სისწორე. ეს მხოლოდ ერთი, მცირე მაგალითთაგანია სტალინისეული აღქმის მეთოდისა.

ასეთი მეთოდის დახმარებით, მას ზოგჯერ უყვარდა ჩვენს წინაშე ხაზი გაესვა საქმეში თავისი ჩახედულობისათვის, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ეს მოჩვენებითი კი არ იყო, არამედ ჭეშმარიტი და მომავალი გადაწყვეტილებების დასაზუსტებლად უაღრესად გონივრული იყო.

ომის დასაწყისში კი (ასე როცა ვამბობ, მიჯნად სტალინგრადის ბრძოლას მივიჩნევ) ისეც ხდებოდა, რომ მოხსენებების მოსმენისას სტალინი ხანდახან ისეთ შენიშვნებს იძლეოდა, რომელიც ვითარების ელემენტარულ გაუგებრობასა და სამხედრო საქმის არასაკმარის ცოდნას ადასტურებდა.

ასე, მაგალითად, როცა 1942 წლის ზაფხულში მოვახსენე დასავლეთის ფრონტზე ერთ-ერთი ოპერაციის თაობაზე, რომელიც პოგორელოვ გოროდიჩეს აღებასთან იყო დაკავშირებული, მე მას ვუხსნიდი ორი — მთავარი და დამხმარე, დარტყმის შესახებ. რუკაზე მარჯვნიდან დიდი,

ხართო წითელი ისარი იყო, მარცხნივ — მომცრო. მან ყურადღება მიაქცია ამ მეორე ისარს და მკითხა:

— ეს რაღა?

აეუხსენი, რომ პატარა ისარი დამხმარე დარტყმას აღნიშნავდა.

— მანდ რაღა დამხმარე დარტყმაა საჭირო? რა ეშმაკისათვის უნდა მივყარ-მოვყაროთ ძალები? მათ ერთ ადგილას უნდა მოვუყაროთ თავი და არა მივფანტ-მოვფანტოთ!

მოვახსენე, თუ როგორ მქონდა ჩაფიქრებული ეს დამხმარე დარტყმა, რომ ორ ადგილას დარტყმის შედეგად მოწინააღმდეგე დაიბნეოდა, ვეღარ გაარკვევდა, სად იყო მთავარი დარტყმა; რომ დამხმარე დარტყმის მიმართულებით მათი რეზერვის ნაწილს შევბოჭავდით და, როცა ოპერაციის მეორე დღეს აღმოაჩენდნენ, სინამდვილეში სადაც ვურტყამდით, უკვე ვეღარ მოასწრებდნენ დროულ მანევრირებას.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ჩემი განმარტება დამაჯერებელი იყო, სტალინი მაინც უკმაყოფილო დარჩა. მე ვაგრძელებდი ჩემს მტკიცებას.

ბოლოს და ბოლოს ის მაინც არ დამეთანხმა და თქვა:

— თქვენ კაცი ვერ გადაგარწმუნებთ. კარგით, ფრონტის სარდალი ხართ და ამაზე პასუხსაც თვითონვე აგებთ.

ვუპასუხე; რომ მე გაცნობიერებული მაქვს საკუთარი მოვალეობა და მზად ვარ, მთელი პასუხისმგებლობა ვიკისრო იმისათვის, რასაც გთავაზობთ-მეთქი.

ჩვენი ასეთი საუბარი, რომელიც საკმაოდ მახასიათებელია ომის პირველი პერიოდისათვის, ამით დამთავრდა.

შემდგომ კი, მეორე პერიოდში, როცა ოპერაციის გეგმები განიხილებოდა, სტალინი, პირიქით, არაერთხელ თვითონვე კითხულობდა, ხომ არ შეიძლება კიდევ ერთხელ მივაყენოთ დამხმარე დარტყმა, მოვახდინოთ დემონსტრირება, გავთიშოთ მოწინააღმდეგის სარეზერვო ძალები? ამ საკითხების სწორედ ასეთ და გაცილებით უფრო ღრმა გაგებასთან იყო დაკავშირებული დარტყმების მთელი სერიის დაგეგმვა, განსაკუთრებით კი 1944 წელს ეგრეთწოდებული „ათი სტალინური დარტყმა“.

სტალინგრადის დროიდან სტალინი ალყისა და გერმანელთა ჯარების განადგურების პრობლემის საკუთარ მეთოდს მისდევდა. სტალინგრადის ოპერაციის მსვლელობა ღრმად ჩაეჭვდა გონებაში და ის არაერთხელ უბრუნდებოდა მის გამოცდილებას. მე ეს შევნიშნე სტალინის საუბარში, როცა ჩვენ კრივიტიოვგის რაიონში გერმანელთა ალყაში მოქცევის ოპერაციას ვგეგმავდით. იგი წინააღმდეგი იყო ალყაში გერმანელთა ოპერტიულად მოქცევის ჩვენეული განზრახვისა, რომელიც ითვალისწინებდა,

რომ ის ტაქტიკური ალყით დაგვესრულებინა და გაგვენადგურებინა მოწინააღმდეგე ჩვენს მიერ შექმნილ ქვაბში; შემოგვედავა და სხვა ამოცანა დაისახა, მოითხოვა, რომ თუ ჩვენ შევუქმნიდით გერმანელებს ალყაში მოქცევის საშიშროებას, ისინი თავად გასცდებოდნენ კრივიროვის აუზს; ამასთან დაკავშირებით სტალინგრადი გაახსენდა და თქვა, რომ მაშინაც ასე ვაპირებდით, ალყაში მოგვექცია და გაგვენადგურებინა გერმანელები 10 დღის განმავლობაში, მაგრამ ორ თვეზე მეტი კი ვიჯახირეთ.

მსგავსი საუბარი სტალინთან შედგა უფრო. მოგვიანებითაც, როცა უკვე 1944 წელს ჩერნოვიცი-პროსკუროვის მიმართულებაზე გადასვლასთან დაკავშირებით განზრახული გვექონდა გერმანელთა ალყაში მოქცევა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამაზე ვფიქრობთ.

სტალინმა დარეკა და თქვა:

— ვგრძნობ, რომ თქვენ იქ ალყის შემორტყმა განიზრახეთ.

დავუდასტურე, რომ ნამდვილად ასეთი აზრი გავაჩნია და ამას თვით ვითარება გვეარნახობს.

— არ არის ეს საჭირო, — თქვა მან, — რა დროს მოანდომებთ ამას?

უუპასუხე, რომ ალყის შემორტყმა და შემდგომ ალყაში მოქცეული მოწინააღმდეგის განადგურება, ალბათ, დაახლოებით ერთ თვეს გასტანს.

— ერთი თვე, — ჩაილაპარაკა მან, — ამბობთ, ერთი თვეო? სტალინგრადშიც იგივეს ამბობდით, სინამდვილეში კი ერთ თვესაც გაგრძელდა და სამსაც. არ არის საჭირო ალყაში მოქცევა ჩვენს ტერიტორიაზე! საჭიროა მტერი გავანადგუროთ. გარკვევია საჭირო, სწრაფად უნდა გავანთავისუფლოთ მიწები, გაზაფხულზე საჭირო იქნება პური. უნდა შევამციროთ ნგრევათა შესაძლებლობა! დაე, წავიდეს მტერი! ისეთი ვითარება შეუქმენით, რომ სასწრაფოდ გაეცალონ აქაურობას. რაც შეიძლება, მაღე გავრეკოთ ისინი ჩვენი ტერიტორიიდან. აი, ჩვენი ამოცანა. ალყის შემორტყმას კი შემდეგ, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზეც მოესწრებით!

თუ ვიმსჯელებთ სტალინის ღირებულებების შესახებ ამა თუ იმ სახეობის ჯარების, კერძოდ კი არტილერიის გამოყენების თაობაზე, ეგრეთწოდებულ „სტალინის მითითებებზე სამხედრო საკითხებში“, მაშინ, რა თქმა უნდა, მათი პირდაპირ ასე მოხსენიება არ შეიძლება. ჩვეულებრივ ისინი იყო მოსაზრებანი, რომლებიც ჯარის საერთო ხელმძღვანელობას, ანდა, მის ამა თუ იმ სახეობის მოქმედებას უკავშირდებოდა. მათ საფუძვლად ედოთ წინა ომის გამოცდილებით მიღებული დასკვნები, რომელიც ჯარების ხელმძღვანელობას უნდა გამოეყენებინა შემდგომში. ყველაფერი ეს, როგორც წესი, მუშავდებოდა ხოლმე ჯარის სახეობათა სარდლებისა და მათი შტაბების მიერ: გენერალური შტაბის მიერ, ანტონოვის,

ვასილევსკისა. და ჩემს მიერ, შემდეგ განსახილველად გადაეცემოდა სტალინს და მისი დამტკიცების შემდეგ კი უკვე მითითებულ იგზავნებოდა ჯარებში.

პროფესიონალური სამხედრო ცოდნა სტალინს არასკამარისი ჰქონდა. არა მარტო ომის დასაწყისში, არამედ მის ბოლომდეც, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, ვერ იტყოდი, მას ან გონება, ან ჯანსაღი აზრი არ უჭრისო, ან ვითარების აღქმა უძნელდებაო. ომის ისტორიის ანალიზისას საჭიროა, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანად გაერკვე, თუ როგორ იყო ყოველივე. მიუხედავად შეუპოვარი წინააღმდეგობებისა, მის სინდისზეა ისეთი ბრძანებები და დაჯინებული მოთხოვნები, რომლებმაც ზიანი მოუტანეს საქმეს, მაგრამ მისი ბრძანებებისა და განკარგულებების უმეტესობა მაინც სწორი და სამართლიანი იყო.

ამას რომ ვამბობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ ის მძიმე წუთები, რომელსაც ადგილი ჰქონდა სტალინთან საუბრისას. ერთხელ ვასილევსკისთან ერთად ვიყავი მასთან. ვასილევსკი უბატაკებდა რეალური ვითარების შესახებ, რომელიც არც ჩვენს მოლოდინსა და არც ჩვენს განზრახვას არ შეესაბამებოდა. გერმანელები ზუსტად იმის საწინააღმდეგოს აკეთებდნენ, რასაც ჩვენ ვგარაუდობდით და როგორადაც ჩვენ გვსურდა. ამ უბადრუკმა ბატაკმა სტალინი მოთმინებიდან გამოიყვანა. ის მიუახლოვდა მომხსენებელს და ჯიქურ ჰკითხა:

— თქვენ ვისთვის მუშაობთ, ამხანაგო ვასილევსკი?

ის ვერ მიხვდა:

— ესე იგი... როგორ, ამხანაგო სტალინ?

— ვისთვის მუშაობთ, ინგლისელებისათვის თუ გერმანელებისათვის?

— ვერ გაგიგეთ, ამხანაგო სტალინ? — გაიმეორა ვასილევსკიმ.

— რა, ვერ გაიგეთ? თქვენ ისეთ მოხსენებას აკეთებთ, თითქოს ჩვენ კი არა, ინგლისელებს ემსახურებოდეთ!..

ვასილევსკი გაფითრდა. როცა ჩვენ ამ უეცრად შეწყვეტილი, მძიმე საუბრის შემდეგ მანქანით მივემგზავრებოდით, იგი დიდხანს ვერ მოვიდა გონს, დილით კი კვლავ ერთად მივედით სტალინთან, რომელიც ისე იქცეოდა, ვითომც ეს გუშინდელი საუბარი საერთოდ არც ყოფილიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის მეორე პერიოდში საკითხების გადაწყვეტაში სტალინი არ ჩქარობდა, მოთმინებით უსმენდა მოხსენებას, მათ შორის არასასიამოვნოსაც, არ ნერვიულობდა, არ აწყვეტინებდა, დროდადრო თამბაქოს ეწეოდა, ბოლთას სცემდა, ან ჩამოჯდებოდა და ისე უსმენდა.

ომის ბოლოს შესამჩნევი გახდა მისი ექვიანობა. ხშირად აშკარად

იგრძნობოდა, რომ მას სურდა, ყველა გამარჯვება და წარმატება მის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული და ამა თუ იმ სარდლის მაღალი შეფასებისას ის ეჭვიანობას ვეღარ ფარავდა. მე, მაგალითად, ეს მკვეთრად ვიგრძენი გამარჯვების პარადზე; მას არ მოეწონა მე რომ მესალმებოდნენ და ხმამაღლა გაიძახოდნენ „ვაშას“, შევნიშნე, როგორ უთრთოდა ყვრიმალეები“.

თქვენ მეკითხებით როგორი იყო სტალინი ომის დასაწყისში და როგორი დასასრულს? რა შეიცვალა მასში? იყო კი შესამჩნევი სხვაობა? უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი სტალინად დარჩა. მის პრინციპულ გამოხედვას, ჩვეულებებს, მის დამოკიდებულებას ვითარებასთან და ადამიანებთან გადამწყვეტი ცვლილებანი არ განუცდიათ. ხალხთან დამოკიდებულება მას ძველებური დარჩა, მაგრამ ომმა მის თვალში გადააფასა ხალხი. ომის მსვლელობისას, დასაწყისთან შედარებით, უფრო ნათელი გახდა მათი დამსახურებანი, მათი შესაძლებლობები, საქმისათვის მათი საჭიროება და ეს კიდევ უფრო მეტად აკავშირებდა სტალინს ხალხთან. აი, კონევი, მაგალითად. ომის დასაწყისში სტალინი მას ცუდად ეპყრობოდა, ხსნიდა ფრონტების სარდლობიდან, მოგვიანებით კი, როცა კონევიმ სტეპის ფრონტის სარდლის ადგილი დაიკავა და საქმე კარგად წაუვიდა, როცა წარმატებები და მარჯვე ოპერაციები ერთმანეთს ცვლიდნენ, სტალინმა, ზედავდა რა კონევის მამაცობას, მის მიმართ თავისი დამოკიდებულება შეცვალა. ომის მსვლელობისას თვით სტალინი იძენდა გამოცდილებას და ცოდნას, ბევრი რამ, რასაც თავდაპირველად ვერ გებულობდა, გაიგო; იგი ჩაება სამხედრო მოღვაწეობაში, თავისი შეფასებებისას უფრო ღრმა და სამართლიანი გახდა. გარდა ამისა, ის უკვე გაცილებით მეტ ანგარიშს უწევდა ობიექტურ სინამდვილეს; მისმა შეხედულებამ — „ის, რაც მე გადავწყვიტე, შესაძლებელია და უნდა შესრულდეს“ — ადგილი დაუთმო უფრო საღ, გონივრულ, რეალუბის ობიექტურ შეფასებაზე დაფუძნებულ პოზიციებს, „შეიძლება მხოლოდ იმის გაკეთება, რისი გაკეთებაც შესაძლებელია; ის, რისი გაკეთებაც არ შეიძლება, — შეუძლებელია“.

სტალინი სულ უფრო მეტი ყურადღებით უსმენდა რჩევა-დარიგებებს; ესწრაფოდა ამ რჩევათა გზით უფრო ღრმად ჩაწვდენოდა სამხედრო ვითარებას. ერთი მეორეს განაპირობებდა, მეორე კი, თავის მხრივ, აძლიერებდა პირველს. ვითარების უფრო ღრმა გაგება უბიძგებდა მას, ყური დაეგდო რჩევებისათვის, მათთვის ყურადღების მიბყრობისას კი სულ უფრო ღრმად სწვდებოდა ომის საკითხებს.

როგორც აღვნიშნე, სტალინთან საუბრებში, რომლებიც პირდაპირ იყვნენ დაკავშირებული სამხედრო მოქმედებებთან, ომის წლების მან-



ძილზე არაერთხელ შევეწინააღმდეგე და შევეკამათე მას, მაგრამ
ლაფერმა ამან ჩემს შესახებ გარკვეული აზრი შეუქმნა სტალინს.

როცა უკვე მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან მომხსნეს და
სვერდლოვსკის ოლქს ვსარდლობდი, აბაკუშოვმა, ბერიას ხელმძღვანე-
ლობით, მოამზადა საქმე სამხედრო შეთქმულების შესახებ. დააპატიმრეს
მთელი რიგი ოფიცრები და დადგა საკითხი ჩემი დაპატიმრებისა. ბერია
და აბაკუშოვი ისეთ უაზრობამდე და საზიზღრობამდე მივიდნენ, რომ
ცდილობდნენ, საქმე ისე წარმოეჩინათ, თითქოს მე ამ დაპატიმრებულ
ოფიცრებს ვხელმძღვანელობდი და ვამზადებდი სამხედრო შეთქმულე-
ბას სტალინის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც შემდეგ ამ საუბრის დამსწ-
რეთ მიამბეს, სტალინმა, მოისმინა რა ბერიას წინადადება ჩემი დაპა-
ტიმრების შესახებ, თქვა:

— არა, ყუკოვის დაპატიმრების ნებას არ მოგცემ! არ მჯერა ეს
ყველაფერი! მე მას კარგად ვიცნობ, ომის ოთხი წლის მანძილზე მე ის
საკუთარ თავზე უკეთ შევიცანი.

ასე გადმომცეს ამ საუბრის შესახებ, რომლის შედეგადაც ჩაიფუშა
ბერიას მცდელობა, ბოლო მოეღო ჩემთვის“.

თარგმანა თინა შიოშვილმა



სიხლის მშვიდობის დროშია...

„...შრომითა დიდითა ჰქმნეს ადგილი იგი“.

მ ე რ უ ლ ე

ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი თავხედობა ოქტომბრის რევოლუცია გახლდათ, როცა „ავრორას“ ერთმა გასროლამ მთელი 75 წლის განმავლობაში უკუღმა შეაბრუნა სამყაროს კანონზომიერი განვითარების საკე. რუსეთის იმპერია სათამაშო მაგიდა იყო, ლენინი — კრუპიე, სწორ-უპოვარი ავანტიურისტის იდეოლოგიური თამაშის წყალობით დაფხავებული ვარცლის ზარბაზნის ერთი ჭურვი უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ხიროსიმას ატომი.

ამის შემდეგ, პარადოქსია, რომ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ზოგს ლამის კომუნისტები მონატროს.

დავუშვათ და მავანმა უცხოელმა კაცმა იკითხა: ყველაზე უფრო მეტად მაინც რა ეხერხება ქართველს? დარწმუნებული ვარ ერთსაა თიან მგზნებარე ლექციას წავუკითხავთ ჩვენს ღირსებებზე, წარსულზე, დიდ კულტურულ მემკვიდრეობაზე. მაგრამ წესით ასეთი რამ არათუ უცხოელმა, შინაურმაც არ უნდა იკითხოს. განა რომელი სოლომონ-ბრძენობა უნდა იმის რკვევას, რომ ბოლო ხანებში ქართველებს ყველაზე მეტად მიტიწგობია, დროშების ფრიალი და ერთმანეთის კვლა გამოგვდის ხელიდან.

არადა, ეს არ უნდა იყოს ჩვენს ფესვში, ლოგიკურად ჩვენი გენი სხვა ნიშანით სუნთქავს. გეორგიანელობა ცხოვრების სხვა წესსა და რიგს ნიშნავს. ჩვენი უპირველესი წინაპრის უპირველესი ტრადიცია მიწის მუშავობა, გონიერი გარჯის დაფასება იყო.

ოქტომბრის რევოლუციის თავხედურმა იდეოლოგიამ მეტნაკლებად ვააქსუა იმპერიის ყველა ხალხი და მათ შორის ქართველობაც. ამოგვაგდო ჩვეული რიტმიდან, მოგვკვეთა ღონიერ ფესვებს...

ნაწუხები დღიურიდან

ეს „გეჩი“ კი არა ბავშვური თამაშია. ხალხს, რომელიც ქვეყანას ატრიალებდა (ჩვენი აზრით), თურმე სერიოზული პუტჩის ნიჭი არ ჰქონია.

საიდან ექნებოდა! ე. წ. ხუნტა სოციალიზმის ძუძუნაწოვი, უვნებო და უძარღვო შვილთა კონგლომერატი გაზლდათ, ვინც სიზარმაცისა და ზერელობის აკვანში გაიზარდა.

ეს სენი საერთოა, იგი ჩვენიცაა.

ესაა ჩვენი ყოფის სავალალო ნიშანი.

აღბათ, ქვეყანა მაშინ ხდება შეჭირვებული, როცა უსაქმურობის ვირუსი შეეპარება, როცა მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის დისპროპორცია კატასტროფულად იზრდება.

ჩვენ ვერ ვეშვებით კუდაბზიკობას.

მეკუტრტნედ აზერბაიჯანელი გვინდა, მეეზოვედ — ქურთი, ფეხსაცმლისა და საათის შემკეთებლად სომეხი, ფოსტალიონად — რუსი. დავიდოთ გულზე ხელი და ვთქვათ, აქვს იმ ერს მომავალი, ვისაც სხვები იმედით სურს ცხოვრება?

განა ახლაც ზარივით არ რეკავს დიდი ილიას სიტყვები: „გვეყო ბატონებო, ჩვენი აწმყოა და მომავლის ბედის სხვაზე მიგდება. ჩვენი გაჭირვებისა და გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყავით. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შევებულა ამ ქვეყნიერებაზედ სიკეთე და ღონე ხალხისა, სხვა გზა არ არის, ჩვენი ცხოვრების შარავზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“.

გაჭირდება ამ ანდერძის შესრულება. იმიტომ რომ ჩვენ საამისო სტრატეგია არ გავგანჩნია, ჩვენ არა შემქმნელის, არამედ მომხმარებლის თვალთ ვუყურებთ ცა-ქვეყანას. ვერ ამოვბერტყეთ ჩვენი ცნობიერების კუნჭულიდან „მამა-მარჩენალის კომპლექსი“. კერბთაყვანისმცემლებით სულ ერთი კაცისკენ გაგვირბის თვალი, გვინდა ჩვენს მაგივრად მან იაზროვნოს, ჩვენს მაგივრად ერსა და ბერს მან მიხედოს, გვეშინია ჩვენი წილი პასუხისმგებლობისა, ან სულაც გამცონარებულებს გვეზარება ჩვენი არჩივი ტვირთის ტარება.

ამიტომაც ვყვიროდით: „ზვიადი, ზვიადი“. ახლა მხსნელის სახით ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შევყურებთ, მაგრამ ამო იქნება ეს იმედი, თუ თავად ჩვენ არ გავისარჩევთ. ერთი კაცი, რაცუნდარა ავტორიტეტი და ძალისხმევა ჰქონდეს, ვერ უშველის შეჭირვებულ ქვეყანას, მით უმეტეს მაშინ, როცა მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი სიღარიბის ჭაობში იძირება.

მაინც რა უცებ გვავიწყდება ბიბლიის შეგონება — „არ გაიკეთო

კორპები, არც რამე ხატი იმისა, რაც არი მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში, მიწის ქვეშ“.

ნაწყვეტი დღიურიდან

თბილისში სისხლი დაიღვარა. პაერში ისროდნენ და თურმე მიწაზე ხალხი დაიჭრა!!! ვის გამო, რის გამო, არ უნდა მოეღოს ბოლო კერპ-თაყვანისმცემლობას, იარაღის ტრიალს?

8 სექტემბერი, 1991 წელი

მეჩვენება რომ ბევრისათვის იარაღის ტრიალი გაცილებით ადვილია, ვიდრე თოხი. რაგინდ სასაცილოდ ჩანდეს, პოლიტიკურ ამბიციებსა მიზარმაცეც ეხმარება. ეს დღეს არ დაწყებულია. ანეკდოტშიც კი „გამონათა“ ჩვენმა ხასიათმა, როცა ლუის კორვალანის დაჭერა გაუგია კახეთის ერთ-ერთი სოფლის თავკაცს, ასე განუცხადებია — „სანამ ამხანაგ ლუისს არ გაანთავისუფლებენ იმის მკვდარი და ცოცხალი, ვინც სამუშაოდ გაეიდესო“.

არაფერს გვეუბნება პოლიტიკასთან შებმული ეკონომიკური სიბეცე, თუკი ის სამტრედიის რკინიგზის ომით მთავრდება?

მცირე საქმეთა მკეთებელთ წესად გვექცა იმ მცირეს გაბუქვაც, საწყენია, რომ ზოგჯერ საამისოდ „აკრძალულ“ გზებსაც არ ვერიდებით. უზნეობაა კაცისათვის პატარა სიკეთის წაყვედრება. არადა მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით. დიდ-დიდნი „გვამნი“ ყურებადღე გახეული ღიმილით აჩუქებენ მრავალშვილიან ოჯახს 200-300 მანეთს და მეორე დღეს ნახევარმა საქართველომ იცის ამ ძღვენის შესახებ. 300 მანეთად დღეს კილოგრამ კარაქსაც ვერ იყიდის კაცი. და ვითომ უნდა უხაროდეს ოჯახს, რომ ტელევიზიით ხედავდეს საკუთარ უმწეობას?

ნაწყვეტი დღიურიდან

ღმერთო, რამდენი კაცი გავიცანი ამ ბოლო წლებში, მანეთის ამბიცია და თუმნის ამბიცია რომ აქვს.

18 თებერვალი, 1992 წელი.

იტყვიან, ხელი გაანძრიე და გეშველებათ. ხელის განძრევა შეიძლება ბევრსაც უნდოდეს, მაგრამ ვისაც უნარი აქვს, იმასაც ხელს ეუშლით. გვახსოვს, როგორ არ გვახსოვს, მსახიობი რძის ქარხნის დირექტორად რომ მუშაობდა, ბიოლოგი — გენერალურ იდეოლოგად, და მერე გვიკირს, რატომ გვენგრევა თავზე წინაპრის მიერ აქამომდე მოტანილი ქვეყანა.

დღეს ერთგულებას უფრო დიდი გასავალი დაუჩინა, ვიდრე ერთგუ-
სიონალიზმს, პიროვნების ქლესაობა და პირადი ერთგულება — ყველაზე
ვერ გამოდგება.

კაცი ვიცი, თავის დიპლომებზე და განსწავლულობაზე ტრაბახით
ლამის სისხლი გაუშროს ნაცნობ-უცნობთა წრეს, არადა, თვითკმაყოფილ
სიფათზე ეტყობა, რომ 15 წელია წიგნი არ აუღია ხელში.

და რამდენი მისთანა გვიხედნის გონებას. რამდენი მკვებარა გვახვე-
ვია გარს.

პირფერობისა და ქლესაობის, საქმის უცოდინარობის, სავარძლებზე
პოტინის მარულაში ადვილია ჩასაქოლი, მოსაკვეთი ხალხის ძიება, აგენ-
ტებისა და მტრების აღმოჩენა.

ახლა ზომ დღესავით ნათელია, ბევრმა ეროვნული მოძრაობა იმ
ცხვრად გამოიყენა, რომელსაც დუმას ათლიან, რაკი მიტინგზე ბარაქიან
სიტყვას, ან ლექსს აგუგუნებდა, ბარაქიანი ადგილიც მოითხოვა და მი-
იღო კიდეც. რა პროფესიონალიზმზეა ლაპარაკი, როცა ამბიცია იმ კა-
ცებსაც მოეძალატე, ვინც ერთხელ ხელში დროშა დაიჭირა, ან სულ ცო-
ტა — მიტინგზე მოვიდა.

პროფესიონალიზმს ცვლის სამშობლოს სიყვარულის სპეკულაცია.
საშინელებაა პატრიოტიზმის მოდა.

დღეს ჩანს, ზოგისათვის ეროვნული მოძრაობა სკამებისათვის მოძ-
რაობა იყო და იმ ზოგმა შესაშური პროფესიონალიზმი გამოიჩინა, მო-
ხეტიალე ფორვარდით ირბინა პარტიიდან პარტიაში, ერთი გავლენიანი
წრიდან — მეორეში, ოპოზიციიდან — პოზიციაში და პირიქით.

ისევ გუთნისდებდა და მეხრე დარჩა ერთგული.

ერთგული ღვთიური მოწოდებისა, მიწასთან ჭიდილისა. ისევ მის
დაკოჟირლ ხელისგულს, მის მხრებს ეყრდნობა საქართველოს მომავა-
ლი.

ვაგლახ, რომ ჯერ ძალზე შორსაა პროფესიონალის ნამუშაოების
შეფასების ჭეშმარიტი კრიტერიუმები, ცუდი ინჟინერი ხელფასით გა-
ცილებით მეტს იწონის, ვიდრე კარგი მეეზოვე, კარგ ექიმს სჯობნის მო-
ქნილი ყასაბი, ცეცხლფარეშს — საკომისიო მაღაზიის თვალებცქრიალა
დახლიდარი.

პრივატიზაცია თუ დალაგებს ამ აჭრილ კარტებს. მაშინ და მხო-
ლოდ მაშინ, ყასიდად ვერავინ აუქნევს ხელს მევენახეს და მეთამბაქოეს,
მეცხოველეს და მეჩაიეს, კიდეც სხვას და სხვას. არადა, ისევ რომ შე-
მორჩნენ მათ ჯიბეში ფულის დათვლის მსურველები?!

სხვაა ხუნდმოხსნილი კაცის გარჯის ნაყოფი, უფრო თამამია და
რაც მთავარია, ბარაქიანი.

ოღონდაც უნდა ვიწამოთ, რომ უსრომლად არაფერი გამოგვივა.
ოღონდაც უნდა ვიწამოთ, რომ ქართული მიწის ბარაქზე აუცი არ გვეთქ-
მის. ჩვენი სამყოფი ბევრი რამ გვაქვს — ნავთობიც, ოქროც, მარგანე-
ციც და ქვანახშირიც, სპილენძიც და ღარიშხანიც, ნარინჯ-თურინჯიც...

ისევ ტვინის დეფიციტი, თორემ რამდენი ქვეყანაა, წილისეული
საერთოდ რომ არ გააჩნია და ეკონომიკურ სასწაულებს ახდენენ. განა
ამის მაგალითი არაა იაპონია? ჩვენს პირობებში ჩვენი მუშა იქაური მუ-
შის კვალიფიკაციის მეთედს რომ ფლობდეს, მალე ჩვენს ბედს ძალი
არ დაჰყევდა.

გული დაგწყდება, როცა დღეს მავანი და მავანი კიდევ ვერ ხედავს
კარს მომდგარი შიმშილის ურჩხულს. არ შეიძლება მიტიწვიდან მიტიწგა-
მდე იცხოვრო. სარჩო-საბადებელი რომ გქონდეს, ყანაში უნდა გახვიდე,
ჩარხთან უნდა დადგე.

გვეყრ ის, რომ ამ ავბედით თვეებში ბევრის ენაზე სიძულვილის
ძირმაგარა ამოვიდა, აყევდა ტყვიის მრავალწერტილი, აირია მტყუან-
მართალი.

ქართველი კაცი ისტორიის მანძილზე ბაზალეთის შემდეგ კვლავ
დაუმთავრებელი ტაძარივით დადგა მრისხანე ბედისწერის წინაშე.

მოდის ჟამი განსჯის, მოდის უცილობელი გამოსავალი — თითო ქა-
რთველი თითო ძეგლია და ძეგლს პატრონობა სჭირდება.

ვილოცოთ ერთმანეთის ცოდვილი სულებისათვის.

გამოგვიგზავნე ჩვენ, ღმერთო, მოთმინება

პირქუში, მღელვარე დღეების წელიწადს

ავიტანოთ სახალხო დევნა

და ჩვენი ჯალათებისაგან — წამება.

მოგვეც სიმტკიცე, ჩვენ, უფალო,

შევუნდოთ მოყვასს სიბოროტე,

და მძიმე, სისხლიანი ჯვარი

შენებრ მოთმინებით შეგვახვედრე.

და მშოთვარე მოლოდინით სავსე დღეებში,

როცა ჩვენი მტრები გვაწამებენ,

ავგატანინე შეურაცხყოფა და დამცირება,

იესო, უფალო ჩვენო, შეგვიწყალე.

მსოფლიოს მბრძანებლო, ღმერთო ძლიერო,

ლოცვით გვაკურთხე ჩვენ,

და მიეც სიმშვიდე მორჩილ სულებს

აუტანელი, საშინელი ჟამის მომლოდინეს.

და საფლავების კარიბჭესთან

შთაბერე მონათა შენთა ბაგეთ,
არაადამიანური სიძლიერე,
რათა ილოცონ საკუთარი მტრებისათვის.

რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ქალიშვილმა პატარა ოლია რომანოვამ ეს ლექსი რამდენიმე დღით ადრე დაწერა, ვიდრე ჯალათები ოქროს ბეჭდიან თითს მოაჭრიდნენ.

ბავშვმა შეძლო შენდობა, ჩვენც უნდა შევძლოთ.

მიტევებაა უადრესი უნარი, შევუნდოთ, რათა შენდობილი ვიქნეთ უფლისაგან.

სოსო ავაშიძე

es

გალაკტიონი, მაიაკოვსკი და ზიჰიანი

გალაკტიონი და მაიაკოვსკი თათქმის თანატოლები იყვნენ. მათ შორის ასაკით შუათანა იყო ტიციანი. თავის ავტობიოგრაფიაში ტიციანს წერდა: „ჩვენმა გიმნაზიამ უახლეს მემარცხენე პოეზიას ხარკი გადაუხადა. ბევრმა მკითხველმა იცის ამის შესახებ ვლადიმერ მაიაკოვსკის ავტობიოგრაფიიდან, იგი ჩვენს გიმნაზიაში აღიზარდა და თათქმის ჩემი ტოლი იყო. ქართულ ენას ბავშვობის ასაკში მშობლიურ ენად თვლიდა, პოეზია კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველად შეიგრძნო იროდიონ ევლოშვილის ლექსებში“.

ამიტომ შემთხვევით კი არა, არამედ კანონზომიერი იყო, რომ რუსი ჭაბუკი ასე ორგანულად, მძაფრად განიმსჭვალა დრამოკომულისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ჯერ ერთი, მისი ოჯახი, გალაკტიონის თქმით, „ქართული გარემოცვით იყო გაჟღენთილი“, ხოლო, მეორეც, მომავლის დიდი პოეტი ინტუიტურად ჰგრეტდა აწმყო-ყოფიერების გარდუვალი გარდაქმნის აუცილებლობას. ქართული ბუნების სიმშვენიერე, ქართველთა სულის სილამე და თავისუფლებისაგან მისწრაფება ბავშვობიდანვე შეენიჭათ მის „კახაკურ სტიქიას“ და ასე დაუპირისპირდა იმდროინდელი ცხოვრების დუღილს...

სამივე პოეტი აღიზარდა და ჩამოყალიბდა ქართულ გარემოში; სამივე აქ ეზიარა მოწინავე იდეებს, ერთნაირი ძალით მიუწევდათ გული

პოეზიის მწვერვალებისაკენ; აქ მათ იზიდავდათ საოცნებო „სიმართლა“
ლაყვარდთა და ვარსკვლავთა“, შორეულ, თვალუწვდენელ სივრცეთა
განფენილობა. მაგრამ თვითეულს საკუთარი გზა-კვალი ჰქონდა, თავ-
თავისი ფრთები და არწივისებური ხედვა, რათა მათ ლექსებს ეფრინათ
უფრო მაღლა და გადასწვდნოდნენ მომავლის შორეთს... ასეთია ყველა
დიდი მადიებლის თვისება: სიმაღლე და მიუწვდომელის წვდომა, შეუ-
ცნებელის შეცნობა და გაცხადება სიტყვის თილისმით... ესაა ე. წ.
„ფაუსტური აღზევება“ სიმაღლისა და შორეულ სივრცეების დაუფ-
ლებისაკენ. გალაკტიონმაც და ტიციანმაც ქართული სულის „მეოცნე
ქნარი“ აზიარეს ქვეყნის ისტორიულ სვე-ბედს და, როგორც დიდი ილია
იტყოდა, „სადღესო თესლიდან სახვალიო ნაყოფიც“ დაინახეს.

* * *

გიმნაზიაში ყოფნისას ვლადიმერ მაიაკოვსკი უახლოვდება იმ წრეს,
რომელშიც გალაკტიონი ტრალდება; „ეს წრე, — გადმოგვცემს გალაკ-
ტიონი, — იკრებოდა სადამობოთ ჩვენს გვერდით, ნაცვლიშვილუ-
ბის სახლში, მდინარე რიონის პირად, მაღლობზე, სახლი გადაქცეოდა
მთელ ქუთაისს, ჩაფლულს მთლად მწვანეში“. ქართველი პოეტის აზ-
რით, ეს იყო „მაიაკოვსკის ცხოვრების უკეთესი პერიოდი“, იგი
უთუოდ „ცხოვლად დააჩნდება მის სულს“, სამუდამოდ აღიბეჭდა
მეხსიერებაში, მერე შემოქმედებითად დაკრისტალდა და გარდაიქმნა
პოეტურ შედეგებად.

„ვალი მაქვს შენი, ბაღდათის ზეცავ“, — აქ იგულისხმება არა
მხოლოდ მშობლიური ზეცა, არამედ ყრმობის ფერადი შთაბეჭდილებანი,
მთელი ის პერიოდი, როცა იგი განიმსჭვალა მებრძოლი პათოსით და
მერე ძლიერად, მგზნებარედ უმღერა მშობლიური ზეცის ლაყვარდს.
ტიციანის თქმით, „მაიაკოვსკიმ გავვიზიარა, რომ მას განზრახული
ჰქონდა დაეწერა ლექსად და პროზად დიდი ავტობიოგრაფიული ნაწარ-
მოები, რომელშიც აღწერილი იქნებოდა ბაღდათი, ბაღდათს ის იტოვე-
ბდა თავისი უკანასკნელი ლირიკული შემოქმედებისათვის, თუ კი ამას
მოესწრებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს მას განუხროციელებელი დარ-
ჩა“. ასე დარჩა ვალი გადაუხდელი... მაგრამ აღგილის დედა ღრმად
ჩასახლდა მის არსებაში და თვალწინ ედგა ყველგან, სადაც არ უნ-
და ყოფილიყო, შორეულ უცხოეთშიც. „როგორც კი დავადგი ფეხი კავ-
კასიას, მყისვე მომაგონდა, რომ მე ქართველი ვარ“.

საქართველოსთან მაიაკოვსკის ურთიერთობას ღრმე ფესვები აქვს
ადგმული დროის წიაღში. იგი არ იფარგლება მხოლოდ მამამისის
ბაღდათში ცხოვრებით და ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუთაისში სწავლით,

ზოგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. ეს კავშირი მაიაკოვსკის წინაპრებისა
ვერ კიდევ მეოთხე თაობიდან იწყება და უწყვეტად მომდინარეობს,
რაც ამ ტრადიციის მდგომარეობაზე მიუთითებს. „ვლადიმერ მაიაკო-
ვსკი ლალად და თავისუფლად გრძნობდა თავს ქართულ გარემოში,
მშობლიურად მიაჩნდა ენის სტიქია, კარგად იცოდა, ღრმად ესმოდა
და ზეპირად ახსოვდა მრავალი ქართული ლექსი, ანდაზა, იდიომური
თქმა... ის გარემოება, რომ მომავალი პოეტის მამა-პაპა საქართველოში
დაიბადნენ და აღიზარდნენ, რომ ისინი მუდმივ კონტაქტში იყვნენ
ქართველ მშრომელ ხალხსა და მოწინავე ინტელიგენციასთან, რომ
სწავლა-განათლება მათ საქართველოს სკოლებში მიიღეს, რომ საქარ-
თველო მათ თავის მშობლიურ მხარედ მიაჩნდათ და სხვაგან ცხოვრება
არც წარმოედგინათ, — ცხადად მეტყველებს ჩვენი ქვეყნის და ხალ-
ხისადმი მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, იმ ფსიქოლოგიურ
შესისხლხორცებაზე, მდგრად ტრადიციაში გადასულ სიახლოვეზე,
მტკიცე ეროვნულ-კულტურულ დამოკიდებულებასა და პიროვნულ-ადამიან-
ურ კავშირზე, რომელიც, ერთის მხრივ, ვლადიმერ მაიაკოვსკისა და
ჰის წინაპრებს, ხოლო მეორეს მხრივ, ქართველ ხალხს და მის ინტე-
ლიგენციას შორის დამყარდა“. (გიორგი ციციშვილი).

საქართველოს პოეტური ხატის მეტაფორული გააზრებით ვლადი-
მერ მაიაკოვსკი ახლოსაა ლერმონტოვთან. ორივე პოეტში ჩვენი კუთ-
ხე ედემის ასოციაციას იწვევდა. მაიაკოვსკისათვის საქართველო ამ-
ქვეყნიური სამოთხეა. ბუნების სიდიადე და სულის სილალე ორგანუ-
ლად ერწყმის ერთმანეთს და ჰქმნის სრულ ჰარმონიას. ეს არის ქარ-
თული ზასიათის ნიშან-თვისება და არა ხილვადის მკრთალი ანარეკ-
ლო... ესაა სულიერი ამაღლება და ლტოლვა ბედნიერებისაკენ. ვლადი-
მერ მაიაკოვსკის მიერ შეცნობილია ქართული სულის ეს წიაღისეუ-
ლი სიმდიდრე და ელვარება...

გალაკტიონი გვიხსნის რუსი თანამოძმე პოეტის შემოქმედების
საიდუმლოების გასაღებს: „მაიაკოვსკი დავალებულია მთლიანად იმე-
რეთის ბუნებით“. დიახ მთლიანად და არა ფრაგმენტულად, რამეთუ
ნაწილთა ზერელე შეგვრძნება, მოგზაურის „თვალისმიერი“ აღქმა რა-
ღაც უღვთოს, დასაგმობსაც აღმოაჩენს, მარტო შურსა და გაუტანლობას
დაინახავს ჩვენში. მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ წვდომა საუკუნეთა
სიღრმიდან გამოტარებული ქართველთა რაინდული სულის მიმზიდვე-
ლობისა და მაიაკოვსკისებურად აღიქვან საქართველოს ისტორია და
სამერმისო გადასახედიც.

ვლადიმერ მაიაკოვსკის რომ ძლიერად უყვარდა საქართველო, ეს
არცაა გასაკვირი. ქართულმა სინამდვილემ შთაბერა მას გაუკაცურე

სული, მისცა პოეტური აღფრთოვანება და გაქანება. პოეტს სურდა, საქართველო ეხილა უფრო ლამაზი და ინდუსტრიულად ძლიერი, თბილისის მარკის თვითმფრინავები დაენახა სამშობლოს ცაზე...

ქართული ხასიათი ოდითგანვე გამოირჩევა სოლიდარობის გრძნობით, ინტერნაციონალურობით. ეს ორივე პოეტის ორგანული, თანმხლები თვისებაა. „მას, ვ. მაიაკოვსკის, ბავშვობიდანვე ჰქონდა, — როგორც ტიციანი წერდა, — შეგნებულნი ეროვნული შუღლის უმსგავსოებანი...“ მაგრამ ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც ორივე პოეტმა თავიდანვე გადალახა ეროვნულ შეზღუდულობათა ბარიერი და გადასწვდა შორეულ მერიდიანებს. ამასთან, ორივე დამკვიდრდა ღრმად ეროვნულ, თავისთავად, სუვერენულ ინდივიდუალობად საკაცობრიო მხატვრული კულტურის მატრიანეში...

„წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“, — ამ ლაკონურ ფორმულაში იკვეთება გალაკტიონის ეროვნული გენის ძალმოსილება, ქართული ფენომენის ორიგინალური ხასიათი, მისი შემოქმედებითი ფესვის აღმოცენება დიდი რუსთაველის გენიდან.

როგორც მაიაკოვსკი, გალაკტიონიც ერთგულად ემსახურებოდა ხალხს, იღვწოდა მხატვრული სიტყვის სრულყოფისა და ახალი ფორმების დასამკვიდრებლად. რაინდული შერკინება სიტყვასთან, რათა გადაედნო ერთ სიტყვად ათასეული ტონა მთელი სიტყვიერი „მადნისა“, თანაბრად ახასიათებდა ორივე თანამოდმე პოეტს. მაგრამ ისეთი ზეგავლენა, რომ ერთს, კერძოდ, გალაკტიონს განეცადოს მაიაკოვსკის მხატვრულ საშუალებათა სარგებლობის მხრივ, საფუძველს მოკლებულად უნდა მივიჩნიოთ. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1940 წელს დამაჯერებლად განმარტა დიდმა გალაკტიონმა მიკოლა ბაჟანისადმი მიწერილ ბარათში. ომის წინა წელს უკრაინულად იბარგმნა და გამოიცა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“. გალაკტიონს მოსწონებია ქართველ პოეტთა ლექსების უკრაინული თარგმანები, მაგრამ მიკოლა ბაჟანის ყურადღებას მიაპყრობს წიგნის წინასიტყვაობაში დაშვებულ ერთ შეცდომას თუ გაუგებრობას, რომელიც, მისივე თქმით, „ეხება მაიაკოვსკის გავლენას ჩემს შემოქმედებაზე. მე დიდად ვაფასებ მაიაკოვსკის დამსახურებას პოეზიაში, მაგრამ მისი მიღწევებით მე არ მისარგებლობა. როგორც მაიაკოვსკი, მეც ჩემი სიტყვით ვემსახურებოდი ხალხს და რევოლუციას, მაგრამ ჩვენს შემოქმედებითს საშუალებათა შორის ღრმა განსხვავებაა“.

სხვაგან გალაკტიონი ხაზგასმით მიუთითებდა მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტემპერამენტის თავისებურებაზე და იმის შესახებაც, რომ „თუ კაცთა ცხოვრებიდან გაჰქრა ტემპერამენტი, ეს იმას ემგვანება, რომ დედამიწა გაცივდეს და გაიყინოს“, ტემპერამენტის როლის ისეთი

გაზვიადება, რომ თითქოს „მის დაკარგვასთან ერთად უნდა დაკარგოს“ ზეგარდმო ნიჭიც და უმაღლესი უნარიც, სამუდამოდ მოისპოს აღმაფრენა, აღტაცება და აღტკინება“, იქნებ პარადოქსადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ გალაკტიონი ნამდვილად მართალი იყო მაიაკოვსკის შემოქმედებისა და მისი ტემპერამენტის ერთიანობის ძირ-ფუძის ახსნა-განსაზღვრაში: „მთელი შემოქმედება მაიაკოვსკისა ტემპერამენტი, მაიაკოვსკის ტემპერამენტი იმერის ტემპერამენტი“.

ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი იზიარებს ასეთ მოსაზრებას. ლექსში, „მაიაკოვსკი ბაღდათში“, იგი აქვებს ბაღდათის ულამაზეს ბუნებას, ხანის წყლის ხეობას, მდინარის შხუილს, დამატობელ ნანინად რომ ჩაესმოდა ყრმა ვალოდიას და ამბობს: „ეგებ ამ მდინარის ტალღებს ახლაც მთაქვე კოლხიდისაკენ ოქროს მარცვლები... ბაღდათის მაღლიანმა ბუნებამ შთააგონა მას მოვალეობის გრძნობა მშობლიური მხარის მიმართ და ათქმევინა: „შენი ვალი მაქვს, ბაღდათის ზეცავ“, „აქ, მთებში უყვარდა ლაღობა ლექსებით და ქართველს ეძახდა თავის თავს აშკარად“. ესაა მაიაკოვსკი, ვინც, მისივე თქმით, „იმერთა მიწაზე გაიდგა ფესვი და იმედის ზეცაში გაშალა ფრთები“. (თარგმ. არჩილ ჟორჯოლიანისა).

* * *

ვლადიმერ მაიაკოვსკისთან ტიცუანის ურთიერთობა ხასიათდება თავისებური ინტიმით, ბავშვობისდროინდელ მისწრაფებათა ერთობით, ქუთაისის გიმნაზიაში ერთად სწავლით, ტიცუანის ნაწერების მიხედვით, ვლადიმერ მაიაკოვსკი წარმოგვიდგება, როგორც დიდი პოეტი და ტრიბუნი, ჯერ კიდევ ბავშვობისას რომ ეზიარა მეტბრძოლ სულისკვეთებას, ამოიზარდა ქართული ეროვნული წიაღიდან...

„შეხვედრა მაიაკოვსკისთან“ არის გაცოცხლება ადრინდელი, ბავშვობისდროინდელი შთამბეჭდავი მომენტებისა, ასევე გახსენება იმ შეხვედრებისა, რასაც სხვადასხვა დროს ჰქონდა ადგილი რუსეთსა და საქართველოში.

900-იანი წლების ქუთაისი ქარცეცხლში იყო გახვეული. განსაკუთრებით ბოძოქრობდა ახალგაზრდობა. მათ შორის ბევრი იყო გიმნაზიელიც. საერთო ფონზე, როგორც ტიცუანი წერდა, ყველაზე მკვეთრად მოჩანდა გიმნაზია, სადაც მეამბოხეთა ცეცხლი ცარიზმის უკანასკნელ დღემდე ღვიადა. „პროკლამაციებს ისე ვწერდით, როგორც საკლასო თემებს“, — იგონებს ტიცუანი. ამ დაძაბულ ვითარებას ანალოგიურად აფასებს ვლადიმერ მაიაკოვსკიც. ავტობიოგრაფიაში. პაოლო რაშვილთან ერთად ტიცუანი იგონებს გიმნაზიელ ვლადიმერ


მაიაკოვსკის და ჰძლევა მის პიროვნულ დახასიათებას: „ის იყო ტან-
მაღალი, გამხდარი ყმაწვილი, რუსი ბიჭებისაგან იმითაც გამოირჩეოდა,
რომ შესანიშნავად ცურაობდა რიონში და მუშტი-კრივში კარგი დამრ-
ტყმელი იყო. ბავშვებში ადვილად შეამჩნევდით... იგი იზრდებოდა
გლეხის ბავშვებში, თამაშობდა მათთან ერთად და მონაწილეობას
იღებდა მათ გართობებში. ბავშვობიდანვე ქართულად ლაპარაკობდა და
გამოცდებზე მასწავლებლებს უკვირდათ მის მიერ რუსული ენის სუს-
ტად ცოდნა. ქართულ ენას ბავშვობის ასაკში მშობლიურ ენად თვლი-
და... როდესაც ოცი წლის შემდეგ მაიაკოვსკი საქართველოში დაბრუნ-
და, იგონებდა ქართულ ხალხურ შაირებს, რომლებიც ბავშვობისას
ბევრჯერ მოესმინა. მაიაკოვსკი ბაღდათს თავის მშობლიურ კუთხედ
თვლიდა“.

1913 წლიდან ჭაბუკი ტიციანი მიემგზავრება მოსკოვს, სწავლას
იწყებს უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე და ექცევა
ძლიერ ლიტერატურულ გარემოცვაში. იქ იგი უახლოვდება ბევრ რუს
გამოჩენილ მწერალს, მათ შორის კონსტანტინე ბალმონტს, ვალერო
ბრიუსოვს, გატაცებულია ბლოკით და ანენსკით და ბოლოს ყველაზე
მეტად ზიბლავს ვლადიმერ მაიაკოვსკის მგზნებარე, შთამაგონებელი გა-
მოსვლები მოსკოვის ქუჩებსა და ესტადებზე. ყოველივე ეს აღელ-
ვებდა და იტაცებდა ახალგაზრდა ქართველ პოეტს და ამ გარემოცვის
ზეგავლენის კვალი აღიბეჭდა კიდევ მის შემდგომ შემოქმედებითს სა-
ქმიანობაში. მაგრამ ვლადიმერ მაიაკოვსკო, როგორც ითქვა, ადრეც, ჯერ
კიდევ ბავშვობაში, ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის წლებში, აღაგზნებდა
ტიციანის ცნობისმოყვარეობას და ქართულ გარემოცვაში, როგორც
თანატოლებს, ერთი თაობის გიმნაზიელებს, ერთნაირად აწვალუბდათ
„ქართული მზე და ქართული მიწა“.

ქუთაისის გიმნაზიამ გადაუხადა ხარკი დროის მოთხოვნას და, თუ
გნებავთ, უახლეს შემარცხენე მწერლობას. მკითხველმა ეს კარგად იცის
ვლადიმერ მაიაკოვსკის ავტობიოგრაფიოდანაც. ტიციანის გვიანდელ
ლექსში, „ბაღდათის ზეცა“, ისევ ასოცირდება საერთო ვალი, ორივე
პოეტს რომ აწვალუბდა „ღამეც და დღეც“, — ეს იყო „ლაჟვარდოვა-
ნი ბაღდათის ზეცა“.

სხვისი სხვამ გითხრას, მე ბაღდათის ცის
მინდა გიმღერო ბავშვობის ნანა!
დღეს აპრილია, აპრილმა იცის
ვაშლის ხეებით სულის გატანა.
მაგრამ უნდა თქვას კაცმა მართალო,
არ გაგყოლია შენ ქვეყნის ვალი!

და გაიხარებს თვით ბაღდათის ცა,
შენს ჩანგს მაგარი სიმი რომ მისცა.



მართლაც, ვლადიმერ მაიაკოვსკის არ გაჰყოლია ქვეყნის ვალი! ხანმოკლე სიცოცხლითაც მოასწრო მან ეთქვა ცხოვრების საგალობელი და გაახარა „თვით ბაღდათის ცა, მის ჩანგს მაგარი სიმი რომ მისცა“. ამავე ლექსში ტიციანი ოსტატურად წარმოაჩენს შემზარავ, შფოთიან ვითარებას. ჯერ ერთი, ეს არის „სოლომონ მეფის გილიოტინა, ხუთას-წლანი დიდი ჭადარი“. ცხრაასიანი წლების არეულობა, ალიხანოვის შავრაზმელთა თარეში, თითქოს ყურში ახლაც ჩაგვესმის მათი ცხენების თქარა-თქური და შემდეგ კი — „სიმღერა მარსელიელთა“, დრო დიდი ქართველებისა და გარდაქმნებისა:

მიჰქროს რიონი, აწყდება ლოდებს
და ჩვენ დავცურავთ იქ ლიფსიტები,
დიდ დასვენებას თითქოს ელოდეს, —
დაფარფატებენ ხეზე ჩიტები.
ხან კი მრისხანე ისმის გუგუნე,
სიმღერა ახალ მარსელიელთა.
ყაზახის მათრახს გააქვს ზუზუნე, —
ალიხანოვმა, ჩანს, დრო იხელთა.

პოეტის თქმით, იმ ავბედითი წლებიდან ბევრი სხვაც დარჩა მოსაგონარი, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ რიონის პირას მათ ბავშვობას ადავსებდა ახალი მოქცევითი ტალღა, ბრძოლის პათოსი, და თუ ყველაფერი, როგორც იტყოდა ეგზილუპერი, ჩვენი ბავშვობიდან მომდინარეობს, მაშინ მემამბოხე სულისა და შემოქმედების გასაღები უნდა ვეძებოთ იმ ქართულ გარემოში, სადაც მაიაკოვსკი, გალაკტონთან და ტიციანთან ერთად, ორი საუკუნის მიჯნაზე ყალიბდებოდა, როგორც მებრძოლი პოეტი და მოქალაქე.

მეორე ლექსში, „მაიაკოვსკის დედა და დები“, ტიციანისეული სიცხოველით არის განცდილი და უკუუფენილი დიდი პოეტის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული. მაიაკოვსკის დედაში ტიციანი ხედავს ყველა მგოსნის მწუხარე დედას: „ის ყველას სევდას ერთად აერთებს“, და მის თვალწინ იშლება „საერთო ყრმობა და ქუთაისში რევოლუცია“, რამდენიმე ლექსის სტრიქონით გახსნილია პოეტის ხასიათის ზოგი ნიშან-თვისება: „თუ იყო მასში გამბედაობა, ეს თქვენს ქვეყანას გადმოუტია“, ისიც, რომ ბრძოლებში „მას დევის ჰქონდა იფეხო და კვალი“, რომ იგი ბაღდათის მთების უბიდან იშვა და დაფრთიანდა, „ბედნიერებას მან აქ შეხედა, გამბედაობა ამ ზეცამ მისცა.“

...მან ის იმდერა ვაჟკაცური ლექსით,
რაც საქართველოს მთებში მოესმა.

სტუდენტობის წლებში ტიციან ტაბიძე ხშირად ხვდებოდა ვლადიმერ მაიაკოვსკის, რომელიც იმ დროს მოსკოვში „ყველაზე ნათელი პოეტური ფიგურა იყო“. იგი განცალკევებით იდგა და მთელი სილია-დით ავლენდა თავის უპირატესობას სიმბოლისტების წინაშე. 1917 წლის თებერვლის დღეებში აქვეყნებს პოემას „ღრუბელი შარვლით“, რომელიც მათთვის, ახალგაზრდა პოეტებისათვის, როგორც თვით ტიციანი აღიარებს, დიდ სიახლეს, ერთგვარ მიგნებას წარმოადგენდა.

ტიციანი უკანასკნელად ხვდება მაიაკოვსკის 1922 წელს. ეს ის დროა, როდესაც მოსკოვში გაიმართა ტოლსტოის იუბილე; ჩამოსული იყო შტეტან ცვაიგი და ტიციანს ძალიან სურდა მასთან შეხვედრა, მაგრამ ვლადიმერ მაიაკოვსკის ხათრით და პატივისცემით იგი არ წავიდა იუბილეზე, დარჩა მასთან, ერთად ისაუბლეს და ისაუბრეს მთელ რიგ საკითხებზე.

ტიციანი ადრე გამოეცალა პოეტურ სამყაროს, მალე დაიკეცა მისი „საკალმასო გრძელი შარა“, მაგრამ მაინც მოასწრო დაეტოვებინა დიდი სულიერი განძი, რომელიც „ერთ პოეტს ეყოფა გამოსარჩლებად“, ხოლო მომავალ თაობას ლიტერატურულ საგზლად...

ასევე ხანმოკლე, ტრაგიკული გახდა სიცოცხლე ვლადიმერ მაიაკოვსკისაც, იმ დიდი პოეტისა, რომელსაც, ტიციანთან და გალაკტიონთან ერთად, ასაზრდოებდა და შთააგონებდა „ქართული მზე და ქართული მიწა“.

სიმონ არველაძე

რედაქციისაგან: 70 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მწერალსა და კრიტიკოსს, პროფესორ სიმონ არველაძეს.

აქარაში მოღვაწე ქართველი მწერლები და ჟურნ. „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგია ულოცავენ ბატონ სიმონს ამ მნიშვნელოვან თარიღს და უსურვებენ წარმატებებს შემდგომ შემოქმედებით საქმიანობაში.



გურამ ფარტანაძე

გველის კულტი მაჭახლის ხეობაში

გველის კულტი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხშია ცნობილი. მას უძველესი ტრადიციები გააჩნია საქართველოში, რაც ცხადად დასტურდება არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალებით. ამ მხრივ საინტერესოა აჭარაში, კერძოდ, მაჭახლის ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც ერთიანდება გარგნობის დღესთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა ციკლში.

გარგნობის დღის ციკლში მთავარია რწმენა-წარმოდგენები გველისა და წყლის კაცის შესახებ და ამდენად იგი კომპლექსურ ხასიათს ატარებს.

გარგნობის დღე დღემდე საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა. სამეცნიერო ლიტერატურაში მის შესახებ ძუნწი და არაპირდაპირი ცნობები მოგვეპოვება. ასე მაგალითად, გარგნობის დღესთან ახლოს დგას ჯ. ნოღაიდელის მიერ აჭარაში ჩაწერილი დღეობა „გზობის“ სახელწოდებით. ავტორი ამ დღეობას ქრისტიანულ დღესასწაულს „ბზობას“ უკავშირებს და წერს, რომ „აჭარაში ბზობა გზობით უნდა იყოს შეცვლილი“. გზობა იციან დიდი ხუთშაბათის მომდევნო წითელ პარასკევს და ეს „გველების დღეობაა“. ამ დღეს შემას სახლში არ შეიტანდნენ, რადგან ხალხის რწმენით მას გველი შეჰყვებოდა და იმ წელიწადს სახლს არ მოშორებოდა.¹

შინაარსობრივად გზობა ნაწილობრივ ემთხვევა გარგნობას, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ ძველი სტილით აპრილის პირველ ორშაბათზე ღოდის, გზობა კი წითელ პარასკევს.

მაჭახლის ხეობაში გავრცელებული ხალხური შეხედულებით გარგნობის დღეს ტყიდან ეზოში შემოსი, გარგანის ანუ ჯოხის, ფიჩხის მოტანას და აქედან შინ შეტანას ერიდებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეზოში ან სახლში გველი დაისადგურებდა. ამ დღეს ეზოდან ოთახში არც წყალს შეიტანდნენ, რადგან რწმენით სახლში, ლოქორია (ლოკოკინა) არ გამოწყდებოდა.

გარგნობის დღე სამეურნეო თვალსაზრისითაც უქმე დღედ აღიქმებოდა. ამ დღეს ყანაში, ბოსტანში, საერთოდ მინდვრად არ მუშაობდნენ, მიწას შრომის იარაღებით არ შეეხებოდნენ, საკარმიდამო ნაკვეთზე საქონელს არ გაუშვებდნენ — „სიმინდს ქარი დააგებსო“.²

ანალოგიური წეს-ჩვეულება ჩვენს მიერ ჩაწერილ იქნა ჩანჩხალოში (შუახევის რაიონი), აგრეთვე ვაკიჯვარში, ჭანიეთში, ლიხაურში (ოზურგეთის რაიონი), მარანში (აბაშის რაიონი), სულორში (ვანის რაიონი).

საველე ეთნოგრაფიული მასალებით თითქოს ჩანს, რომ გარგნობა სწორედ გარგანთან (ჯოხთან) უნდა იყოს დაკავშირებული. ამავე დროს გარგანი გველთან არის ასოცირებული. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გარგანი იხსენიება „გარგან“ ფორმით.³ მომდევნო პერიოდების ლექსიკური მონაცემებითაც გარგანი ჯოხის მნიშვნელობით იხმარება. გარგნობის სხვაგვარი ახსნა ჯერჯერობით ძნელდება.

როგორც ითქვა, გარგნობის დღის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად გველი გვევლინება. გველის სახით კი ამ შემთხვევაშიც უეჭველად საქმე გვაქვს გველის კულტთან, რაც არქაული მოვლენა ჩანს. აქვე მივუთითებთ, რომ ხალხი სიტყვა „გველის“ წარმოთქმას ერიდება. იგი უწმინდურის, უხსენებლის და სხვა სახელით იხსენიება. სპეციალური ლიტერატურიდანაც ცნობილია, რომ გველის კულტს, როგორც არქაულ მოვლენას, მსოფლიოს ხალხთა რელიგიურ-მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს.⁴

გველი ტოტემურ ღვთაებათა რიცხვს განეკუთვნება. უძველესი ხალხების ერთ ნაწილს იგი ოჯახის მფარველ ღვთაებად ჰყავდა წარმოდგენილი, სხვები მასში ადამიანის მოდგმის წინაპარს ხედავდა, ზოგიერთებისათვის კი წყლის მფლობელ-დამცველი, ნაყოფიერებისა და მარადიულობის სიმბოლოა, მიცვალებულის სულია და ა. შ.

გველის კულტი და მისი ადგილი ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში ასახულია მრავალფეროვან ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და არქეოლოგიურ გამოკვლევებში.⁵

არქეოლოგიური მასალების მიხედვით გველის კულტის არსებობა საქართველოში ფიქსირდება თრიალეთის, ბეშთაეშნის, არმაზის, სამთავროს (ძვ. წ. I ათასწლეული)⁶, ხიხაძირის (ხულოს რაიონი) ძვ. წელთაღრიცხვის მე-8-მე-7 სს.)⁷ და სხვა მასალებში.

ამ მონაცემების მიხედვით გველს საკულტო ცხოველთაგან ყველაზე დუალისტური როლი ენიჭება. გველი ხან სიბრძნის, სიცოცხლის, ადამიანის კეთილი სულის, ნაყოფიერების გამომხატველია,⁸ ხან ოჯახის მფარველი, სიმდიდრისა და ჯანმრთელობის მომცემია.⁹ ცალკეულ შემთხვევაში კი ბოროტ ძალად, ადამიანის მოსისხლე მტრადაა წარმოდგენილი.

ამ რიგის მონაცემებს შეიცავს მაჭახლის ხეობაში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებიც.¹⁰ ხალხური გადმოცემით ყველა ოჯახს ჰყავდა „სახლის“ მფარველი გველი. იგი შავი ფერისაა, რომლის მოკვლა ტაბუ-ირებულია. ამ აქტის დარღვევა ოჯახის უბედურების მომასწავებლად აღიქმება. სხვა ვარიანტის მიხედვით გველი წარმოდგენილია ორივე სქე-სის არსებად. ამიტომ „ერთს თუ მოკლავ, მეორემ იცის შურიანობა, სამაგიეროს გადახდა“. რწმენით, სახლის გველი პატონიანია, „ოჯახის პატრონია“. მისი მოკვლით შეიძლება ადამიანს შეეყაროს უქმური, რომელსაც თან სდევს ცუდი შეგრძნება, კანკალი და ტანზე ხორკლი.

ხალხი კარგად ერკვევა გველის ნაკბენის მკურნალობის საშუალებებშიც. ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია ნაკბენი ადგილის შინაური თხილის ფოთლის ნახარში დაშუშება. სამკურნალოდ გამოიყენება აგრეთვე ბალახი, რომელსაც ლაქარტა ეწოდება. მკურნალობა გრძელდება სამი დღის განმავლობაში. სამკურნალო დანიშნულებით იყენებდნენ გველის სხეულის ცალკეულ ნაწილებს. იცოდნენ გველის პერანგით დახრჩოლება, რომელიც რწმენით ცხროს ანუ ციებას (მაღარიას) და უქმურს კურნავდა, ხოლო გველის დამარხვის ადგილზე რამდენჯერმე გაგორება წელის ტკივილებს არჩენდა.

ცალკეულ შემთხვევაში გველი წარმოდგენილია, როგორც დოვლათიანობისა და ნაყოფიერების სიმბოლო. ხალხური რწმენით, ამ მისიის შესრულებას ემსახურება გველის პერანგის და ენის ოჯახში შენახვა, ან მისი ჯიბით ტარება, საქონლის სადგომის შესასვლელში ჩამოკიდება და სხვა. აღნიშნული სხეულის ნაწილები გამოიყენებოდა აგრეთვე ამულეტებად, ე. წ. გათვალვის საწინააღმდეგოდ. ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება გველის ენისა და ხერხემლის ძვლის აკვნის ქვეშ შემოდება ან აკვანზე შებმა — ხალხური შეხედულებით, ამ შემთხვევაში, ბავშვს ავი თვალი არ მიეკარება, იგი ენამახვილი გამოვაო.

გველს მიეწერება ამინდის მართვის მაგიური უნარ-თვისებაც, მაგალითად, ხალხის რწმენით, მოკლულ გველს თუ ხის ტოტზე ან სარზე ჩამოკიდებდნენ, უსათუოდ გაწვიმდებოდა.

მაჭახლის ხეობაში დამოწმებული კონკრეტული მასალა საინტერესოა გველისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. რიც შემთხვევაში ეს მონაცემები ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ კი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსისაა. მოვიტანთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს; გველს ბუზი მოუხმია და დაუვალებზა — გამიგე რომელ ცოცხალ არსებას აქვს ყველაზე გემრიელი სისხლი. ბუზს ყველაზე მეტად მოსწონებია ადამიანის სისხლი და უკან მობრუნებულს ეს გველისათვის მოუხსენებია, ამის შემდეგ გველი ეტანება ადამიანზე კბენას.

ზოგიერთი მონაცემები რამდენადმე მოგვაგონებს მითს წარდგენს შესახებ. ღუნიის დაქცევის დროს ხალხი გემით მიდიოდა თავის გადარჩენად. თავს გემის კედელი გამოუხრია, გემიც წყლით ავსებული და ჩაძირვა დაუწყია. ხალხს უცილობელი დაღუპვა მოელოდა. ამ დროს გველი გამოდგმულა ხვრელში, რითაც წყლის დაგუბება გემში შეწყვეტილა. სამაგიეროდ გველს მოუთხოვია, რომ მას ადამიანზე კბენის უფლება ქონოდა. თავდაპირველად დათანხმებულან, შემდეგ კი ამაზე უარი უთქვამთ და გველი მოუკლავთ, დაუწვიათ და მისი ფერფლი გადაუყრიათ, ქარს ფერფლი ადამიანზე შეუყრია. თითქმის აქედან გაჩენილან ადამიანის პარაზიტები — ტილი და ბაღლინჯო.¹¹

განხილულ მასალებით ნათლად ჩანს თუ რაოდენ წინააღმდეგობრივი და ურთიერთდაპირისპირებულია ხალხური რწმენა-წარმოდგენები და შეხედულებანი გველის კულტთან დაკავშირებით.

გველისათვის ოჯახის მფარველისა და დოვლათიანობის, ნაყოფიერების ფუნქციის დაკისრება, მისი სხეულის ცალკეული ნაწილების სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება და მათთვის მაგიური უნარ-თვისებების მიწერა, უნდა მომდინარეობდეს ტოტემური რწმენა-წარმოდგენებიდან. გველის ეს ფუნქცია უფრო არქაული ჩანს, ვიდრე მისი ბოროტებისა და ბოროტი ძალების სიმბოლური განსახიერება. ერთი სიტყვით, გველის კულტთან დაკავშირებით ჩვენ საქმე გვაქვს სინთეზირებულ შეხედულებებთან, რომელთა საწყისი ფუნქცია მაინც ადამიანთა კეთილდღეობის, ავი სულებისაგან დამცველის, ადამიანისათვის სიცოცხლის მომნიჭებლის, ნაყოფიერების ფუნქცია უნდა იყოს.

გარგნობის დღესთანაა დაკავშირებული ხალხური რწმენა-წარმოდგენები ე. წ. „წყლის კაცის“ შესახებ, რომელშიც კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს ნაყოფიერების მფარველი ღვთაების კულტი.

აჭარაში გავრცელებული თქმულებანი წყლის ანუ ზღვის კაცის, ზღვის დედაბრის ანუ ნენეს შესახებ შესწავლილი და გაანალიზებული აქვს ზ. თანდილავას.¹² ავტორი აღნიშნულ თქმულებათა შინაარსს უკავშირებს სამეგრელოში არსებულ თქმულებებს ე. წ. „მესეფებზე“, რომელთა მთავარი ფუნქცია ამინდის მართვის მაგიური ფუნქცია იყო.

საკუთრივ მაჭახლის ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა „წყლის კაცის“ შესახებ შემდეგ სურათს იძლევა: წყლის კაცი ამოდის გარგნობის დღეს, მას ტანსაცმელი არ აცვია, იგი შიშველია, აქვს ადამიანის მსგავსი შეხედულება, გრძელი ბალანი და თმები. წყლიდან რომ გამოდის, დაჯდება ქვაზე, თუ მზიანი ამინდი შეხვდა და გათბება, დაილოცება. რწმენით მთელ წელიწადსაც ასეთი კარგი ამინდები იქნება და შესაბამისად უხვი მოსავალიც. თუ გარგნობის დღეს წვიმიანი ამინდია

და ამ დღეს წყლის კაცი ვერ გათბა, იგი დაიწყევლება — წელიწადში ერთხელ გამოვდივარ და არ გამიმართლაო. რწმენით, ამ შემთხვევაში მთელი წელიწადი ასეთი წვიმიანი და ნაკლებმოსავლიანი იქნება.

შუახვევის რაიონის სოფ. ჩანხალოში ჩაწერილი მასალით წყლის კაცი ამოდის არა აპრილში, არამედ ოც მარტს, მაგრამ იგი ისეთნაირად ხასიათდება, როგორც მაჭახლის ხეობაში. სხვათაშორის ამავე დღეს უკავშირდება გუგულის პირველი დაძაბილიც.¹³

ამრიგად, „წყლის კაცის“ თუ „წყლის ქალის“ შესახებ გადმოცემათა ციკლში განმსაზღვრელია „კარგი“ თუ „ცუდი“ წელიწადის პროგნოზირება მთელი სამეურნეო წლის მანძილზე.

ამ თვალსაზრისით „წყლის კაცის“ შესახებ ხალხური რწმენა-წარმოდგენები ადამიანის სამიწათმოქმედო ყოფის რეალურ საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული. ამიტომ მიწათმოქმედს, როგორც ლიტერატურაშია შენიშნული, „უძველესი დროიდანვე სწამდა, რომ მეურნეობისათვის სასურველი პირობები ღვთაებათა ნება-სურვილზეა დამოკიდებული და შესაბამის ლოცვა-ვედრებასა და მაგიურ რიტუალებს მიმართავდა. ამით მას სურდა ღვთაებათა გული მოეგო და განეხორციელებინა საკუთარი ცხოვრებისეული მიზნები“.¹⁴

ამ მოსაზრებას ადასტურებს მაჭახლის ხეობაში ფიქსირებული გარგნობის დღის ერთი რიტუალი. მართალია, ხალხური წარმოდგენით გარგნობის დღე უქმეა და ამ დღეს მიწასთან შეხება არ შეიძლება, მაგრამ, მეორე მხრივ, რიგი სამეურნეო ხასიათის ღონისძიებანი სწორედ ამ დღეს სრულდებოდა. კერძოდ, მაჭახლის ხეობის სოფლებში გარგნობის დღის მეორე ნახევარში, მზის ჩასვლისას, იცოდნენ თეთრი კვახის დარგვა, ამასთან კვახის თესლი წინასწარ გამზადებულ კვლებში აუცილებლად ბავშვებს უნდა ჩაეგდოთ. რწმენით, ბავშვი სწრაფად მოზარდია და მის მიერ ჩათესილი თესლიც მალე გაღვივდება და მოსავალსაც კარგი პირი ექნება. თანაც თესლი ისე უნდა ჩაეთესათ, რომ სხვას არ დაენახა. ამასთან, ჩათესილ მიწაზე ჩამთესველი რამდენჯერმე უნდა გაგორებულიყო, — რწმენით კვახი თითქოს ბევრს მოისხამდა და მისი ნაყოფიც დიდები იქნებოდა.

ამრიგად, გარგნობის დღის წეს-ჩვეულებაში ფიგურირებს გველი და წყლის კაცი. ეს საკითხი თავისთავად საინტერესოა, რამდენადაც გველს სხვა ფუნქციებთან ერთად წყლის გამგებლობაც აქვს დაკისრებული და ხშირად ღვთაება ვეშაპთან არის გაიგივებული.¹⁵ ამავე დროს, ვეშაპის მესეფის იდენტურად მიჩნევა¹⁶ იმის საფუძველს იძლევა, რომ შეიკრას უაღრესად საინტერესო გენეტიკური წრე და კავშირი: გველი-გველეშაპი — მესეფი — წყლის კაცი, რომლებიც მოსავლის, ნაყოფიერების კუ-

ლტის ჩარჩოებში თავსდება. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, გარკვეული ნობის დღის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ზოგად ქართული ბუნების მკვლევარულ-რელიგიური ხასიათის წეს-ჩვეულებასთან, რომელიც სათავეს უდევს წარსულში ღებულობს და წარმართული სარწმუნოების ბეჭედს ატარებს, გარდა ამისა, გარგნობის დღესა და მასთან დაკავშირებულ რიტუალებში; რომლებიც ცალკეული ფრაგმენტების სახით შემორჩა, უნდა დავინახოთ ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების პირველსაწყისი ეტაპებისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობის ის საფეხური, რომელიც ამინდის მაგიური საშუალებებით მართვაში მდგომარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ. ნოღაიდელი. ნარკვევები და ჩანაწერები. ტ. I, ბათუმი, 1971, გვ. 134.
2. გ. ფარტენაძე. ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები. 1988.
3. ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1973. გვ. 9.
4. Э. ТЕЙЛОР. Первобытная культура. М., 1939, с.406, 407.
5. ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. ტფ., 1939, გვ. 162 ნ. რეხვიაშვილი. სალოცავი მზიური (გიუნე). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შრომები. 24 В. თბ., 1964, გვ. 208-220.
- ჯ. ვარშალომიძე. ხეზე ორნამენტის ძირითადი მოტივები აჭარაში, კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, 8, თბ., 1980, გვ. 82-84; მისივე. ორნამენტი ხეზე, ბათუმი. 1971, გვ. 75; ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. ბათუმი, 1961, გვ. 90. Р. А. Харадзе. Грузинская семейная община. I. Тб., 1960, с. 52. გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი ძვ. წელთ. I ათასწლეულის I ნახევარში, თბ., 1974, გვ. 83-86; ა. კახიძე, ი. დავითაძე, შ. მამულაძე. ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფ. ხიხაძირიდან — კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“. 10. თბ., 1981, გვ. 93-99.
6. გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83-86.
7. ა. კახიძე, ი. დავითაძე, შ. მამულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93-99.
8. ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.
9. ჯ. ვარშალომიძე. ორნამენტი ხეზე, გვ. 75.
10. გ. ფარტენაძე. ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები 1988.
11. გ. ფარტენაძე. დასახლებული ექსპედიციის დღიურები.

12. ზ. თანდილავა. მასალები მესეფებზე. კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“. 4. თბ., 1978.

13. გ. ფარტენაძე. დასახელებული ექსპედიციის დღიურები.

14. ზ. თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

15. ზ. თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

16. ზ. თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია მადლობას უხდის სპონსორებს
და კვლავაც მათი თანადგომის იმედი აქვს.

მალე დაიბეჭდება ლიონ ფოიხტვანგერის „მოსკოვი, 1937“
და ლეონიდ მლეჩინის „შავკიმონოიანი მოხუცი“.

დამატებითი პენსიების ნებაყოფლობითი დაზღვევა.

დაზღვევის ეს სახეობა შემოღებულია 1988 წლის 1 იანვრიდან, დამატებითი პენსიების დაზღვევის ხელშეკრულებები შეუძლიათ დადონ მუშებმა, მოსამსახურებმა, კოლმეურნეებმა, მამაკაცებმა 35 წლის ასაკიდან 60 წლამდე, ხოლო ქალებმა — 30 წლის ასაკიდან 55 წლამდე.

დამატებითი პენსიის მიღებაზე დამაზღვეველს შეუძლია დადოს ხელშეკრულება 10, 20, 30, 40, 50 მანეთის ოდენობით.

დაზღვევის შესატანი გადახდას ექვემდებარება ყოველთვიურად მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. დამატებითი პენსია გაიცემა მოქალაქის პენსიაზე გასვლის შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

დამატებითი ცნობებისათვის და დაზღვევის ხელშეკრულების მისაღებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან თქვენი რაიონის დაზღვევის აგენტს.

აჭარის სახდაზღვევის სამმართველო.

სარეკლამო-სააგენტო „ლია“.

„ჭოროხის“ მკითხველებს!

ცხოვრების გაძვირებამ გვაიძულა გავზარდოთ ჟურნალ „ჭოროხის“ საცალო ფასი. ხელწერებზე ძველი ფასით (40 კპ.) მიიღებთ ჟურნალს. მათ კი, ვინც ვერ, ან არ გამოიწერა ჟურნალი „ჭოროხი“, მაგრამ მაინც სურვილი აქვს შეიძინოს იგი, ჯიხურებში სამი მანეთის გადახდა მოუწევთ. გოდის ვუხდით მკითხველებს, მაგრამ რას ვიზამთ — ასეთია ცხოვრება.